



ԸՆԹԱԿԱԾՈՒՅԹ

№ 45
27 Սեպտեմբեր - 3 Ծննդյան թիվ / 2010

Պահանջման: Խաղողագույն առաջնորդ 83. 16

17 Եղանակ ուղարկություն 83. 24-27

Գալերայի պահանջման առաջնորդ 83. 28

„Հարցու տա աշխարհու, մօխա մահարցու“ 83. 30

Թուածության պահանջման առաջնորդ 83. 33

Հայոց ազգային սպուռնության առաջնորդ 83. 35

Ռեժիսորական պահանջման առաջնորդ 83. 38

Մասնակիության պահանջման առաջնորդ 83. 41

„Ցանկացած առաջնորդություն“ 83. 43

Ամսագիր 2 համար

ISSN 1987-7528



Ճամփար, արագ գայլ,
ճայում մը աշխատանք
մուռն 83. 10



FM
ԱՅԵՐԱՅԻ
98.0





ფოთი ჩრისტიან გელაშვილი

ცოდნი:

- 02 ფოსტა
04 მოკლედ
06 ვრცლად
08 რინა აზრი
დაუბრუნდება თუ არა
აფხაზეთი საქართველოს
იურისძეების?
10 მთავარი თემა
გთხოვთ, ადგეთ
ფეხზე, ნაფიცი მსაჯულები
მოდიან
15 თვალსაზრისი
2011 წლის 400
გადარჩენილი
მსოფლიო
16 ობამედია: შეწყვეტილი
ამბორი
მეზობლები
18 დაღესტანი - კავკასიური
ამბოხის ბირთვი

- აღმოსავლეთ პარტიონობა
20 კონტრასტული მოლდოვა
17 ნელი ომის შემდეგ
24 დაკარგული
დროის
საზოგადოება
26 მარტონობის 17 ნელი
კონფლიქტიპი
28 განსახლების
კოშმარი
აფხაზეთში
ჟურნალისტური გამოიყენა
30 „დარია თუ ავდარია, მიშა
მაგარია“
ეკონომიკა
33 შინმოუსვლელი პრეზიდენტის
დაბრუნება
საზოგადოება
35 სუბსიდირებული
რთველი

- ინტერვიუ**
38 როგორ ვიპოვოთ სამყაროს
„პირველსაწყისი“
ინტერვიუ გია დგალათან
თვალსაზრისი
41 უნიფორმირებული კულტურა
პაატა ქურდაძე
მედიაკრიტიკა
43 ახალი სატელევიზიო სეზონი -
„მას, ძალიან მოვენატრეთ“
კულტურა
46 მშვიდობიანი
„კინემატოგრაფიული
ომები“
სპორტი
47 პირველი ბაქოდან
გიო ახელედიანი
ქალაქში მოხელიალე
კაცის ჩანაწერები
48 აურქარებლობა

გარეკანი:

გთხოვთ ადგეთ ფეხზე, ნაფიცი მსაჯულები მოდიან
ილუსტრაცია: რუსლან ბერიძე



შურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ
„ლა საზოგადოება - საქორთველოს“
მსარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო
მასალაში გამოიტანილი მოსაზრება
არ გამოხატას სტატიას „ლა საზოგადოება - საქორთველოს“
პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის
პაუზისმეტელი მასალის მინარევზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

მექანიკური ფორმობასთა

უამრავი ჩვილი, მოზარდი, თუ ზრდასრული ყოველდღიურად იტარებს აპსოლუტურად უვნებელ მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას. თიკო ცომაია ამას თავის ტვინზე ჩატარებულ ექსპერიმენტს უწოდებს. თავის ტვინზე ექსპერიმენტები გულისხმობს ოპერაციებს, რომელიც ნარკოზის ქვეშ ტარდება მხოლოდ ვირთხებსა და პრიმატებზე.

შესაბამისად, არაკორექტული და არაეთიკურია წიაღსვლები ფაშისტური გერმანიის ეპოქაში; ნებაყოფლობით ჩატარებული კვლევის შედარება ტყვების წამებასთან. ცივილიზებულ ქვეყნებში მსგავსი კვლევები ფართოდაა დანერგილი.

დასმულია კითხვები: „არის თუ არა არასებული დანაშაულის პრევენცია დანაშაული? ის, ვინც აწესებს ნორმას, იძლევა თუ არა ინსტრუქციას, როგორ დაამახინჯოს თავისუფალი ადამიანი?“

პრევენცია, სწორედ ჯერ არ არსებულის თავიდან აცილებას ნიშნავს. კვალიფიციური პრევენციული მუშაობა საყოველთაოდ აღიარებულია.

ნორმა წინააღმდეგობაში არ მოდის თავისუფლებასთან. ზნეობრივი ნორმები კი არ ამახინჯებს ადამიანს, არამედ განასხვავებს ცხოველისაგან და თავისუფლებას ანიჭებს მას; საშუალებას აძლევს აირჩიოს ბიოლოგიურ მოთხოვნილებასა და პიროვნულ ფასეულობას შორის.

უამრავისტის მთავარი ბრალდება:

„ექსპერიმენტი მოზარდების ასოციალური ქცევის დასადგენად არა მარტო არაეთიკური, არამედ უკანონოცაა, რადგან მედიკობიოლოგიური კვლევის ჩატარებას ბიო-ეთიკის კომიტეტის თანხმობა სჭირდება“.

ფსიქოფაზიოლოგიური კვლევა არ არის თავის ტვინზე ექსპერიმენტი;

კვლევის მიზანი იყო, არა ასოციალური ქცევის დადგენა, არამედ მოზარდების ასაკობრივი პრობლემების/ასოციალური ქცევის ჩამოყალიბების



რისკურსულობის შესწავლა მშინბლებისა და მოზარდებისათვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწინით.

გამოყენებული ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდი საერთაშორისო სტანდარტიზებული ტესტია (ფრეიბურგის ანკეტა), ადაპტირებული უზნაძის სახელმისი ფსიქოლოგიის ინსტიტუტში.

განხორციელებული საქმიანობა ეთოკურია და კანონიერი. დაცულია APA-ს სტანდარტი.

კვლევა ფსიქოფიზიოლოგიურია და არა მედიკობიოლოგიური. ამის დასტურია ბიოსამედიცინო კვლევების ექსპერტის, ამავე კანონის თანავაჭორის, კონვენციის ხელმომწერის ქალბატონ ნატა ყაზახსავილის საექსპერტო დასკვნა (www.puip.ge). უამრავისტი ესაუბრა მას, მაგრამ არჩია სტატიაში მოყვანა პროექტზე წარმოდგენის არმქონებით ბიოეთიკის საზოგადოების ორნევრის კომიტეტარი.

სტატიაში მოყვანილია რამდენიმე არასრულწლოვანის კომენტარი, რომელთაც არ იციან, რომ ფსიქოლოგია მეცნიერებაა, რომლის დახმარებით შესაძლებელია სარისკო ტენდენციების დადგენა და სურვილის შემთხვევაში დროულად შველაც.

სიცრუჟეა: 1. „მოზარდები მოკლან სურვილი რაიმე დააშავოს, ან არ დააშავოს..., ართმევ თავისუფალ ნებას...“ 2. „კვლევის შემდეგ სამედიცინო დაწესებულებები დაიტვირთება“ 3. „არსად იყო გაფრთხილება – ეს კვლევაა“. უამრავისტმა იცოდა: მიღებული წერილობითი ინფორმირებული თანხმობა გამორიცხავს იძულებას; პროექტის სატელევიზიო ანონსი გადიოდა ხარვეზით. იქ გაულერებული ექიმების რეკომენდაცია მედიკამენტებთან დაკავშირებით კვლევას არ ეხებოდა.

სტატიაში მოყვანილი „ექსპერტის“ შეფასებები არაკომპეტენტურია, რადგან ტელევანონსის განხილვას არ სცდება.

ფსიქოლოგიის დოკტორი, პროფესორი თეა გოგოტიშვილი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შემურავა შეკვერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავავა / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუენა / უამრავისტური გამოიქვება ბესო კურტანიძე

/ საზოგადოებრივი თანამდებობის ასაკის შემცირები / ახალი ნონა სახალიშვილი, ნაზა სახალიშვილი

შემურავისტები: მარა წილაშვილი, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩანავა, რესუდან ფანიშიშვილი, ანიტა თვალი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე,

ნინო რობატერი, ნინო გულაშვილი

პორტრეტულისტი: მარქ მალუნი, გოგორი ტბადაუა, კახა კოხრიძე, ლევან იზორია, ბაკურ სულაკაური, ნანა საჯაია, რატი ამალიშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიებიძე, გიორგი ახლედიანი, კახა თოლორიძავა

რედაქტორი: ფილიპ რედაქტორი ლევან ხერიელაძე / გრაფიკული დოზირი თორნიკე ლორიძეგანიძე / რედაქტორ-სტილისტი ამალა შემცირება / კრისტიან თამარ ლინჩაძე

გამოცემის მეცნიერების ქადაგი ბაზანდებული / პროექტის მეცნიერების ასასტენტი ლელა შემისინჯი / მარეკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ნათა რუსაძე /

ფისტროპუტრი ზოგა შენგავიანი გამოცემის მეცნიერების ქადაგი ბაზანდებული / პროექტის მეცნიერების ასასტენტი ლელა შემისინჯი / მარეკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ნათა რუსაძე /

გამოცემის კონსალტინგი ერთობელ, ყავაფერის მომენტის და/ან მოაღისი გამოცემების გარეშე აკრძალულია.

უამრავისტის უფლებები დაცულია.

შემურავისტის გამოცემების მასალების ნაზოლობრივი და/ან მოაღისი გამოცემების გარეშე აკრძალულია.

პეტრე: სტატია „ფაფურის მომენტის დაცულების შემცირება“, მისამართი: თბილისი 90, ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge

გამოცემის კონსალტინგი ერთობელ, ყავაფერის მომენტის და/ან მოაღისი გამოცემების 2009 წლის მისამში რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

www.liberali.ge

ISSN 1987-7528

ჭაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში აცხადებს კონკურსს სოციალურ მეცნიერებებში

რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აკადემიური კვლევების ჩატარებას.

პროგრამის ამოცანებია:

- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ხელშემწყობი ინდივიდუალური და ინტერდისცილინარული კვლევების ჩატარებას;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესიონალების რეგიონალური ქსელის განვითარებას.

კონკურსის პირობები

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1975–1987 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევარებს, რომლებსაც გააჩნიათ სრული უმაღლესი განათლება და ამავე დროს მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ინგლისური და რუსული ენების მაღალ დონეზე ფლობა. პრიორიტეტი მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც თემატურ სიახლეს, სოციოლოგიური და თვისობრივი კვლევის ინოვაციური მეთოდებს გვთავაზობენ.


ფონდი აფინანსებს აკადემიურ კვლევებს შემდეგი მიმართულებებით:

1. სამხრეთ კავკასიის ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ ახლებური ხედვის შემუშავება.
2. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ კავკასიაში: გადარჩენის სტრატეგიები.
3. საბჭოთა რეჟიმისათვის გაწეული წინააღმდეგობისა და რეპრესიების ისტორია.
4. უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები სამხრეთ კავკასიაში.
5. გენდერული როლების ტრანსფორმაცია.

სტიპენდიის ხანგრძლივობა და მოცულობა

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება თორმეტი თვით (01.01.2011–31.12.2011). სტიპენდიის მოცულობა ყოველთვიურად 250.00 ევროს შეადგენს. ასევე შესაძლებელია ფონდის მიერ ორგანიზებული თანმდევი პროგრამა–სემინარებით, საზაფხულო სკოლითა და პუბლიკაციებით მხარდაჭერა.

სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ მოიძიეთ ჭაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე:



სამინისტროს გამოსახულობის პირველი მოსმენით

24 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციის ახალი პროექტი რიგგარე-შე სხდომაზე პირველი მოსმენით მიიღო. კანონპროექტს მხარი 123-მა დებუტატ-მა დაუტირა, მათ შორის, „უმცირესობის წარმომადგენლებმა – ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრებმა, გია თოროლაძემ და გურამ ჩახვაძემ. ოთხმა დებუტატმა კი ხმა კანონპროექტის წინააღმდეგ მისცა, მათ შორის, ჯონდი ბალათურიამ და გია ცაგა-რეშვილმა.

საკონსტიტუციო ცვლილებების პაკე-ტი პარლამენტში იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა წარადგინა. პროექტზე მსჯელობა სხდომათა დარპაზში 4 საათს გაგრძელდა. განხილვაზე გადაწყდა, რომ კონსტიტუციაში აისახება საპარლამენტო უმცირესობის რამდენიმე შენიშვნა: ალარ გაუქმდება ორგანული კანონი, გუპრენატორებს კი პრეზიდენტის ნაცვლად პრემიერ-მინისტრი დანიშნავს.

გადაიხედება მუხლი საკუთრების უფლების შესახებ და პრეზიდენტის უფლებამოსილება საკანონმდებლო ინიციატივისა და რიგგა-რეშე საპარლამენტო სხდომის მოვევის შესახებ. საპარლამენტო უმცირესობის

რამდენიმე წარმომადგენელმა გამოსვლაში აღნიშნა, რომ ამ სახით პარლამენტის მუ-შაობაში ჩარევის უფლება პრეზიდენტის არ უნდა ჰქონდეს.

ასევე, განიხილება პარლამენტარების უფლებამოსილების ზრდისა და გენერა-ლური შტაბის წევრთა დანიშვნის საკითხი. არსებობს საშიშროება, რომ საომარ სიტუა-ციაში პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული თავდაცვის მინისტრი და პრეზიდენტის მიერ დანიშნული გენერალური შტაბის ხელმძღვანელი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამ პრობლემის გადასაჭრელად პარლამენტარე-ბს დრო მეორე მოსმენში ექნებათ.

მეორე საპარლამენტო მოსმენა ირ კვირის ვადაში უნდა დაინიშნოს. პარლამენტის თა-ვმჯდომარემ არ გაითვალისწინა უმცირესო-ბის მოთხოვნა – კონსტიტუციის პროექტის განხილვის პროცესის ოქტომბრის მეორე ნახევარში გადადების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიის დასკვნა საკონსტიტუციო პროექტზე 16 ოქტომბერს გამოქვეყნდება, პარლამენტი ამ შენიშვნებს ველარ გაითვალისწინებს და ახალ კონს-ტიტუციას დაჩქარებულად, სავარაუდოდ, ოქტომბრის პირველ ნახევარში მიიღებს.

თავდასხმა ანუაბზე

23 სექტემბერს აფხაზე-თის დე-ფაქტო ვიცე-პრეზიდენტს, ალექსანდრე ანქვაბს უცნობი პირები დასხვნის თავს და მის სახლს ნალმტყორცი-დან ესროლებს. ანქვაბი ხელში და ფეხში დაიტარა. პირველადი დახმარება მას ადგილზევე აღმოუჩინეს, თუმცა ვიცე-პრეზიდენტმა პოსპიტალიზაციაზე უარი განაცხადა.

ეს ანქვაბზე განხორციე-ლებული უკვე მეოთხე თავდასხმაა. არც ერთი წინა თავდასხმა აფხაზე-თის ე.წ. სამართალდებული სტრუქტურებს არ გაუ-სსნიათ. დე-ფაქტო პრეზი-დენტის სერგეი ბალაშის შეფასებით, ანქვაბზე მომხდარი თავდასხმა აფხაზეთში ვითარების დესტაბილიზაციის კენ იყო მიმრთული.

ალექსანდრე ანქვაბს 2005-2010 წლებში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკვა. 2010 წლის აფხაზეთის ე.წ. სა-პრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კი, იგი აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტია.

1992-93 წლებში, აფხაზე-თის ომის დროს, ანქვაბი ვლადისლავ არძინბას მთა-ვრობის შინაგან საქმიანობის მინისტრი იყო. 1994-2000 წლებში ის მოსკოვში ცხოვრობდა. სოხუმში დაბრუნებისთვალისწინება მნ თბილიციური მოძრაობა „აიტარა“ დააფუძნა. 2004 წლის არჩევნებში ის მხარს სერგეი ბალაშის უჭერდა.

ჩისევაბზე

46 საავადმყოფოს რეაპილიტაცია 8 სადაზღვევო კომისანიაზ 2012 წლისთვის უნდა დაასრულოს.

65 ლარი ელიორგა ახალი, ბიომეტრული პასპორტი ბორჯდალის გამოსახულების პასპორტის მფლობელთა-თვის, რომელიც ძალას 2011 წლის 1 ანგურს კარგავს.

ოცენი საკაციებულო ხევა

უახლოეს მომავალში ღვედის გამოყენება წების გზაზე მოძრაობისას გახდება სავალდებულო, მათ შორის – დასახლებულ ადგილებზეც. შესაბამისი ცვლილება „ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსში“ შევა. საკანონმდებლო ცვლილების ინიციატივა პარლამენტში უკვე დარეგისტრირდა და მისი ავტორები დაპუტატები – რუსულან კერვალშვილი და ოთარ თოიძე არიან. მათი თქმით, ამ ცვლილების აუცილებლობა ავტოსაგზაო შემთხვევების ხშირ შემთხვევაში სიკვდილით დასრულებამ გამოიწვია. აქამდე ღვედის გამოყენება მხოლოდ ჩერამოსულ ავტომაგისტრალებსა და ტრასებზე, 80 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით მოძრაობისას იყო სავალდებულო. ახალი ინიციატივის დამტკიცების შემდეგ კი უსაფრთხოების ღვედი მძლოლმაც უნდა ატაროს და მის გვერდით მჯდომმაც. თუ ამ წესს ერთ-ერთი მაინც არ დაემორჩილება, მძლოლს 40 ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს.



საკაციება ძირის ფილის ფილის ფილი

საქართველოს ძირის ფილის მთავარ მწვრთნელად სოსო ლიკარტელიანი დანიშნება. ძირის ფილის კორელაციაში მომზდარი ცვლილებები ტრკომში მსოფლიო ჩემპიონატზე მომზდარი ინციდენტს უკავშირდება. 10 სექტემბერს ირაკლი ცირეკიძემ ტატამზე გასვლა დააგვიანა და მსოფლიო ჩემპიონატს გამოითმას. ეს დაუდერობა კარგი საბაზი აღმოჩნდა ძირის ფილის ფილის ფილის შესაცვლელად. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ფედერაციის გადაწყვეტილებში ხელისუფლების ჩარევას კრძალავს, სპორტისა და ახალგაზრდის მინისტრმა – ლადო ვარძელაშვილმა „მსგავსი ფაქტების გამორიცხვის“ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. გადადგა ძირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამირან ტრკიკაშვილი. თანამდებობა დატოვა ძირის ფილის ფილის ფილის პრზიდენტებმა დილარ ხაბულანიაც. სპორტისა და ახალგაზრდის სამინისტროს განცხადებით, ნაკრების ხელმძღვანელობის შეცვლა ნაკრების ხარუმატებლობამ გამოიწვია. 2009 წლის სეზონის უმთავრესი ტურნირები ნაკრებმა ოქროს მედლის გარეშე ჩაატარა. არც 2010 წლის ტურნირები იყო წარმატებული. ასეთი ცუდი პერიოდი ქართულ ძირის 1964 წლის შემდეგ არ ჰქონია.

19 ადგილოთ დაწინაურდა საქართველო „მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ და 42-დან 23-ე საფერაუზე გადაინაცვლა.

სისატები



„პრეზიდენტობის ვადის ამონურვის შემდეგ თუ მიხეილ სააკაშვილი არავის გაახსენდება, არ მეწყინება. პრეზიდენტობის შემდეგ ვაპირებ ამ ნარმატებული ქვეყნით დატკბობას.“

პრეზიდენტი სააკაშვილი ნიუ იორკის უნივერსიტეტში გამოსვლისას

„სააკაშვილი უკვე მხოლოდ საქართველოს კი არა, მსოფლიოს „აბოლებს“. „ახალი მემარჯვენე“ დავით გამყრელიძე პრეზიდენტ სააკაშვილის ამერიკაში ვიზიტის შესახებ

„არსებობს საკითხები, რომლებზეც, უბრალოდ, ვერ შევთანხმდებით. რუსეთის ჯარის მასობრივი კონცენტრაცია საქართველოში, მისი მთავრობის ნების საწინააღმდეგოდ, ერთ-ერთი ასეთი საკითხია“. „ნატო“-ს გენერალური მდივანი – ანდერს ფორდ რასმუსენი ნატო-რუსეთის ურთიერთობებზე

„სამხრეთ ოსეთის ლიდერებმა სახელმწიფოს ჩამოყალიბების მძიმე გზა გაიარეს. 2008 წლის მოვლენები, რომლებსაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, თქვენთვის მძიმე ტესტი იყო.“

რუსეთის პატრიარქი კირილე სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის გამოცხადების“ დღეზე.

54 მილიარდ დოლარად შეფასებული ქინებით ბილ გეიტსი „ფორბსის“ ყველაზე მდიდარ ამერიკელთა სიის ლიდერია.



ფოტო: ნიკოლა გურიაშვილი

ნიუ იორქი - ჩობოჩს სახათა სახელი

ნანა საჯაა

„ნასდაკი“ მიესალმება საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს!“ – ტაიმს სკეკრზე განთავსებული ამ ნაწერით და საქართველოს დროშის ბანერით დახვდა ნიუ იორქში ჩასულ საქართველოს პრეზიდენტის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საფონდო ბირჟა.

გაერთს ასამბლეის კვირეულის პარალელურად, ამერიკის საფონდო ბირჟამ რამდენიმე საერთაშორისო ლიდერს უმასპინძლა, თუმცა როგორც „ნასდაკის“ ვიცე-პრეზიდენტმა ედვარდ ნაითმა თქვა, არც ერთი სტუმარი არ ყოფილა ისეთი საპატიო, როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი: „გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ამ

ორგანიზაციის ისტორიაში, არასოდეს გვიმსაპინძლია თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის უფრო დიდი ადვოკატისთვის, ვიდრე პრეზიდენტი სააკაშვილია. ის ისტორიული ლიდერია.“

პრეზიდენტის ნარდგენისას ნაითმა საქართველოში გატარებულ რეფორმებზე და ნარმატებებზე ისაუბრა. რეფორმებზე არანაკლები ყურადღება ნაითმა სააკაშვილის ნიუ იორქულ ცხოვრებაზე გამახვილა: „ის არ არის უცხო ნიუ იორქი. მან აქ დიდი დრო გაატარა, სწავლობდა „კოლუმბიაში“ და აქვე იურიდიულ ფირმაში მუშაობდა. ზოგი მასში მხოლოდ კორპორაციულ იურისტს დაინახავდა, ჩემთვის კი ის ბევრად მეტია“.

ნაითმა პრეზიდენტზე საუბარი იმ ციტატით დაასრულა, რომლითაც ჰილარი კლინტონმა და ჯონ მაკეინმა პრეზიდენტი სააკაშვილი ნობელის მშვიდობის პრემიაზე ნარდგენისას დაახასიათეს: „ის დემოკრატული ღირებულებების, მშვიდობის, პიროვნული თავისუფლებებისა და სამოქალაქო უფლებების ერთგულია. მისი ძალისხმევით საქართველო ახალ საზოგადოებას აშენებს, რომელიც კანონის უზენაესობაზეა დამყარებული,“ – განაცხადა საქართველოს დროშის ფონზე და კამერების წინ „ნასდაკის“ ვიცე-პრეზიდენტმა.

ნაითის ამ დახასიათებას დაუმტასეურებელი უწოდა პრეზიდენტმა სააკაშვილმა და

იკითხეთ ლიბერალის განაცლებულ პორტალზე

www.liberali.ge

თქვა, რომ ასეთი მოულოდნელი წარდგენის გამო „განითლდა“ კიდევ. საფონდო ბირჟაში გამოსვლისას მანაც „საქართველოს წარმატებულ რეფორმებზე“ და ტურიზმზე ისაუბრა: „იცით, საქართველო კალიფორნიას ჰყავს და ის ამერიკელებისადმი ყველაზე მეგობრულდ განწყობილი ქვეყნაა. რა თქმა უნდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მე ნიუ იორქში ვსწავლობდი“.

ნიუ იორქულ ცხოვრებაზე და გამოცდილებაზე პრეზიდენტმა ამავე შტატის უნივერსიტეტშიც ისაუბრა. შეკითხვაზე, თუ რა არის საქართველოს პრეზიდენტის პირადი მიღწევა, მიხეილ სააკაშვილმა უპასუხა: „ერთადეფრთი, რაც ჩემს პირად მიღწევად შეძლება ჩაითვალოს, ის არის, რომ, ცოტა წონაში დავიკელი“, და დასძინა, რომ ყველა დანარჩენი წარმატება და მიღწევა, რაც საქართველოს ჰქონდა, ქართველი ხალხისა და რეფორმატორთა ჯგუფის დამსახურება.

ოფიციალურ ვიზიტებსა და სიტყვით გამოსვლების გარდა, პრეზიდენტი ნიუ იორქის „ფოქსის“ სატელევიზიო შოუს „შენი მსოფლიოს“ სტუმარიც იყო.

სააკაშვილმა გადაცემის წამყვან ნეილ კავუტოსთან რამდენიმე მინიშვნელოვან პოლიტიკურ თემაზე ისაუბრა, მათ შორის, საქართველოს კონტრიბუციაზე ავლანეთის ოპერაციებში და რუსეთის ურთიერთობებზე, განსაკუთრებით კი საქართველოს წარსულზე.

„მე მახსოვს სიღარიბის პროგრამები, დიდი თანხა მოდილიდა ჩემი წინამობრედი მთავრობის დროს, მაგრამ ეს ყველაფერი შავი ხვრელი იყო. მშენებლობისთვის გამოყოფილ თანხებით ვიღებს იშენებდნენ, განათლებისთვის გამოყოფილი თანხით კი თავიათ შვილებს უშვებდნენ უცხოეთში სასწავლებლად. მე ამერიკაში ამერიკული სტიპენდიით ჩამოვედი, მე ნიუ იორქის გარეუანში ცველებისას და, ისინი კარგ ბინქში ცხოვრობდნენ.“

კავუტო: „როგორ, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი გარეუანში ცხოვრობდა?“

სააკაშვილი: „კი, და ძალიანაც მომზონდა.“

კავუტო: „სად დადილიდით გასართობად?“

სააკაშვილი: „ყველგან. მე თითქმის ნიუ იორქელი ვარ. როცა ნიუ იორქში ვპრუნდები, თავი ნიუ იორქელი მგონია.“



ნიუ პეპიზოდის პლოგი განიონი ეპიზოდის გარეუბანში

პეტერბურგელმა მათემატიკოსმა პერელმანმა ამ ზაფხულს უარი თქვა კლეის მათემატიკის ინსტიტუტის მიერ დანესტულ კილდოზე – მილიონ დოლარზე. მანამდე, 1996 წელს არ აიღო ევროპის მათემატიკური საზოგადოების მიერ მინიჭებული პრემია, 2006-ში კი მათემატიკოსების ნობელი – ფილდსის მედალი. ისე, კარგა ხანს კი ფიერიბდა, რა ექნა. მილიონი მილიონი. ბოლოს საკუთარი გადაწყვეტილება ასე ასსნა: „მოქლედ რომ გითხრათ, მთავარი მიზანი ისაა, რომ მათემატიკოსთა საზოგადოებას არ ვეთანხმები. არ მომწონს მათი გადაწყვეტილება, მიმართია, რომ სამართლიანი არ არის. ვფიქრობ, ამ ამოცანის გადაწყვეტაში ამერიკელმა მეცნიერმა ჰამილტონმა ჩემსაზე არანაკლები წვლილი შეიტანა“.

გიორგი ცხადაის

გლობი

ტარათინო

ტარანტინოს „მაულა-ტურაში“ (Pulp Fiction) არის ერთი, არც ისე ცნობილი სცენა, რომელმაც ტარანტინო შემაყვარა. ამ ფილმში ბევრი სხვა ისეთი სცენაა, რომელიც სუპერპოპულარულია, მაგალითად, უმა ტურმანის და ჯონ ტრავოლტას ცეკვა, ან პანი ბანის და რინგოს დიალოგები რესტორანში მაგრამ მე ყველაზე მეტად სწორედ ერთი მეორესარისხოვანი სცენა ჩამრჩა გონიერაში. სცენას ჰქვია „The Bonnie Situation“ („ბონის სიტუაცია“).



მულტიმედია

ინტერვიუ გია დვალთან



სიახლე

ფორუმი ლიბერალის პორტალზე

თქვენი მოსაზრება:

- » მზად ხართ, გახდეთ ნაფიცი მსაჯელი?
- » რას ნიშნავს „გონივრული ეჭვი“?
- » მოგწონთ პრეზიდენტის ინიციატივა?

ზაქარი, 56 წლის, პათუმი – თუ ჭკვიანურად იმუშავებენ საქართველოს მთავრობაში, აფხაზეთს დაგიბრუნებთ. ყველა ეროვნებას პატივი უნდა ვცეთ. აფხაზები ჩვენი ძმები არიან. ძალიან თავნება მთავრობა გვყავს, ძარტო თავიანთი თავი ჰერონიათ ბართალი. არადა, აუცილებელია შედეგიანი, თანასწორი ლაპარაკი აფხაზებთან. უნდა გაიგონ, რომ ჩვენ მათი მტრები კი არა, მე-გობრები ვართ.

დანა, 26 წლის, ზუგდიდი – ღვთის რწმენით, იმედი მაქვს. მე თვითონ აფხაზეთიდან ვარ. ახლა არანაირი კავშირი არ მაქვს იქაურობასთან. მგონია, რომ მხოლოდ ღვთის მადლით შეიძლება, მოხდეს სასწაული და დავპრუნდეთ აფხაზებში. სხვა არაფრის მჯერა.

მაია, 47 წლის, ზუგდიდი – მე დიდი იმედი მაქვს. ეს სიტუაცია, რაც დღესაა, დროებითია. საქართველოს მთავრობა აკეთებს ყველაფერს, რომ საქართველოს ტერიტორიები გაერთიანდეს. მე რადიოსაც ვუსმენ, ტელევიზორსაც ვუყურებ და ვხედავ; რამდენ რამეს აკეთებს მთავრობა. ის, რომ რაღაც მისიები ჩარეულია ამ საკითხში, ეს საქართველოს მთავრობის დამსახურებაცაა.

ნანა, 54 წლის, თბილისი – აუცილებლად გახდება საქართველოს ნაწილი. იმიტომ, რომ ქართველი ერი ისეთი ერია, არაფრით არ დატოვებს აფხაზეთს. ჩვენი მინა-წყალია და არ დავთმობთ. ეს მდგომარეობა დროებითია.


კახა, 34 წლის, ქუთაისი – 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთი ისევ გახდება საქართველოს ნაწილი. რუსეთი ადრე თუ გვიან დაინგრევა, ჩვენც სწორი კურსი გვაქვს აღმული. მინიმუმ 5 წლიწადში ჩვენი ხელისუფლება მოახერხებს, რომ გავერთობანდეთ.

ბექა, 19 წლის, თბილისი – მე მგონია, რომ თვითონ აფხაზებს უნდათ დაბრუნება, ოლონდ უფრო ასაკოვან ხალხს; იმიტომ, რომ იციან საქართველო როგორია. ახალგაზრდებს – ნაკლებად. განვითარებულ სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლა ყელას უნდა. თუ განვითარდებით 100 წლის მერე და რუსეთი ისევ ისე იქნება, რა თქმა უნდა, აფხაზებს ისევ ჩვენთან მოუნდებათ.

ნინო, 36 წლის, თბილისი – მგონი, რომ გახდება საქართველოს ნაწილი. ისეთი პირი უჩანს. ძალიან გაუჭირდათ მაგათაც და თვითონვე მოუბრუნდებიან საქართველოს.

ჯულიეტა ყანჩელი, 60 წლის, რუსთავი – იმედი მაქვს, რომ აფხაზეთი გახდება საქართველოს ნაწილი. რაღაცნარად დრო გვაა, წლები. ჩვენი სისხლი და ხორცი მაინც ჩვენი იქნება. ალბათ, შეეცვლებათ გონება აფხაზებს და ისევ მოუნდებათ ჩვენთან.


ეთერ გამსახურდია, თბილისი – აუცილებლად უნდა გახდეს, სხვანაირად არ გამოვა. ბორიტება ვერ გაიმარჯვებს ვერასდროს. როდის ან როგორ, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ერთინი ვართ და ერთად უნდა ვიყოთ. **ც**



ლაპხანისა თვალითვალის

■ ნანა კევლიშვილი, 67 წლის, რუსთავი

– აფხაზეთი აუცილებლად გახდება საქართველოს ნაწილი. მთელი მსოფლიო აცხადებს, რომ აფხაზეთი უნდა იყოს ჩვენი და მე რა უფლება მაქვს, მათ არ დავუჯერო?! მსოფლიო გვეხმარება, ამბობენ, რომ საქართველო უნდა იყოს ერთიანი, ჩვენც თუ ცოტათი მივეხმარებით და ვიმოქმედებთ, ყველაფერი კარგად იქნება!



უ ახა აფხაზეთი იუსტიციურის?

■ ეკა, 22 წლის, თბილისი

- საქართველოს არ გააჩნია
არანაირი რესურსი, რომ

აფხაზეთი დაიპუნოს – არც ფინანსური, არც პოლიტიკური და არც დიპლომატიური. რაც დიპლომატიური შესაძლებლობები გვექნდა,

შესაძლებლობები გვექნდა, ხელიდან გავუშვით და ესეც აღარ გვაქვს.

თემური, 52 წლის, ქუთაისი – ამ პოლიტიკით არა მგონია. რაღაც შანსები რომ იყო, მაშინ მომ დაიწყო. 2008 წლის ომში მთლიანად გააფუჭა ყველაფერი. თუმცა იმედით ვცხოვრობთ, დიდი გულისტყივილია ჩვენთვის აფხაზეთი. თუ ჩვენ დაგვიპუნდებიან, ჩვენს შემადგენლობაში იცხოვრებენ როგორც აფხაზი ერი; რუსეთთან თუ იქნებიან, სულ გაქრებიან. ეს უნდა გააცნობიერონ აფხაზებმა.

თაზო, 23 წლის, რუსთავი – მგონი, რომ ვერ გახდება საქართველოს ნაწილი. ახალი თაობა ვინც ვართ, სულ არ გვაქვს ურთიერთობა აფხაზებთან. არ ვიცით, როგორ ცხოვრობენ. არც ისინი ინტერესდებიან. ცალ-ცალკე ვვითარდებით და საერთო არაფერი გვაქვს. თუ ვეცდებით, რომ ისევ დაველაპარაკოთ, მოქებნოთ საერთო ენა, აღვადგინოთ რაღაც სახის ურთიერთობა, შეიძლება რაღაც გამოვიდეს. თუმცა უკვე იმდენი რამე და დრო გვაშორებს ერთმანეთთან, რომ მაინც არა მგონია.

ზურა, 42 წლის, თბილისი – არ იქნება აფხაზეთი საქართველოს ნაწილი. სადაც აქამდე ვერ გახდა, ახლა როგორ იქნება?! შეიძლება, რამე გზა არსებობს, მაგრამ ამას მე ვერ ვხედავ. მგონი, ისინიც ვერ ხედავენ, ვისაც უშუალოდ ეხება ამ საკითხის მოგვარება.

შოთა, 51 წლის, ქუთაისი – ჩვენი დღვეანდელი მთავრობის და რუსეთის მთავრობის ხელში ეს შეუძლებელია. არაფერი გამოვა. არანაირი მოლაპარაკება არ მიღის და რანაირად?!

ქეთევანი, 49 წლის, ბათუმი – რთული შეკითხვაა. არ მგონია იმიტომ, რომ უკვე დიდი დროც გავიდა, თითქოს დამოუკიდებლობა მისცეს. რამდენიმე ქვეყანამ აღიარა კიდეც. თანაც სიცივეა აფხაზ და ქართველ ხალხს შორის. არანაირი გზა აღარ არის.

ნათა, 27 წლის, ზუგდიდი – არა მგონია. ძალიან რთულია ქველი სიტუაციის აღდგენა. ასე არავინ მოგვართმევს აფხაზეთს სისხლისდვრის გარეშე. არ დათმობს რუსეთი. თანაც ჩვენ – ხალხს ერთმანეთთან აღარაფერი არ გვაკავშირებს.

არჩილი, 44 წლის, რუსთავი – ახლო მომავალში არა. აფხაზებს ვეჯავრებით და იმიტომ. რომ დაგვიპუნდენ, ამისთვის რუსეთი არ უნდა არსებობდეს. ჩვენი პოლიტიკაც არ არის სწორი. უფრო რუსებისკენ არიან აფხაზები. მთელი საქართველო რუსეთში გარბის და აფხაზებს რატომ მოუნდება ჩვენთან?!

ნინო ნაჭყებია, 21 წლის, თბილისი – არა, ვერ გახდება. ამდენი ხანია, ვერ გახდა. თანაც ახალგაზრდებს, ახალ თაობას არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს და არც საერთოა არაფერი ჩვენს შორის. პრაქტიკულად შეუძლებელია, რომ ჩვენმა თაობამ შეძლოს და აღადგინოს ურთიერთობა აფხაზებთან. ■

ბოსოვთ, აღგათ ფახზე, ნაფიცი მსაჯელები მოიღონ

რამდენად შეძლებენ 12 რიგით მსაჯულად გადაქცეული მოქალაქეები როგორც საკუთარ წინასწარ განწყობებთან, ისე საზოგადოებრივ წესებთან და პოლიტიკურ ზენოლასთან გამკლავებას?

თამარ ბაბუაძე

18 თებერვალს, მეტრო „დელისთან“ ორი გასროლის ხმა გაისმა. ერთი მამაკაცი ჯიხურთან ძირს დაეცა. რამდენიმე წამი მოსულ პოლიციას ადგილზე ახალგაზრდა კაცი დახვდა, რომელსაც ხელში ცეცხლსასროლი იარაღი ეჭირა.

სასამართლოზე გაირკვა შემდეგი გარემოება: იარაღი ახალგაზრდა კაცს ეკუთვნოდა. ის სროლაში სავარჯიშოდ აგარაკზე მიდიოდა. ჯიხურთან სიგარეტის საყიდლად შეჩერდა. ხურდას ელოდა, როცა შუახნის მამაკაცი მიუახლოვდა, ახალგაზრდას ხელი ჰკურა და გამყიდველს ფული ურიგოდ მიაწოდა. შეხლა-შემოხლა რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. შუახნის მამაკაცს ორი ტყვია მუცელში მოხვდა. იგი ადგილზე გარდაიცვალა.

„მთვრალი იყო. ჩეუბის დროს საქამრეში ჩადებული იარაღი გამომიჩნდა. ის ჩემსკენ წამოვიდა და იარაღს ორივე ხელით ჩაეჭიდა, მაშინ მოხდა ყველაფერი“, – იხსენებს ახალგაზრდა კაცი.

ის ამ ყველაფერს იმ 12 ადამიანის გასაგონად ჰყვება, რომელთაც მისი ბედი უნდა გადაწყვიტონ. თორმეტიდან არც ერთს არ აქვს იურიდიული განათლება.

განსასჯელის, მისი მეგობრის, ჯიხურის გამყიდველის, პოლიციელის, ადვოკატისა და პროკურორის გამოსვლებს 12 ადამიანი რამდენიმე საათის განმავლობაში უსიტყვოდ ისმენს. სასამართლო პროცესის დასრულების

შემდეგ კი ისინი ცალკე ოთახში გადიან და მსჯელობას იწყებენ:

რატომ არ გაიქცა, თუკი მართლა მოკლა კაცი, ხომ იცოდა, რომ დაიჭერდნენ?

როგორ მოირტყა კაცმა ორი ტყვია მუცელში, იქნებ, სიმთვრალის გამო პირველი ტყვია ვერც იგრძნო?

ან იქნებ, თითო ერთი დაჭერაც საქარისი იყო – ამ იარაღს ხომ ორჯერ სროლისთვის გადატენა არ სჭირდება? იქნებ, ახალგაზრდამ თავად გამოჰკრა სასახლეტა, მის თითებზე ხომ ექსპერტიზამ დენთის კვალი აღმოაჩინა...

1 საათის შემდეგ ამ 12 ადამიანს ვერდიქტი გამოაქვს: ახალგაზრდა კაცი, რომლის იარაღიდან გასროლილმა ტყვებამ ადამიანის სიცოცხლე შეიმირა, უდანაშაულოა. განაჩენი არ გასაჩივრდება. განსასჯელი თავისუფალია.

აქ იმიტირებული სასამართლო პროცესია აღნერილი, რომელზეც განსასჯელს ვერდიქტი ნაფიცმა მსაჯულებმა გამოიუტანეს. ისტორია კი რეალურად მოხდა: ახალგაზრდა კაცი, რომელც უნებართვოდ ატარებდა იარაღს, განსასჯელის სკამზე მართლა იჯდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მისი ბედი პროცესიონალმა იურისტმა – მოსამართლემ გადაწყვიტა. განსხვავებული აღმოჩნდა განაჩენიც – ახალგაზრდა ახლა გაზრია ჩადენილი მკვლელობისთვის ციხეშია.

ჰუმანურობა ერთ-ერთი მთავარი

ხიბლია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის, რომელიც საქართველოში 1 ოქტომბრიდან ამუშავდება. სტატისტიკაც აჩვენებს, რომ ნაფიცი მსაჯულები უფრო ხშირად ამართლებენ განსასჯელებს, ვიდრე მოსამართლები.

პროექტის თანახმად, წლის ბოლომდე საქართველოს ისტორიაში პირველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გაიმართება.

სიახლე ჯერ მხოლოდ თბილისში გავრცელდება. 2012 წლიდან კი ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით ამოქმედდება. ეტაპობრივად გაიზრდება იმ დანაშაულებათა ჩამონათვალიც, რომელთა განხილვასაც ნაფიც მსაჯულებს ანდობენ. საბოლოოდ კი, 12 რიგითი მოქალაქე უკვე ყველა ტიპის დანაშაულს ჩაიბარებს, მათ შორის ისეთი პოლიტიკური დატვირთვის მქონე საქმეებსაც, როგორიც სახელმწიფო ღალატია.

მსაჯულების ინსტიტუტის დანერგვაზე დისკუსია მას შემდეგ დაიწყო, რაც „ნაციონალური მოძრაობა“ წამყვან ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბდა. რეფორმატორების მთავარი მოტივი კორუმპირებული სასამართლოს შეღაბული იმიჯის აღდგენა იყო.

„თუ ხელისუფლებას მართლა საქმის კეთების სურვილი აქვს, მაშინ პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს კანონ-პროექტი ნაფიცი მსაჯულების სისტემის შემოღების შესახებ“, – აცხადებდა 2001 წელს იუსტიციის მი-



ნაფიცი მსაჯული შეიძლება, იყოს:

საარჩევნო სიაში მყოფი მოქალაქე, რომელიც ფლობს სამართლის პროცესის ენას, ცხოვრის იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ სასამართლოს განსჯადობა ვრცელდება. არ აქვთ შეზღუდული ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები.

ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება, იყოს:

- ▶ იურისტი
- ▶ ფსიქოლოგი
- ▶ ფსიქიატრი
- ▶ სახელმწიფო/პოლიტიკური თანამდებობის პირი
- ▶ ძალოვანი უწყების და შეიარაღებული ძალების თანამშრომელი (პროკურორი, გამომძიებელი, პოლიციელი)
- ▶ ადვოკატი
- ▶ სასულიერო პირი
- ▶ ნარკოტიკული საშუალების მცირეოდენობით მოხმარებისთვის გასამართლებული პირი.
- ▶ პირი, რომლის მონაწილეობა აღნიშნულ საქმეში აშკარა უსამართლობა იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე.

აირს უფლება აპვს, უარი თქვას ნაფიც მსაჯულობაზე თუ:

- ▶ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული;
- ▶ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მისწვერის ზიანს;
- ▶ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ;
- ▶ 70 წელს გადაცილებულია;
- ▶ ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

საჯარო მოსამსახურეს და სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციაში დასაქმებულ პირს ნაფიც მსაჯულიად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ანაზღაურება.

ნისტრი მიხეილ სააკაშვილი.

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამ გუნდის ბევრმა იდეამ და გეგმამ აქტუალობა დაკარგა. თუმცა, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება განხილვის საგნად უცვლელი მოტივით დარჩა – იდეის მხარდამჭერთა მტკიცებით, ეს ყველაზე სწრაფი და ეფექტური გზაა სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობისა დასადგენად.

რიგითი მოქალაქეები თავიანთი ვერდიგიტით თავად აირჩევნ, ვინ იყოს მათი საზოგადოების ნაწილი და ვინ – არა. ისინი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის ბედს გადაწყვეტენ, არამედ, გარკვეულწილად, მთელი საზოგადოების უსაფრთხოებაზეც იზრუნებენ.

ზოგიერთმა თბილისელმა უზენაში სასამართლოს თავმჯდომარის, კონსტანტინე კუბლაშვილისგან უკვე მიიღო წერილი, რომელშიც წერია, რომ ნაფიცი მსაჯული შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა. ასეთ წერილს მალე ყველა ამომრჩეველი მიიღებს.

მსაჯულთა შერჩევის პროცედურა ასეთია: მოსამართლე შემთხვევით შერჩევის პრინციპით საარჩევნო სიიდან 100 მოქალაქეს დაასახელებს. მეორე ეტაპზე კი ბრალდებისა და დაცვის მხარეები ერთად შეარჩევენ 100-დან 14-ს, რომელთაც ერთი კონკრეტული საქმის განხილვა დაევალებათ (მათგან 2 სათადარიგო მსაჯულია).

მოქალაქეს უარის თქმა არ შეუძლია. საპატიო მიზეზი თითქმის არ არსებობს. დაუსაბუთებელი უარი კი ადმინისტრაციული ჯარიმით დასჯება. სასამართლო განხილვებს ავტომატურად გამოიეთებიან მხოლოდ „სპეციფიკური პროფესიების მქონე“ ადამიანები, რომელთაც თეორიულად დანარჩენ მსაჯულებზე ზეგავლენა შეუძლიათ. ასეთები არიან: ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, პოლიციელები, იურისტები, სასულიერო მოღვაწეები და სახელმწიფო თანამდებობის პირები.

ყველა სხვა შემთხვევაში, „როგორც ჯარში სამსახურია სავალდებულო, ასევე საქართველოს მოქალაქეები ვალდებულება იქნება, ნაფიცი მსაჯული იყოს“, – აცხადებს ექსპერტი და იდეის მხარდამჭერი, ირაკლი კოტეტშვილი.

ემხრობიან თუ არა მოქალაქეები ნაფიცი მსაჯულების სისტემის შემოღებას და სურთ თუ არა მათ მსაჯულის ფუნქცია იტვირთონ? ამ თემაზე იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის კვლევა არ ჩატარებია. არც იმის შესახებ არის ცნობილი, იგრძნობენ თუ არა თავს დაცულად ნაფიცი მსაჯულის როლში აღმოჩენილი ადამიანები, ქვეყნაში, სადაც კანონის უზენაესობის ტრადიცია არ არსებობს.

ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის დიდი ტრადიციის მქონე ქვეყნებშიც კი მოქალაქეები მსაჯულების სულ უფრო ხშირად ეკიდებიან ისე, როგორც ტვირთს. იელის უნივერსიტეტის იურიდიული უურნალის 2008 წლის გამოცემაში წერია, რომ ამერიკელი მოქალაქეები წუნუნებენ დასკომფორტზე, რომელსაც მათ სასამართლო მოხელეებთან ურთიერთობა უქმნის, შიშზე და არასასიამოვნო მღელვარებაზე, რასაც მსაჯულის პასუხისმგებლობა ინვესტიცია არ არის. როგორც იელის უნივერსიტეტის მინვეული ლექტორი, მოსამართლე რენდელ შეპარდი წერს, ამერიკელთა დიდ ნაწილს მსაჯულების ინსტიტუტი „არქაულად, ემოციურად, არარაციონალურად“ მიაჩინა.

ის ექსპერტები, რომლებიც ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას სკეპტიკურად უყურებენ, კიდევ ერთ ფექტორს გამოყოფენ: სამოქალაქე პასურის 70-წლიანი გამოცდილება, რომელიც ქართველების მენტალობის ნაწილად იქცა, შეიძლება, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტისთვის მთავარი დაბრკოლებაც აღმოჩნდეს. პრობლემაა ისიც, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში ნაცნობ-მეგობრობა და პროტექციონიზმი დღემდე რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფასეულობად.

როგორც კანონის ავტორები ამბობენ, მიკერძოებული მსაჯულებისგან „თავდაცვის“ რამდენიმე მექანიზმი არსებობს. მაგალითად, სასამართლო სხდომაზე მსაჯული ვერ მოხვდება ისე, თუკი, მისი კანდიდატურა ორივე მხარემ – ბრალდებისა და დაცვის წარმომადგენლებმაც არ მოიწონეს. მათ მიუკერძოებული მსაჯულის შერჩევაში წინარსარ შედგენილი კითხვარიც დაეხმარებათ. რომელი კანდიდატი ჩაიპარებს ერთ კონკრეტულ საქმეს – ეს კანდიდატების პასუხებზეც იქნება დამოკიდებული.

თუმცა, სავარაუდოდ, ძნელი იქნება ისეთი კითხვარის მოფიქრება, რომელშიც მსაჯულობის კანდიდატის ყველა შეხედულება და სტერეოტიპი გამოვლინდება, რაც განაჩენის გამოტანისას შეიძლება, საბედისნერო აღმოჩნდეს. მაგალითად, რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ, განსასჯელის სკამზე ეროვნული, რელიგიური ან სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი აღმოჩნდება, ნაფიც მსაჯულს კი წინასწარი განწყობები აქვს მის მიმართ? ანდა, როგორ გამოვრიცხოთ მიკერძოება იმ შემთხვევაში, თუკი, მსაჯული განაჩენის გამოტანისას ვერ გაუძლებს საზოგადოებრივ წესებს, რომელიც დამნაშავის დასჯას ითხოვს?

ამ პრობლემას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ბევრად უფრო განვითარებულ ქვეყნებშიც აწყდება. 1994 წელს 13 ივნისს, საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავის, ოჯენ სიმპსონის ყოფილი მეუღლე ნიკოლი და მისი საყვარელი, რონალდ გოლდმენი. მკვლელობის ბრალდებით მალე ოჯენ სიმპსონი დააკავეს. საქმე განსახილველად ნაფიც მსაჯულებს ჩაბარდა. უპრეცედენტოდ დაძაბული სასამართლო პროცესი წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. გაჩნდა საფრთხე, რომ სიმპსონის დასჯა ლოს ანჯელესის შავეანიანი მოსახლეობის პროცესტს გამოიწვევდა, ზუსტად ისე, როგორც ორიოდე წლით ადრე ალკოჰოლიკის, ასევე შავეანიანი როდნი ქინგის საქ-

მის გამო მოეწყო მასობრივი დემონსტრაციები.

1991 წელს როდნი ქინგი პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის გამო თეთრკანიანმა პოლიციელებმა სასტიკად სცემეს, მობილური ტელეფონით გადალებული მისი ცემის ამსახველი კადრები თითქმის ყველა ტელეფორით გადაიცა. პირველ სასამართლო პროცესზე მსაჯულთა ჟიურიმ, რომელიც უმტკესად თეთრკანიანი ამერიკელებით იყო დაკომპლექტებული, პოლიციელების უდანაშაულოდ სცნო. თუმცა, მასობრივი პროტესტის გამო, განმეორებითი სასამართლო შედგა, რომელზეც ორ პოლიციელს 30 თვით თავისუფლების აღვეთა მიუსაჯეს.

ორი წლის შემდეგ, ოჯენის საქმის განხილვისას, მსაჯულების გადაწყვეტილებაზე, გაემართლებინათ მეუღლის მეცნიერებაში ბრალდებული სიმპსონი, სწორედ როდნი ქინგის სასამართლო პროცესზე მომხდარმა სკანდალმა და საზოგადოებრივმა წნევებმა იმოქმედა. როდნი ქინგის საქმე კი სასამართლო სისტემის ისტორიაში შევიდა, როგორც მსაჯულების მიერ განსასჯელის რასობრივი დისკრიმინაციის კლასიკური მაგალითი.

ასეთი პროცესები ამერიკულ სასამართლოებში მე-19 საუკუნიდან მოყოლებული იმდენად ხშირია, რომ საჭირო გახდა, ოფიციალური ტერმინის მოფიქრებაც. ასე დამკვიდრდა სასამართლო ლექსიკაში განსაზღვრებები: „თეთრკანიანი“ და „შავეანიანი“ ჟიური.

მიუხედავად ყველაფრისა, ანგლო-საქსურ ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დემოკრატიული პროცესის წინაპირობა თუ არაა, მის ორგანულ შემადგენელ ნაილად და ძვირფას ტრადიციად მაინც რჩება.

ქართული პროექტის ინიციატორები ფიქრობენ, რომ მრავალი რისკ-ფაქტორის მიუხედავად, ნაფიცი მსაჯულების სასამართლო ჩვენთანაც მართლმსაჯულების დემოკრატიზაციას და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებას შეუწყობს ხელს. პროექტის მთავარი დეკლარირებული მიზა-

პროცედურა

მოსამართლე ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, ადგენს ნაფიცი მსაჯულების 100 კანდიდატის სიას.

შესებული კითხვარის და პირადი გასაუბრების საფუძველზე ბრალდებისა და დაცვის მხარე 100 კანდიდატიდან ერთობლივად არჩევს 12 ნაფიც და 2 სათადარიგო მსაჯულს.

სათადარიგო მსაჯულები ვალდებული არიან, დაესწრონ სასამართლო პროცესებს, თუმცა მათ აზრის გამოთქმის ან კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ. ისინი პროცესში მაშინ ერთვებიან, თუ რომელიმე მსაჯული ვერ ასრულებს მოვალეობას.

ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს, მიიღოს:

- გამოსაყენებელი კანონის განმარტება სასამართლოსგან;
- წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებების შესახებ;
- დამატებითი განმარტება სხდომის თავმჯდომარისგან.

ნაფიც მსაჯულს ეკრძალება:

- სხდომის მიმდინარეობისას დარბაზის დატოვება;
- ვერდეტების გამოტანამდე მიღებული ინფორმაციის გამუდავნება ან აზრის გამოთქმა საქმესთან დაკავშირებით;
- საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ;
- თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოს დარღვევა.

ვერდიქტი

- ▶ ნაფიცი მსაჯულები „გამამართლებელ“ ან „გამამტყუნებელ“ ვერდიქტის იღებენ ერთხმად.
- ▶ თუ ნაფიცმა მსაჯულებმა ერთსულოვანი გადაწყვეტილება 3 საათის განმავლობაში ვერ მიიღეს, მათ ეძლევათ დამატებით ჯერ ექვსი, შემდეგ 3 საათი და საშუალება, რომ ვერდიქტი ხმათა უმრავლესობით (8 ხმა 4-ის ნინა-აღმდეგ) გამოიტანონ.
- ▶ თუ მსაჯულებმა ამ 12 (3+6+3) საათის განმავლობაშიც ვერ მიიღეს გადაწყვეტილება, მოსამართლე დაითხოვს მათ სრულ შემადგენლობას და იწვევს ახალს.
- ▶ თუ ვერც მსაჯულთა ახალი შემადგენლობა გამოიტანს ვერდიქტს, ბრალდებული გამართლებულად ითვლება.
- ▶ გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრება დაუშვებელია.
- ▶ გამამტყუნებელი ვერდიქტის გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ პროცედურული დარღვევების ან ნაფიც მსაჯულთა მიკერძოებულობის ეჭვის შემთხვევაში.
- ▶ გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება მოსამართლეს შეუძლია, თუ ის მიიჩნევს რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები აქტუალური ენინალმდეგება ვერდიქტს. ამ შემთხვევაში ის ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობას იწვევს.

ნი სასამართლოსადმი ხალხის ნდობის ამაღლება.

ხელისუფლება ახლა ამ ინსტიტუტით თავს საერთაშორისო საზოგადოების წინაშეც მოიწონებს, რომელიც ერთ-ერთ მთავარ ხარვეზად სწორედ სასამართლო სისტემის გაუმართაობასა და პოლიტიზებას მიიჩნევს.

თუმცა, შესაძლოა, კანონს, რომელიც 1 ოქტომბრიდან ამოქმედდე-

ბა, საპირისპირო ეფექტი ჰქონდეს – კიდევ ერთხელ დაადასტუროს, რომ ქართული სასამართლო პოლიტიკურად დამუშტყული საქმეების დროს ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს ვერ იღებს, ვერც მაშინ, როცა განსაჯელს რიგითი მოქალაქეები ასამართლებენ.

მსაჯულების შერჩევისა და სასამართლოს მიმდინარეობის პროცესი ერთი შეხედვით გამართულია. მოსამართლე 100 კანდიდატს ერთიანი სიიდან კომპიუტერული პროგრამის დახმარებით იჩჩევს. ამ პროცესს თვალს ბრალდებისა და დაცვის ნარმომადგენლებიც ადევნებენ. მსაჯულებს საქმის განხილვის დროს გარესამყაროსთან ნებისმიერი კონტაქტი ეკრალებათ. კანონის თანახმად, მათ არ აქვთ უფლება, საქალაქო სასამართლოს შენობიდან გავიდნენ. შენობაში კი მათ ქმედებებს მანდატურები აკონტროლებენ. თუმცა, სასამართლო პროცესი მსაჯულების შერჩევიდან არაუგვიანეს სამ დღეში ინიშნება. ვინაიდან უიურის პროცესში ადვოკატიც და პროცესურორიც მონაწილეობს, მათ სამი დღით ადრე უკვე იციან, ვინ არის 12 მსაჯული. სწორედ ეს სამი დღე შეიძლება გამოიყენონ დაინტერესებულმა მხარეებმა მსაჯულებთან დასაკავშირებლად - მათ მოსახყიდად, ან თურდაც დასაშინებლად. ამ საფრთხის ასაცილებლად კანონში ერთადერთი მექანიზმია ჩადებული - მიკერძოებული, ანდა მოსყიდული მსაჯულის დასჯა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩიდება კითხვა - რამდენად შეძლებენ 12 რიგით მსაჯულად გადაწეული მოქალაქეები როგორც საკუთარ წინასწარ განწყობებთან, ისე საზოგადოებრივ წენებთან და პოლიტიკურ ზენოლასთან გამკლავებას?

ეს უპრეცედენტო ტვირთი იქნება საზოგადოებისთვის, რომელსაც ხელისუფლებამ დამოუკიდებლად სკოლის ბიუჯეტის განკარგვაც ვერ ანდო, რომელსაც თვითმართველობის ტრადიცია არ აქვს და არც ხელისუფლება რთავს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გამოდის, რომ ახლა სწორედ ასეთ საზოგადოებას დაევალება სასამართლო სისტემისადმი ნდობის ამაღლება – იმის გაკეთება, რაც წლება, ხელისუფლებამ თავად ვერ მოახერხა.

ამ მიზანს მიაღწივთ თუ არა ხელისუფლება და თავად ეს ინსტიტუტი, მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა თუნდაც ერთ პოლიტიკურად დამუშტყულ საქმეს საქართველოში მართლაც 12 ნაფიცი მსაჯული გადაწყვეტს – სახელმწიფოს პირდაპირი მითითების ან ჩარევის გარეშე.

2006 წლის 3 მაისს, სასამართლო პროცესის დაწყებიდან 5 წლის თავზე, ამერიკელმა ნაფიცმა მსაჯულებმა სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს „ალექსიდას“ ტერორისტს, ზაქარიას მუსაუის, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტების ერთ-ერთი თანამონაწილე იყო. მსაჯულებმა ეს გადაწყვეტილება მიიღეს მაშინ, როცა ხელისუფლება განწყვეტილივ მუსაუის სიკვდილით დასჯას ითხოვდა და ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებული ომი კი მთელი საზოგადოების განწყობას ასახვდა.

2006 წლის მაისში გამოქვეყნებულ წერილში უწინააღ „ნიუ იორკერის“ პოლიტიკური მიმომხილველი, ჰენ-დრიკ ჰერცებერგი წერდა: „დიდ პატივისცემას იმსახურებს 9 მამაკაცისა და 3 ქალისგან შემდგარი მსაჯულთა გუნდი, რომლებმაც მუსაუის სიკვდილით დასჯის განაჩენი არ გამოიყანა... კრიმინალი, შესაძლოა, იმსახურებდეს სიკვდილს. მეტიც, ის, შესაძლოა, იმსახურებდეს ტანჯვითა და აგნიით სიკვდილს, მაგრამ არც ერთი რიგით მოქალაქე არ იმსახურებს იმას, რომ მონაწილეობა მიიღოს ამ ზედაცემული ადამიანის წინასწარ დაგეგმილ მკვლელობაში, რომელიც განსჯის დღეს მანც უმწეო და შიშისგან განადგურებული ადამიანია“. ეს საქმე ამერიკული მართლმსაჯულების ბარომეტრად იქცა. ასეთი გამოცდების ჩაბარება ნაფიც მსაჯულებს საქართველოშიც მოუწევთ. ❶

მასალაზე მუშაობდა ანიტა თვაური.

2011 წლის 400 ბალანსი



მარკ მალენი

საქართველოში მიღებულ ახალ კანონს, რომელიც მანქანის ტარების დროს უსაფრთხოების ღვედების გაკეთებას ავალდებულებს, საინტერესო ნარმოშობა აქვს. მას დიდი რიცხვების კანონს, ან ბერნულის კანონსაც უწოდებენ, შეეიცარიელი მათემატიკოსის – ბერნულის პატივსაცემად. მიზეზი, რის გამოც ეს კანონი მიიღეს, სრულიად არ ასახავს იმ განწყობას, რაც ღვედების მიმართ საქართველოში ცალკეულ ინდივიდებს აქვთ.

ბევრი ადამიანისთვის, განსაკუთრებით მამაკაცებისთვის, უსაფრთხოების ღვედები სიმძალესთან თუ არა, კაცის-თვის შეუფრებელ მღლვარებასთან მაინც ასოცირდება. მაგარი ბიჭები ღვედებს არ იკეთებენ! ასევე, არსებობს ნარმოდგენა, რომ მანქანის მართვა გარკვეული ტიპის უნარია, რომელსაც მამაკაცები ფლიქერ და აგარია მძლოლის არაპროფესიონალიზმის ბრალია. თუ მძლოლი ღვედებს იკეთებს, ესე იგი, ის თავის მგზავრებს ეუბნება, რომ ცუდი მძლოლია?

როდესაც ადამიანი მანქანაში ჯდება, ის ყოველ ჯერზე იღებს გადაწყვეტილებას, გაიკეთოს თუ არა უსაფრთხოების ქამარი. ზემოთ აღნიშნული კულტურული მოცემულობის ფონზე, გაიკეთებს თუ არა ჩვეულებრივი ადამიანი ღვედს?

ღვედის გაკეთების გადაწყვეტილებას ისიც ართულებს, რომ თითოეული მგზავრობის დროს ავარიაში მოხვედრის ალბათობა თითქმის ნულია. ასე, თანდათანობით მივეღით ისეთ კონდიციამდე, რომ უსაფრთხოების ქამრებს თითქმის არავინ ხმარობს.

მთავრობა ამ ყველაფერს სხვა მხრიდან უყურებს: კერძოდ – სტატისტიკურად. სტატისტიკაში ცნობილი „დიდი რიცხვების კანონის“ მიხედვით, თუ რაომეს ხშირად გავიმეორებთ, ის უფრო დაუახლოვდება თეორიულად გამოთვლილ ალბათობის მაჩვენებელს. მთავრობამ იცის, რომ საქართველოში, ამ პირობებში, როდესაც ღვედებს თითქმის არავინ იყენებს, სიკვდილიანობის რიცხვი დიდია. მათ ასევე იციან, რომ ავა-

რიებით გამოწვეული სიკვდილიანობა 2/3-ით მცირდება იმ ქვეყნებში, სადაც უსაფრთხოების ღვედების გაკეთება სავალდებულოა.

ასე რომ, თუ ყველა გაიკეთებს ღვედებს, მომავალ წელს 400 ადამიანის სიცოცხლეს გადავარჩენთ. ეს შეიძლება იყოს 300 ან 200, მაგრამ თეორიულად, დაახლოებით 400 ადამიანი გადარჩება, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია. შესაძლოა, ერთ-ერთი მათგანი ახლა ამ სტატიას კითხულობს, ან თქვენთან ერთად იმყოფება.

მთავარი არგუმენტი მსგავსი კანონის მიღების წინააღმდეგ პირადი არჩევანის თავისუფლებაა. თუ ვინმეს, ღვედის გაკეთებაზე უარის თქმით, სურს საკუთარი სიცოცხლის გარისკა, ეს მისი უფლებაა და მთავრობა ასეთ საკითხში არ უნდა ერეოდეს. ეს არგუმენტი მუშაობს იმ ასობით ათასობით ადამიანისთვის, რომელიც მანქანაში ჯდება და ავარიაში არ ხვდება, მაგრამ რა უყყოთ იმ ოთხასს, რომლებიც ყოველ წელინადს ავტოსაგზაო შემთხვევებს ეწირებიან? უდავოა, რომ თუ მათ ეცოდინებოდათ მომავალი ავარიის შესახებ, ღვედებს უსიტყვოდ გაიკეთებდნენ და თავისუფლად არჩევანის საკითხზე არც დაფიქრდებოდნენ. პრობლემა ის არის, რომ ავარიამდე არავინ იცის,

ვინ დაიღუპება ღვედებზე უარის თქმის გამო.

ამ ლოგიკით, კიდევ სხვა კანონების და რეგულაციების შემოღებაც შეიძლება. ადამიანები სრულყოფილი არ არიან და სრულყოფილ გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ. ამასთან, სტატისტიკის მოხმობა და ინფორმაციის სასარგებლოდ გამოყენება, საზოგადოებას დადებითად გამოადგება. როგორც მენეჯმენტის სპეციალისტები იტყვიან, რაც იზომება, ის კეთდება კიდეც. სტატისტიკის გაზომვა ნიშნავს არა მხოლოდ პრობლემის უკეთ აღქმას, არამედ თავად ამ ცუდი სტატისტიკის გამოსწორებას. **ც**

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიმ.

၁၇၄

ობების შეცვლილებები

2010-ში მედიისა და პრეზიდენტის ურთიერთობის მელოდრამატული ხანა საბოლოოდ დასრულდა.

სემ ლევისი

„ობამებმა რეზიდენცია დილის 8
საათსა და 49 წუთზე დატოვეს და
ფეხით გადავიდნენ ახლომდებარე
ეკლესიაში. პრეზიდენტს ეცვა მუქი
კოსტუმი და საშა იბამასთვის ჩაეკიდა
ხელი. უკან ღია ფერის კაბებში გამო-
წყობილი მიშელი და მალია მიჰყე-
ბოდნენ. (გთხოვთ, სიზუსტისთვის გა-
დაამონმოთ ფოტო. მზიანი დღე იყო
და პული შორს იდგა).“

ეს არის ფრაგმენტი მოკლე შეტყობინებიდან, რომელიც 2010 წლის 19 სექტემბერს თეთრი სახლის „პულმა“, ანუ იქ მომუშავე უურნალისტების მუდმივმა ჯაშუაზმა გააჩინდეს.

აშშ-ს პირველი ოჯახი იმ დილით
ლაფაიეტის სკვერთან, წმინდა იოანეს
სახელობის პატარა ეკლესიაში დილით
წირვას და ქადაგებას დაესწრო.

ჩატულიბის ზედმინევნით აღნერის
გარდა, ცნობაში ქადაგების ოქმა იყო
მითითებული. იგავი 16. 1-13 ლუკას
სახარებიდან, რომელიც შემდეგი სი-
ტყვებით მთავრდება: „არავის მონასა
ხელენიფების ორთა უფალთა მონე-
ბად... ვერ ხელენიფების ღმრთისა მო-
ნებად და მამონაისა.“

პრეზიდენტს, ცხადია, არა ამ როუ-ლი იგავის თანამედროვე მორალის მოსმენა, არამედ კამერების თვალწინ ეკლესიაში იშვიათი (ჟურნალისტებმა დაუთვალის, რომ 2 წლის განმავლობაში სულ ექვსჯერ იყო) სტუმრობით იმის შეხესნება სურდა, რომ მორჩმუნე ქრისტიანია.

ამ დღეს კომენტატორები რამდენიმე კვირა ელოდნენ, ელოდნენ, როდის გამოიყენებათ ობამა მედიას მისი



■ በጀት የዕለታዊ ስራውን እና ማስረጃዎች በመሆኑ የሚያሳይ

რწმენის გარშემო მომრავლებული „კურუნწმენების“ აასაქარწყობლად.

აგვისტოს ბოლოს „ნიუსკივე“ გა-
მოქვეყნდა კვლევა, რომლის მიხედ-
ვით, გამოკითხულთა 24 პროცენტს
სკერა, რომ აშშ-ს პრეზიდენტი მაჰ-
მადიანია. „ნიუსკივმა“ კვლევის შედე-
გები ასე ახსნა: უფრო და უფრო მეტ
ამომრჩეველს აღარ მოსწონს ოპამა
და ისინი მზად არიან, დაიჯერონ ნე-
ბისმიერი ნეგატიური ცნობა მის შე-
სახებ და ამ შემთხვევაში, მათვის
მაჰმადიანობა პოზიტიური ფაქტორი
არ არის.

ამომრჩევლებს და მედიას გრძნობები პრეზიდენტის მიმართ ერთდროულად და გარკვეულწილად, ერთმანეთის გავლენითაც გაუცილდა.

დღეს საკვირაო პოლიტიკურ ტოქ-

შეუებში შეგიძლიათ, მოისმინოთ
მსჯელობა, გაზრდების სვეტებში კი
მოიძიოთ ფრაზები პრეზიდენტი ობა-
მას უუნარობაზე — ახსნას მისი ად-
მინისტრაციის მილენეგვები და გეგმები.

ობამა, რომლის სიდინევე უურნა-ლისტებს აღაფრთვანებდა და მგზ-ნებარე ფრაზები მასებს აღაგზნებდა, დღეს მოსაწყენი გახდა. ნაქებ სიმშვი-დეს ახლა გულგრილობად აღიქვამენ და ეჩვენებათ, რომ პრეზიდენტი ტე-ლემოკარნასის გარეშე ხშირად უინტე-რესოდ, ხან უმწეოდაც კი გამოიყურე-ბა.

მედიის განხიბვლა თანდათან
დაინტერეს.

2009 წლის განმავლობაში პრეზი-
დენტის საქმიანობის გაშუქება მე-
დიაში თითქმის უზაღლოდ იყო და-

ბალანსებული: 49% პოზიტიური და 51% ნეგატიური მასალა „ეი-ბი-სის“, „სი-ბი-ესის“, „ენ-ბი-სი-ს“, ასევე „ნიუ იორკ თაიმსისა“ და „ნიუსეინის“ მიერ გამოქვეყნებული 3 859 ინფორმაციიდან. (წყარო: Center for Media and Public Affairs (CMFA))

ობამას მიმართ მედიის პოზიტიური განწყობა თითქმის ოჯახერ აღემატებოდა წინამორბედი პრეზიდენტების, მათ შორის „დიდ კომუნიკატორად“ აღიარებული რეიგანის (26%) მონაცემებსაც.

ამავე დროს, თუ CMFA-ის კვლევის შედეგებს თვეების მიხედვით განიხილავდით, აღმოაჩენდით, რომ 2009-ს აპრილში გაშუქებული ამბების 59% იყო პოზიტიური, დეკემბერში კი ეს მაჩვენებელი 39%-მდე დაეცა.

როგორც მკვლევარებმა განმარტეს, „მედიამ შეწყვიტა პრეზიდენტ ობამას, როგორც ისტორიული ფიგურის გაშუქება და დაიწყო პრეზიდენტ ობამას – როგორც პოლიტიკოსის შეფასება.“

2010-ში მედიისა და პრეზიდენტის ურთიერთობის მელოდრამატული ხანა საბოლოოდ დასრულდა.

„მას არასდროს ჭირდებოდა არ-შიყი მედიისათან, პრინციპში, ჩვენ მას არასდროს ვჭირდებოდით“ – აღიარებს დღეს „ენ-ბი-სის“ თეთრი სახლის კორესპონდენტი ჩაკ ტოდი.

„ის ჩვენ გვეპყრობოდა გულგრილი კორექტულობით. ხანდახან ღიანდებოდა კიდეც: როგორც ყველა დემოკრატს, ეგონა, რომ მედია ბუნებრივად მის მხარეს უნდა ყოფილიყო,“ – იხსენებს საარჩევნო კამპანიის პერიოდს უურნალისტი მაურინ დაუდი, „ნიუ იორკ ტაიმსში“ ამ ზაფულს გამოქვეყნებულ სვეტში.

არადა, კამპანიის დროს ყველაფერი სხვაგვარად ჩანდა.

ერთი მოწვევის სენატორი ობამა, რომლის მთავარი მიღწევა 2006 წელს საკუთარი ავტობიოგრაფიის „მამაჩემის ოცნებები“ აუდიო ვერსიისთვის მიღებული გრემი იყო, 23 ოქტომბერს უურნალმა „ტაიმშა“ მომავალ პრეზიდენტად დაასახელა. ყდაზე გამოიტანა სათაური: „რატომ შეიძლება, მარავ იყოს ამერიკის შემდეგი პრეზიდენტი“. ამავე უურნალმა ახალგაზრდა სენატორი მსოფლიოს რევოლუციონერებისა და გავლენიანი ლიდერების პირველ 20-ეულში შეიყვანა.

სენატორი როკ-ვარსკვლავივით პოპულარული ელვის სისწრაფით გახდა და ის, რაც შემდეგ მოხდა, ამერიკელ უურნალისტებს, როგორც წესი, არ ემართებათ ხოლმე: მათ პრეზიდენტობის კანდიდატი შეუყვარდათ.

ამომრჩევლებმა ეს მალევე შენიშვნეს. წინასაარჩევნო გამოკითხვებში გამოკითხულთა უმეტესობას არა მარტო სჯეროდა, რომ უურნალისტებს ობამას გამარჯვება სურდა, არამედ ფიქრობდნენ, რომ მედია მას გამარჯვების მიღწევაში ეხმარებოდა.

„ტაიმის“, „ჰაფინგტონ პოსტის“, „ბალტიმორ სანის“, „გარდიანის“, „სალონის“, „ნიუ რეპაბლიკის“ უურნალისტები არ პატიობდნენ „ეი-ბი-სი-ს წინასაარჩევნო დებატებში ობამას მიმართ დასმულ კითხვებს. სტეფანოპულოს წინასაარჩევნო დებატებში ობამას მიმართ დასმულ კითხვებს. სტეფანოპულოსმა კანდიდატ ობამას მისი ძველი ნაცნობის, 60-იანი წლების ექსტრემისტის, ბილი აირესის და ანტიამერიკული განცხადებებით ცნობილი მოძღვრის იერემია რაიონის შესახებ ჰკითხა.

ეს კითხვები პოპულარული მაშინ მხოლოდ კონსერვატიულ მედიაში იყო: პოპულარული რადიონამყანების ტოქ-შოუებში, ტელეკომპანია „ფოქ-სის“ გადაცემებში და კონსერვატიულ ბლოგოსფეროში.

პირველი სერიოზული პრობლემა პრეზიდენტ ობამას და მედიის ურთიერთობებში მაშინ გაჩნდა, როდესაც თეთრი სახლმა ტელეკომპანია „ფოქ-სის“ მარგინალიზაცია დაიწყო: პრეზიდენტი ინტერვიუებს ყველა ტელეკომპანიას აძლევდა „ფოქ-სის“ გარდა. თეთრი სახლის კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორმა ანიტა დანმა კი მიზეზი ასე ახსნა: „ფოქ-სის“ რესპუბლიკური პარტიის დანამატიაო.

მაშინ ლიბერალური მედიაც „ფოქ-სის“ მხარეს დადგა, თეთრ სახლს ლამის ობსტრუქცია მოუწყეს, და ადმინისტრაციამაც უკან დაიხია. (მო-

გვიანებით ანიტა დანმა მათ ძელუნის შესახებ გაკეთებული კომენტარების გამო თანამდებობა დატოვა. ცხადია, ამ კომენტარების ტირაჟირება „ფოქ-სის“ ეთერში მოხდა).

შემდეგ გაჩნდა შიში, უფრო შეგრძნება, რომ ობამას ადმინისტრაცია მედიის გაკონტროლებას ცდილობს. ადმინისტრაციის მიმართ მეგობრულად განწყობილმა ექსპერტებმა ფედერალურ საკომუნიკაციო კომისიას მიმართეს, საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით რადიოგადაცემებში პოლიტიკური დისკურსის გაფართოებისა და აღტერნატიული აზრის გადაცემის დავალდებულების მოთხოვნით. რადიოს მეგაპოპულარული კომენტატორები აცხადებდნენ, რომ ეს მათ წინააღმდეგ იყო მიმართული.

2009 წლის ივლისში თეთრი სახლის მემატიანე უურნალისტმა, ჰელენ ტომასმა თქვა, რომ ნიქსონსაც არ უცდია მედიის ისე გაკონტროლება, როგორც ობამას თეთრი სახლი ცდილობდა.

„ჰელენიათ, რომ ჩვენ მარიონეტები ვართ? ჩვენ საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაჰყონ. ისინი საჯარო მოსამასახურები არიან, მათ ჩვენ უხდით ფულს და ჩვენ უნდა გვემსახუროთ.“ ტომასის აღმფოთება ერთ-ერთი უურნალისტის კითხვას მოყვა, რომელიც აღმოჩნდა, რომ მან თეთრი სახლის თხოვნით დასვა. (57-წლიანი კარიერა ჰელენ ტომასმა 2010, წლის ზაფხულში დაასრულა).

მედია არა მარტო წინასწარ შეთანხმებულ კითხვებს, არამედ ობამას პრესკონფერენციების სიმცირესაც უჩივის.

ამ ზაფხულს უურნალისტები ოჯახებთან ერთად ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მის რეზიდენციაში აუზე დაპატიჟა. წვეულებაზე, სადაც თეთრი სახლის აპარატის უფროსი ემანუელი წყლის თოფით ასველებდა სტუმრებს, განუწყისელი ბაიდენი კი შვილისვილთან ერთობოდა, უურნალისტებმა აღმოჩინეს, რომ მედიასთან ურთიერთობა, წაცდენებით ცნობილ ქვეყნის მეორე პირს გადაებარა. ■

ლალასტანი - ნაციასიური სამხრის ბიბითვი

მომავალი თვეებისა და წლების განმავლობაში, სავსებით შესაძლებელია, საქართველოს მოსაზღვრე დაღესტანი ჩრდილო კავკასიის აჯანყების ეპიცენტრი გახდეს.

ემილ სულეიმანოვი

დაღესტანი ძალადობის განსაკუთრებულმა ტალადმ მოიცავა.

4 სექტემბერს რესპუბლიკის ნაციონალური პოლიტიკის მინისტრის ბეკმურზა ბეკმურზავის ავტომანქანა ააფეხქეს. ჩინოვნიკი გადარჩა, თუმცა სერიოზული ტრავები მიიღო. მომდევნო დღეს, ბუნიაკუში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ბაზაზე თვითმკვლელმა ტერორისტმა მიიტანა იერში და ოთხი ფედერალური ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა.

12 სექტემბერს ორი სპეციალურაციის შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა, აქედან 10 ბოევიკი, 3 სამართალდამცავი. ეს სპეციალურაცია, თავის მხრივ, შეს სამინისტროს ექსტრემიზმთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელის გაპალა გაფირევის მკვლელობაზე პასუხი იყო.

ეს არასრული ჩამონათვალია იმ ტერაქტებისა და სპეციალურაციების, რომლებიც ბოლო ერთი თვის განმავლობაში დაღესტანში მოხდა.

დაღესტანი, 2.5 მილიონიანი მოსახლეობით, რუსეთის ჩრდილო კავკასიის ყველაზე დიდი ავტონომიაა.

სროლები, დაბომბებები, ისლამისტი აჯანყებულების წინააღმდეგ პოლიციის რეაგები ამ მთანი რესპუბლიკის პოლიტიკური ლანდშაფტის განუყოფელ ნაწილად იქცა. სიტუაცია იმდენად გამძაფრდა, რომ დამკარგებელი სამოქალაქო მმზე ალაპარაკდნენ, რომელიც ამ არასტაბილური რეგიონის მასშტაბითაც კი, უპრეცედენტო შეიძლება, გახდეს.

ჩრდილო კავკასიაში უკვე გადაისროლეს პეტერბურგთან დისლოცირებული სამხედრო ნაწილის სწრაფი რეაგირე-

ბის ძალები, რომელთაც ოფიციალურად სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებული ობიექტების დაცვა აქვთ დაგალებული.

სამხედროების მშობლებს, რომლებმაც შვილების ჩრდილოეთ დაღესტანში გაგზავნა გააპროტესტეს, ჩრდილოდასავლეთის ოლქის შინაგანი ჯარების მთავარსარდალმა გენადი მარჩენკომ ასეთი პასუხი გასცა: „ჩვენ ხომ მტრები გვყავს, საქართველოა ჩვენი მტერი!“

საფრთხედ აღიარების შემდეგ, ათასობით ახალგაზრდა დაღესტნელი ტერორიზმისა და ვაჰაბიზმის ბრალდებით ადგილობრივმა ხელისუფლებამ გისოსებს მიღმა ჩასვა, სადაც მათ ხშირად საბჭოთა სტილის „დაკითხვას“ უწყობდნენ.

ლრმა რელიგიურობას ხელისუფლება განსაკუთრებული ეჭვით უყურებდა და, პროფილაქტიკის მიზნით, რეალური და სავარაუდო ვაჰაბიზმისა და მათი



დაღესტანი საქართველოს სამხრეთადასავლეთით ესაზღვრება.

1990-იანი წლების დასაწყისში დაღესტნის ზოგიერთი თემი ჩრდილო კავკასიაში სალაფიზმის (ვაჰაბიზმი) პირველი მიმდევარი გახდა. თუმცა, 1999 წლის აგვისტოში დაღესტნურ-ჩეჩენური სალაფისტი აჯანყებულების დასავლეთ დაღესტანში წარმატებელმა შექრამ, რესპუბლიკაში ამ იდეოლოგიის დისკრეტუაციას შეუწყო ხელი.

რა მოხდა მას შემდეგ? უპირველეს ყოვლისა, 1999-2001 წლებში, „ისლამური ტერორიზმის“ მთავარ წარიმონალურ

მხარდამჭერების წინააღმდეგ სრულმასტაბიან მოს ანარმონებდა.

კორუმპირებული და დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული ბევრი მიღიციელისთვის გამოსასყიდის მიზნით ადამიანთა დაკავება შემოსავლის სოლიდურ წყაროდ იქცა.

ხშირად ხელისუფლებას სავარაუდო ვაჰაბისტების გასამართლებისა და ციხეში ჩასმისათვის საკარისი მტკიცებულებები არ ჰქონდა. ამ უკანასკნელებს რამდენიმეთვეიანი წამების შემდეგ ათავისუფლებდნენ. ბევრმა მათგანმა საკუთარი შეურაცხყოფისთვის სამაგიეროს

გადახდის მიზნით, ძალადობას მიმართა.

ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ერთი ადამიანისთვის საკმაოდ რთული ამოცანაა, ამდენად, ბევრი ახალგაზრდა დაღესტნელი მთებში ამბოხებულითა მოძრაობას შეუერთდა, სადაც ისინი სალაფიზმის საფუძვლებს ეზიარნენ.

ჩამოყალიბდა წინააღმდეგობის საერთო იდეოლოგია. მებამბოხეთა მთავარი მიზანი მოსკოვისაგან დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოს შექმნა გახდა, მთავარი სამიზნე კი რუსი დამპყრობლები და მათი დაღესტნელი „მარიონეტები“.

დაღესტნელი ხალხის კოლექტიური მეხსიერება საუკუნეების განმავლობაში ანტიკოლონიურ, ანტირუსულ წინააღმდეგობის მოძრაობას ეფუძნება, სადაც ადგილობრივი რენეგატების წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ბევრი დაღესტნელი აჯანყებას სახელ-

საქმიანობას ეწევიან) წევრობამ ინდივიდუალურ მეომრებს საშუალება მისცა, ეთნიკური და კლანური ერთგულების ხლართებისათვის დაეღწია თავი და რელიგიაზე დაფუძნებული სოციალური სოლიდარობის უპრეცედენტო გრძნობის ირგვლივ გაერთიანებულიყო.

შესაბამისად, წინააღმდეგობის მოძრაობის იდეოლოგია, ძალადობის პოლიტიზაციასთან ერთად, ვითარდებოდა.

შედეგად, დაღესტანში ახლა სამოქალაქო ომი მძინვარებს. სავარაუდოდ, დაახლოებით 2500 ახალგაზრდა დაღესტნელი აჯანყებაშია ჩართული. მათი რიცხვი უფრო და უფრო მეტი განწირული ახალგაზრდის შესვლის შედეგად გამუდმებით იზრდება.

პრომოსეოური პრეზიდენტის – რამზან კადიროვის მართვის მქაცრი მეთოდების შედეგად მეზობელ ჩეჩენეთში მყიფე მშეიძლობამ დაისადგურა და დღეს აქ შედარებით სტაბილურია ვითარება.

ამას კი, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან უფრო მეტი სადამსჯელო ლონისძიება მოჰყვება, რასაც რესპუბლიკა გარდაუგალი ჩეჩენეთიზაციისკენ მიჰყავს, რადგან უფრო და უფრო მეტი დაღესტნელი და მათი ოჯახის წევრი სისხლის აღების მარულაში ჩაეჭმება.

ჩეჩენეთისგან განსხვავებით, სადაც ჩევეულებრივმა ხალხმა ორი სისხლისმღვრელი ომი გადაიტანა, ათასობით ადამიანი დაკარგა და, შესაბამისად, უმტკესობა უკვე ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში მშვიდობიან ცხოვრებაზე თანახმაა, დაღესტანში ყველაფერი ახლა იწყება.

ზოგიერთი ჯამაათი საკმაოდ დამოუკიდებელი ერთეულია, ეთნიკური პრინციპის ნაცვლად ტერიტორიულ პრინციპის ეფუძნება და საკუთარი შეხედულებებით მოქმედებს, რაც მათ ხელში ჩაგდებას ართულებს.

თუმცა ჯამაათებს შორის ბევრი მსგავსებაცაა: მათ წინააღმდეგობის საერთო იდეა, პირადი შურისძიების გრძნობა და მოძღვე მტერი აერთიანებთ. ისინი ადგილობრივი მოსახლეობის მზარდ მხარდაჭერას ეფუძნებიან. ჩრდილოეთ კავკასიის ბევრ რესპუბლიკაში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არსებობს, რომელიც რუსეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გაამძაფრა – ხელისუფლების მიერ შევიწროებულებისადმი დახმარების განევა.

დაღესტნელი აჯანყებულები თანდათან პარტიზანული ომის უნარებსაც ითვისებენ. მათი თავგანწირული ბრძოლა დაღესტნელ, ჩეჩენ, ინგუშ, ბალყარ, ჩერქეზ თანამოაზრებს რეგიონული სოლიდარობის გრძნობას უდღივებს. თუ ამ რეგიონული სოლიდარობის გრძნობამ პიქს მიაღწია, მაშინ ფედერალურ ხელისუფლებას კავკასიის დაშოშმინება ძალიან გაუჭირდება. ■

■ დაღესტანში
ახლა სამოქალაქო
ომი მძინვარებს.
სავარაუდოდ,
დაახლოებით 2500
ახალგაზრდა აჯანყებაშია
ჩართული. მათი რიცხვი
უფრო და უფრო იზრდება.



მნიშვნოს ცოდვების მიმართ პროტესტის წინად შეუერთდა. მათი პროტესტი კორუფციულმა განუკითხაობამ, მოსკოვის მხრიდან ადგილობრივი ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლამ, საკუთარი თავის რეალიზების შეუძლებლობამ და საკუთარი სამშობლოსთვის უკეთესი - სავარაუდოდ, ისლამური - მომავლის ძებამ განაპირობა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჯამაათების (ამ სახელმძღვანელოებით მოიხსენიებან) ისლამისტურ ტერიტორიულ-ეთნიკურ იატაკებებს, რომლებიც ტერორისტულ

ჩეჩენეთის „ადგილს“ ჩრდილო კავკასიაში თანდათანობით დაღესტანი და ინგუშეთი იკავებენ.

მაშინ, როცა ბევრმა ჩეჩენმა დასჯის თავიდან აცილების მიზნით, შურისძიება „უკეთესი დროისთვის“ გადადო, ეს პროცესი დაღესტნის ყოველდღიურობად იქცა.

ზოგიერთი, თუნდაც საკმაოდ გავლენიანი საველე მეთაურების ლიკვიდაციის მიუხედავად, დაღესტნის მოძრაობა ერთ ლამზე არასდროს დაისრუბა, ვინაიდან ინდივიდუალური მეომრები ინდივიდუალურ ვენდეტებს გააგრძელებენ.

ემილ სულეიმანოვი, მეცნიერებათა დოქტორი, რუსული და აღმოსავლეთ ევროპული კვლევების კათედრა, კარლოვის უნივერსიტეტი, ჩეხეთი, პრაღა

წოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის უუნარობა, ქვეყნის ახალი მმართველი გუნდისთვის შესაძლოა, დიდ საფრთხედ იქცეს და ნოემბერში კომუნისტების დაბრუნებით დასრულდეს.

დიანა ჩაჩუა

ერთ ვეინერი, ცნობილი ამერიკელი უუნარლისტი, თავის წიგნში „ბედნიერების გეოგრაფია“ მოლდოველებს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უშდედურ ერად მოიხსენიებს. იგივე წერია მოლდოვის შესახებ ბოლო ორ ათწლეულში დაწერილ თითქმის ყველა წიგნსა და სტატიაში.

მოლდოვას არც ცენტრალური ევროპის მსგავსი დიადი კულტურა აქვს, არც ბალგანეთის რომანტიზმი, არც ბალტიის შარმი და არც კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა. ამიტომაც ვეინერის აზრით, მოლდოველებს, მოძმებოსტსაბჭოთა ერებს მორის, ყველაზე მეტად აკლიათ ყურადღება.

2009 წლის პოლიტიკური კრიზისის და არეულობების შემდეგ მოლდოვამ ეს უყურადღებობა რეკორდულად აინაზღაურა.

ერთ წელიწადში ორი საპარლამენტო არჩევნების, ქერის არეულობებისა და პრეზიდენტის არჩევის უშედეგო მცდელობების შემდეგ, მოლდოვა საერთაშორისო პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა.

გასულ წელს დაწყებული კრიზისი ქვეყანამ დღემდე ვერ გადალახა. მოლდოვას უკვე წელიწადზე მეტია პრეზიდენტი არ ჰყავს. მის მოვალეობას პარლამენტის თავმჯდომარე მიხაი გიმპუასტულებს.

საპარლამენტო არჩევნებზე, რომლებიც ნოემბრის ბოლოს გამართება, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანიზმი კონტროლის მოსაპოვებლად მმართველი პრო-ევროპული პარტია და ოპოზიციური კომუნისტური პარტია იპრომოულენ. ახალი პარლამენტი, თავის მხრივ, პრეზიდენტის აირჩევს.

მომავალში მსგავსი პოლიტიკური

კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, ევროპული ინტეგრაციის ალიანსმა (მმართველი კოალიცია) პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევის პროცედურის შემოღება დაისახა მიზნად.

5 სექტემბერს ამ საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმი ჩავარდა. მიზეზი ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა გახდა: საარჩევნო უბნებთან მოსახლეობის მხოლოდ 30.29 პროცენტი გამოცხადდა, მაშინ როცა მინიმალური ზღვარი 33.33 პროცენტია. ამით მოლდოველებმა მომავალი ორი წლის მანძილზე პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევის შანსი გაუშვეს ხელიდან, რადგან, კონსტიტუციის თანახმად, ჩაშლის შემთხვევაში იგივე საკითხზე განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარება მხოლოდ ამ ვადაშია დაშვებული.

მოლდოვა ერთადერთი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცესა და ევროპის კონტინენტზე, რომელსაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაახლოებით 11 წლის განმავლობაში (1998-2009) ისევ კომუნისტები მართავდნენ.

მოლდოვურ კომუნიზმს კლასიკურისა გან რამდენიმე ნიშნით განახვავებენ: მემარჯვენე იდეოლოგია და ევროკავშირში განვითარინება, როგორც მთავარი ნინასარჩევნო დაპირება.

თავისი რეანიმაციი მოღვაწეობის მანძილზე მოლდოვას ყოფილი პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი მოსკოვსა და ბრიუსელს შორის, საბჭოთა კავშირის ბედნიერ მოგონებებსა და ევროპულ მისწრაფებებს შორის ლავირებას ცდილობდა.

ერთი შეხედვით, მოლდოვა ერთეული ყველაზე ევროპული ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკურ რუკაზე: მოლდოველები ევროკავშირის

ერთ-ერთ ენაზე – რუმინულად საუბრობენ, მოსახლეობის სამი მეოთხედი ევროკავშირში განევრიანების მომხრეა, ესპორტის ნახევარი იქ გადის (რუსეთში მხოლოდ 15 პროცენტი), ემიგრანტების აბსოლუტური უმრავლესობა ევროპაში საქმიანობს.

მოლდოვა ერთადერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა (ბალტიის ქვეყნების გამოკლებით), სადაც ძალაუფლების ცვლა არჩევნების გზით ხდება.

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, დემოკრატიული განვითარების კუთხით მოლდოვას მაინც ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მარცენებლები აქვს.

სანამ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები, ავად თუ კარგად, სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის გამყარებას ცდილობენ, მოლდოვაში კვლავაც იდენტურობის და საკუთარი ენის სახელწილებაზე დავიბენ.

მაგალითად, დნესტრისპირეთის შემოერთებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პატრიოტული ლოზუნებების პარალელურად, მოლდოველები მეზობელ რუმინეთთან ინტეგრაციის შესაძლებლობებზე საუბრობენ.

რუმინეთთან მოლდოვას საერთო ისტორია და ენა აკავშირებს.

კავესისის ქვეყნებში არსებული კონფლიქტებისგან განსხვავებით (ქართულაფეხაზური, ქართულ-ოსური, სომხეთ-აზერბაიჯანული) აქ ტერიტორიული კონფლიქტის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. ლექტორატის დიდი ნაწილი დნესტრისპირეთის საკითხისადმი ბევრად ინდიფერენტულია.

როგორც 2008 წელს Institute for public Policy-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, გამოკითხულთა მხოლოდ



კომუნისტების ნოებბრის საპარლამენტო არჩევნებზე გამარჯვების რეალური შანსი აქვთ

■ მოლდოვა ერთადერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა (ბალტიის ქვეუნების გამოკლებით), სადაც 1991 წლიდან დღემდე ძალაუფლების გადაცემა ლეგალური და კონსტიტუციური გზით, არჩევნების მეშვეობით მოხდა.

ორმა პროცენტმა დაასახელა დნესტრისპირეთის საკითხი ნომერ პირველ პრიორიტეტად, ათმა პროცენტმა კი ამ საკითხს სამეულში მიუჩინა ადგილი.

შექმნილ სურათში ნებილი არ უნდა უნდა დავუკარგოთ რუსეთს, რომელიც მოლდოვაში რუსული მედიის პოპულარობის წყალიბით, აქაურ მოსახლეობაზე აქტიურად „მუშაობს“. აგვისტოს ომის და უკრაინა-რუსეთის გაზის კონფლიქტის აღმაც მოლდოველებში რუსული პრიზმიდან უფრო ხდებოდა, რაც გარკვეული დოზით მოლდოვაში რუსეთის გავლენაზე მიუთითებს.

თუმცა, მეტ-ნაკლები პოლიტიკური და ეთნიკური პლურალიზმის წყალობით, კრემლს კიშინოვში ძლიერი და-საყრდენი მაინც არ ჰყავს, რაც ხშირად მოსკოვის გალიზიანებას იწვევს. მაგალითად, რამდენიმე წლის განმავლობაში მოლდავურ ლვინოებზე დაწესებული ემბარგოც ევროინტეგრაციის მოსურნე კიშინოვის დასასჯელად მოფიქრებული ოპერაცია იყო. მოლდოვა, ჯერჯერობით, მეტ-ნაკლებად ასერხებს კიშინოვში რუსული ინტერესების განეიტრალებას. თუმცა, მოსკოვის მხრიდან დნესტრის პირველების მხრიდან დნესტრის მიმდევარის გამარჯვების რეალური შანსი აქვთ.

ფაქტორით ეფექტური მანიპულირების წყალობით, ოფიციალური კიშინოვისთვის ეს საკითხი მაინც გამოწვევად ჩატარდა.

განსხვავებული და უწივეულოა მოლდოვის საგარეო პოლიტიკაც: 90-იან წლებში ქვეყანა რუსეთ-ბელორუსის კავშირში გაერთიანებისკენ იღვნიდა, თუმცა ამ გეგმის ჩაშლის შემდეგ ქვეყნის სათავეში მყოფმა კომუნისტებმა გაზიარდა უკავშირისა და ნატოსკენ აიღეს.

მოლდოველი კომუნისტები პირველები არ არიან ევროკავშირისკენ სწრა-

აღმოსავლეთი პარტნიორობა

ფვის თვალსაზრისით. 90-იან წლებში მეზობელ რუმინეთში ევროკავშირსა და ნაციონალური ეკონომიკური განვითარების პროცესის ძირითადი სამუშაო დემოკრატიულ-სოციალისტურმა პარტიამ და პრეზიდენტმა იოლ ილიესკუმ გასწიეს, რომელიც ჩაუშესკუს კომუნისტური დიქტატურის პირდაპირი მემკვიდრე იყო.

ყველა ამ პარადოქსის მიუხედავად, მოლდოვამ მოახერხა, არ გამხდარიყო ავტორიტარული სახელმწიფო, სადაც არჩევნები მნიშვნელობას დაკარგვდა. მას არც ფერადი რევოლუციების მსაგავსი დემოკრატიული აღზევება გამოუვლია.

2009 წლის აპრილის საპარლამენტო არჩევნების დროს მოლდოვა ორივე მო-

ვლენასთან ახლოს იყო, თუმცა სრულად ვერც ერთი სცენარი ვერ განვითარდა.

საბოლოოდ საქმე ივლისის ხელმორე არჩევნებამდე მივიდა, სადაც კომუნისტებმა მოულოდნელი მარცხი განიცადეს და ოპოზიციაში გადაინაცვლეს. შესაბამისად, მოლდოვა ერთადერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყანაა (ბალტიის ქვეყნების გამოკლებით), სადაც 1991 წლიდან დღემდე ძალაუფლების გადაცემა ლეგალური და კონსტიტუციური გზით, არჩევნების მეშვეობით მოხდა.

ამ შედარებითი პოლიტიკური პლურალიზმის უკან მრავალეთნიკური მოსახლეობა დგას. მოსახლეობის 30 პროცენტს აქ უმცირესობები შეადგენენ.

დანარჩენი მოსახლეობა კი სამ ჯგუფად იყოფა: ისინი, ვინც თავს რუმინელებად მიიჩნევენ, რუმინულ ენაზე ლაპარაკობენ და რუმინეთთან შეერთება სურთ; ისინი ვინც, გარკვეულწილად აღიარებენ მოლდოვურ ერს, თუმცა მას მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ და ძირითადად, რუმინულ ენაზე საუბრობენ; და მესამე ჯგუფი მოლდოველებისა, რომლებიც მხოლოდ მოლდოვურ ენაზე საუბრობს და ანტი-რუმინული სენტიმენტებით გამოირჩევა.

იდენტობის პრობლემა, ეროვნული სიამაყის ნაკლებობა და მომავლისადმი სკეპტიციზმი მოლდოვაში პოლიტიკურ პროცესებს მნიშვნელოვან წილად განაპირობებს. ამ წლების მანძილზე არც ერთი ამ კატეგორიის ნარმომადგენელ პოლიტიკურ ძალას არ ჰქონია საკმარისი ძალაუფლება, რათა სახელმწიფოზე ან მეორე ჯგუფზე გავლენა მოხედინა და ავტორიტარული მმართველობა დაემყარებინა.

კონტინენტის ამ ყველაზე ღარიბი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 25 პროცენტი ემზარეციაშია. მათ მიერ გამოზანილი ფული მოლდოვას მთლიანი შიდა პროდუქტის 38 პროცენტს შეადგენს, რითაც ეს ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა.

მოლდოვას მონახულებაც ურთიერთ-საწინააღმდეგო გრძნობებს ტოვებს. ერთი მხრივ, აქ თითქოს, დროა გაჩერებული და ქუჩებში საბჭოთა კავშირის სუნი ტრიალებს. მეორე მხრივ კი, რჩება შთაბეჭდილება, რომ, ცოტაც და, ეს ქვეყანა ევროკავშირის ბეჭინერი იჯაბის წევრი გახდება – აქ საგარეო უწყებას საგარეო საქმითა და ევროინტეგრაციის სამინისტრო ჰქია, ევროპული სიმბოლიკის სიტარით კი მოლდოვა მხოლოდ საქართველოს თუ ჩამოუვარდება.

მოლდოველებს ევროკავშირში გაწევრიანება, პირველ რიგში, თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობის გამოსურთ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე მოლაპარაკებები ივნისში დაიწყო. აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყანა – მოლდოვა,

ერასტისპირი

დნესტრისპირითის თვითგამოცხადებული მოლდავური რესპუბლიკა ის შემთხვევაა, რომელსაც ყველაზე ზუსტად შეეფერება სიტყვა „გაიზული“ და ყველაზე ნაკლებად – კონფლიქტი. აქ 1992 წლის შემდეგ – კონფლიქტის შეიარაღებული, აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ, – ადგილი არ ჰქონია სამხედრო შეკავებას ან რაიმე პროვოკაციას.

დნესტრის მეორე მხარეს, უკრაინის საზღვაოთან უთანხმოების გალვივებაში, თავის დროზე, დიდი როლი რუსეთმა ითამაშა.

უმეტესად რუსებით და რუსულენოვანი უკრაინელებით დასახლებულ რეგიონში კაშინიოვის მიერ მოლდოვური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას და ლათინურ ანბანზე გადასვას ვერ შეეცვნენ – ეროვნული „თვითმყოფადობის“ წინააღმდეგ საფრთხედ აღიქვეს და 1990 წელს (რეფერენდუმის გზით) დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

მოვლენები ტიპური სცენარით განვითარდა – ოფიციალურმა კაშინიოვმა ტირასპოლში (დნესტრისპირითის დედაქალაქი) ჯარები შეიყვანა. 1992 წელს – კონფლიქტის ყვე-

ლაზე ცხელ ფაზაში ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. იმავე წელს რესპუბლიკაში რუსეთის მე-14 არმია შევიდა და ამით კონფლიქტის შეიარაღებული ფაზა დასრულდა.

მოლდოვასა და ევროპაში დნესტრისპირით დღეს „პატარა საბჭოთა კავშირად“ მოიხსენიება, რუსეთის, რუსული ენის და საბჭოთა იდეოლოგიის დომინირების გამო. აქ ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური სლოვანი დაახლოებით ასე ჟღერის: „ჩვენი ძლიერება რუსეთთან ერთიანობაშია.“

ტირასპოლის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე გამოკრულია იგორ სმირნოვის (დნესტრისპირითის დე-ფაქტო პრეზიდენტი), სერგეი ბალაზშის და ედუარდ კოკოითის პორტრეტები. დღეს კონფლიქტის ზონის უსაფრთხოებას რუსეთის, მოლდოვას და უკრაინის შერეული სამშვიდობო ძალები იცავენ.

რუსეთი დღესაც ირიბად თანაუგრძნობს დნესტრისპირითის სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ და ამ კონფლიქტს მოლდოვსთან ურთიერთობების გასარკვევად იყენებს.



დაპირისპირება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, კიშინოვი, 2009

შედარებით გამარტივებული სავიზო წესებით სარგებლობს, თუმცა მაინც რეგიონში ერთ-ერთი გამონაკელისა, რომელსაც ევროპაში მოსახვედრად ვიზა სტირდება. სერბეთისთვის, მონტენეგროსთვის და მაკედონისთვის საზღვრები გასული წლის დეკემბერში გაიხსნა.

მოლდოველები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათი ინტეგრაციით სარგებელს ევროკავშირიც ნახავს, პირველ რიგში – ეკონომიკური კუთხით. აქ მაღალკულიფიციური, მობილური მუშახელი და ნაყოფიერი მინები აქვთ.

თუმცა ევროკავშირში შეიძენ, რომ მოლდოვას განერიანებას მიგრაციის ბუმი მოყენება. ევროპაში უკვე მუშაობს ასობით ათასი მოლდოველი, ბევრი მათგანი – არალეგალურად.

მოლდოველები სიხარულით თანხმდებიან საბაჟო კონტროლთან და ფიტოსანიტარულ სტანდარტებთან დაკავშირებული კანონების შემოღებას, რადგან ეს მათი პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტს შეუწყობს ხელს.

მაგრამ როდესაც საქმე ეხება სხვა ევროპულ სტანდარტებს – მედიის თავისუფლებას, პოლიციის პოლიტიკაში ჩარევის შეზღუდვას და კორუფციის აღმოფხვრას, აქ მოლდოვის ხელისუფლების ენთუზიაზმი შესამჩნევად დაბალია.

თუმცა, ევროპული ინტეგრაციის ალანსი, რომელიც დღეს მმართველ გუნდს წარმოადგენს, ამბობს, რომ

როცა ქვეყანას საბოლოოდ ჩაიბარებს (პრეზიდენტის არჩევა მოხდება), მოლდოვაში დემოკრატიზაციისა და საბჭოთა წარსულთან ბრძოლის რეალური ტალღა დაიწყება.

ამის მცდელობა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს უკვე ჰქონდა: 28 ივნისი მან საბჭოთა ოკუპაციის დღედ გამოაცხადა და ამით ქვეყანაში საბჭოთა წარსულის გადაფასების პროცესის ინსპირირება სცადა. თუმცა, ამ გადაწყვეტილებამ მოლდოვაში, სადაც კომუნისტები ხელისუფლებიდან მხოლოდ ერთი წლის წინ წავიდნენ, არაერთვარვანი რეაქცია გამოიწვია.

გიმპუს ინიციატივა, რომელსაც მოსკოვის მხრიდან საშინელი კრიტიკა მოჰყვა, მხოლოდ პრორუმინულმა ძალებმა მოინონეს. შიდა თუ გარე წინააღმდეგობის მიუხედავად, გიმპუს თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლია. რამდენად მომგებიანი იყო ეს ნაბიჯი, რომელსაც ლიბერალების გუნდიც და კომუნისტებიც წინასაარჩევნოდ თავის სასარგებლობიდ იყენებენ, ნოემბრის არჩევნებზე გაირკვევა.

მმართველ კოალიციის ლიბერალურ ლირებულებებზე აქვს პრეზიდენტია და ცდილობს მოლდოვურ პოლიტიკაში გარდატესა შეიტანოს. თუმცა, ჯერჯერობით უშედეგოდ, უკონსენსუსოდ და უპრეზიდენტოდ. ნოემბრის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებამდე დრო ცოტა რჩება და კომუნისტები რევანშისთვის ემზადებიან. □

პოლიტიკური ხელისი მოხომვაში

2009 წლის 5 აპრილის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კომუნისტების მმართველ პარტიად გამოცხადებას კიშინოვში მასშტაბური არეულობები მოყვა. 5 აპრილს არჩეული პარლამენტის ახალ შემადგენლობას დიდხანს არ უმუშავავა. ოპოზიციონერთა ფრაქციამ ოჯჯერ ჩააგდი პრეზიდენტის არჩევნები, რასაც, კანონმდებლობის მიხედვით, პარლამენტის დათხოვნა მოჰყვა.

2000 წლის 21 ივნისის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად მოლდოვა საპარლამენტო რესუბლიკად გადაკეთდა, სადაც პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს და ამისთვის ხმათა 3/5-ია საჭირო.

მოლდოვის საკანონმდებლო ორგანოს დღევანდელი შემადგენლობა გასული წლის 29 ივნისის ხელმეორე არჩევნების შემდეგ შედგა, რომელმაც, თავის მხრივ, პრეზიდენტის არჩევის ორივე მცდელობა (2009 წლის 10 ნოემბერი, 7 დეკემბერი) ასევე უშედეგოდ ჩააგდო. ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობას დღეს პარლამენტის თავმჯდომარე მიჰევი გიმპუსტებს.

თვალსაზრისი – თბილისი

ესახები ეხოს საზოგადოება

17 წელია არ გვაქვს პასუხი კითხვაზე რა უფრო გვინდა – მიწა, თუ აფხაზეთი?

მარგარიტა ახვლედიანი

არის ერთი ზღაპარი, რომელშიც ბავშვები უდარდელად ეპყრობოდნენ დროს და მომავლისთვის გადადებდნენ იმის გაკეთებას, რაც მყისიერად უნდა გაეკეთებინათ. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ყველაფერს მოასწრებდნენ. გულუბრყვილო, პატარა ბავშვებს მიაჩნდათ, რომ დრო ამოუწურავია. დრო კი მიდიოდა. და ბავშვები უცებ, მოულოდნელად დაბერდნენ იმიტომ, რომ მათ ამონურეს თავიანთი დრო.

წელს 17 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც 1993 წლის 27 სექტემბერს ქართველებმა სოხუმი დატოვეს. ამ 17 წლის მანძილზე ჩვენ მხოლოდ ერთ რამეს ვაკეთებდით – იმ პატარა ბავშვებივთ უმიზნოდ, ფუჭად ვხარჯავდით დროს, რადგან მიგვაჩნდა, რომ დრო ამოუწურავია.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ამ წლების მანძილზე შემუშავებული ყველა საერთაშორისო გეგმა რომ გაიხსენო, ამ ტექსტში ადგილი არ დარჩება. და აზრიც არ აქვს მათ გახსენებას. ყოველ ჯერზე ყოველი ახალი გეგმის გამოჩენისთანავე დახსლოებით ერთი და იგივე ხდებოდა – ქართულ მხარეს უნდოდა, მიეღო უფრო მეტი, ვიდრე ეს გეგმა ითვალისწინებდა და ვიდრე აფხაზური მხარე თანხმდებოდა.

ისევ გადიოდა დრო. საერთაშორისო საზოგადოება ახალ გეგმას შეიმუშავებდა, ქართული მხარე კი უკვე იმ პუნქტის შესრულებაზე იყო თანახმა, რომელზეც რამდენიმე წლის წინ თქვა უარი. თუმცა, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ – ეს პუნქტი უკვე აფხაზებისთვის აღარ იყო ხელსაყრელი.

ასე გრძელდებოდა დიდხანს. რაღაც უცნაური მიზეზის გამო, ქართული საზოგადოება დროს აღიქვამდა ლეთარგიული ძილის ანალოგად, როცა გაღვიძებისას, ყველაფერი იმავე წერტილიდან

შეიძლება დაინტერესონ სადაც ოდესალაც შეჩერდი. თუმცა, არც ერთი საზოგადოება არ იდგა ერთ ადგილას. ორივე შეუტერებლად მიექანებოდა ურთიერთსანინაღმდეგო მიმართულებებით. დღეს ერთმანეთის დანახვა მხოლოდ ძვირადღირებული ფოტოების მიზანით თუ შეგვიძლია, ისიც ფუნქცია „ზუმის“ მაქსიმალურად გამოყენებით.

განსაკუთრებით სამწუხარო ის არის, რომ არავინ ცდილობს გაიგოს, რას ფიქრობენ იქითა მხარეს და ეს რეალობა გაითვალისწინოს. ეს ერთი ნაბიჯით მანც დაგვაახლოვებდა ჩვენს მიზანს, რომელიც, როგორც ცნობილია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდევნა. ნაცვლად ამისა, წლების განმავლობაში, ჩვენ ვცდილობდით ეზერი სამართლიანობას, რომელიც ყოველთვის სადაც ცნებას.

ბიზნესშიც და სახელმწიფო მშენებლობის საქმეშიც წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ მარკეტინგულ კვლევას წინასწარ არ ჩაატარებ და ამ კვლევის შედეგებით არ იხელმძღვანელებ. ჩვენ კი „ბაზარზე“ რაღაც მისტიკური პროდუქტები გამოგვიწინდა, რომელსაც არავინ „ყიდულობდა“.

მარტივი მაგალითი – წარმოიდგინეთ, რომ აფხაზეთი კბილის პასტის ტუბია – საზოგადოება, რომელიც ქართული აკრძალვების წყალობით, ჰერმეტულადაა ჩაკეტილი გარე სამყაროსთან კონტაქტის გარეშე. მაგრამ ტუბს საზრავი აქვს, რომელიც რუსეთმა მოხსნა. და ჩვენ რას ვაკეთებთ? მთელი ძალით ვაწვებით ამ ტუბს. და რატომ უკვირს ვინჩეს, როცა აფხაზური საზოგადოება რუსეთზეა ორიენტირებული? რა არის ამაში გასაოცარი?

რეალობის არდანასვეს სურვილი უგრურებაა. რაღაც მიზნისკენ სწრაფვისას, უზარქობაა საპირისპირო მხარეს მოძრაობა.

ნუთუ საქართველოს უნდა, რომ აფხაზმა ახალგაზრდებმა უარყონ დასავლური, ლიბერალური ლირებულებები და რუსული ფასულებების ერთგული იყვნენ? თთქმოს არ უნდა. მაშინ ყველა საშუალებით რატომ ცდილობს, აფხაზ ახალგაზრდებს დასავლეთის ქვეყნებში სასწავლებლად გზა ჩაუკეტოს და ნაცვლად ამისა, რუსული უნივერსიტეტებისკენ უბიძებეს?

ნუთუ საქართველოს უნდა, რომ აფხაზეთში მხოლოდ რუსული ფული ჩაიდოს და ბიზნესის კეთების ძველი საბჭოთა კორუფციული მეთოდები ჰყავანდეს, რაც მხოლოდ რუს ოლიგარქებს გაამდიდრებს? თთქმოს, არც ეს უნდა. მაშინ რატომ კრძალავს უცხოურ ინვესტიციებს, რომლებსაც ფინანსურ კეთილდღეობასთან ერთად, როგორც წესი, მოაქვთ დასავლური ლირებულებებიც?

ჩვენი ძვირფასი დრო უსასრულო მისტიფიკაციასა და თავის მოტყუებაში გაიღლანგა. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, ორ საზოგადოებას ერთმანეთი ახსოვდა და საუბრისა და მოლაპარაკებისთვის საერთო თემასაც იპოვიდნენ. დღეს ჩვენ ზღაპრის იმ ფაზაში ვართ, როცა შეშინებული და დაბერებული ბავშვები მიხვდნენ, რომ ყველაფერი დაკარგეს იმიტომ, რომ დრო ამოუწურავი ეგონათ. არადა ჩვენთვის განსაზღვრული დრო ისე მაღი იწურება.

დეკადრირებულ მიზნებსა და ამ მიზნებს მიღწევებისთვის გამოყენებულ მეთოდებს შორის არსებულმა აბსოლუტურმა არაადეკვატურობამ დააბნია, ორიენტაცია დაუკარგა ქართველ საზოგადოებას. ის ახლა ნისლში ხელის ცეცებით დადის და რეაგირებას ვერც იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ ეს ნისლი გაიფანტება.

იდეალური გეგმები და იდეალური გადაწყვეტილებები არ არსებობს. მით



ოჩამჩირის დატოვება, 1993

ფოტო გავარი

■ ჩვენი ძვირფასი დრო უსასრულო მისტიფიკაციასა და თავის მოტყუებაში გაიფლანგა. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, ორ საზოგადოებას ერთმანეთი ახსოვდა და საუბრისა და მოლაპარაკებისთვის საერთო თემასაც იპოვიდნენ.

უმეტეს, ასეთ რთულ სიტუაციებში. მაგრამ არსებობს გეგმები, რომლებიც მეტს გვაძლევს და ისეთები, რომლებიც ნაკლებს გვაძლევს. როგორც ჩანს, იმის-თვის, რომ ერთი მეორისგან გავარჩიო, პირველ რიგში, თავად უნდა ვიცოდეთ, რა უფრო გვინდა – საგნის სახელწოდება თუ თავად საგანი?

გადაწყვიტოთ ფხიზლად, პათეტიკის გარეშე – მინა გვინდა, თუ აფხაზეთი გვინდა? ჩვენ, ცხადა, შეგვიძლია ავირჩიოთ პირველი. ეს ჩვენი არჩევანი იქნება, მაგრამ ყველა თანმდევი შედევ-გიც უნდა გავითვალისწინოთ. კერძოდ კი, უარი ვთქვათ ლიბერალური დე-

მოკრატიის პრეტენზიაზე, რადგან ლი-ბერალური დემოკრატიისთვის მთავარი, პირველი და ერთადერთი – ადამიანი, პიროვნებაა.

შეიძლება ავირჩიოთ მეორეც, მაგრამ ასევე თანმდევი შედევების გათვალისწინებით. ანუ მოგვიწევს უარი ვთქვათ ბოსი-მმართველის პოზიციაზე. უნდა ავირჩიოთ, რა არის ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი: აფხაზეთში რუსული ინვესტიციების ევროპული ინვესტიციებით ჩანაცვლება თუ ქალალდზე დაწერილი ბრძანება, რომ ეს ინვესტიციები აფხაზეთში მხოლოდ თბილისის გავლით უნდა შედიოდეს.

ან ერთი, ან მეორე, რადგან ერთი მე-ორეს სრულიად გამორიცხავს. ჩვენ კი ვცდილობთ ამ წლების მანძილზე, ყველაზე გემრიელი ლუკმები შევარჩიოთ ორივე ვარიანტიდან და შეუთავსებელი შევათავსოთ.

„ეშმაკი თამაშობს ჩვენით, როცა ჩვენ არ ვაზროვნებთ ზუსტად,... როცა ჩვენ არ ვუწევთ ანგარიშს ჩვენს გრძნობებს, აზრებს და მდგომარეობას. მაგრამ რეალობა ხომ აგრძელებს არსებობას, და თუ ჩვენ ეს არ გვეცოდინება, ის შეგვახსენებს თავს ყიფლისანდზე მნარე დარტყმით,“ – ამას მერაბ მამარდაშვილი ამბობდა. □

თბილისაზრისი – სოცელი

მაჩუმობის 17 წელი

საქართველომ აფხაზეთზე მორალური უფლება დაკარგა ორჯერ:

პირველად, როცა 1992 წელს ომი გააჩაღა და მეორედ, როცა ეს ომი წააგო.

ინალ ხაშიგი, სოხუმი

17 წლის წინ, მიუხედავად ქართულ-აფხაზურ ომში გამარჯვებისა, აფხაზ ექსპერტთა მცირე ნაწილი თუ ვარაუდობდა, რომ მომავალი ჰქონდა ამ ახლად ჩამოყალიბებულ ცნობიერებას, რომელსაც აფხაზეთის რესპუბლიკა ერქა.

ომში განცდილი მნიშვნელოვანი ადამიანური დანაკარგები, სრულად დანგრული ეკონომიკა, რომლის მდგომარეობას უფრო ართულებდა რესული ბლოკადა, საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელიც აფხაზეთს მხოლოდ საქართველოს ფარგლებში ხედავდა. უმეგობროდ, სრულიად მარტო დარჩენილი ქვეყანა ავადმყოფ ბავშვს ჰყავდა, რომელსაც ექიმები არათუ გადაჩრჩნის შანსს აძლევდნენ, არამედ გაოცებულებიც კი იყვნენ, საერთოდ როგორ დაბადა. მაგრამ ინვალიდი ბავშვი ნელ-ნელა გამოცოცხლდა, ამოძრავდა და ნელ-ნელა თავის ჯანმრთელ თანატოლებს ემსგავსება.

აფხაზეთი გადარჩა და მიუხედავად იმისა, რომ მისი დამოუკიდებლობა მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ აღიარა, ყველას ესმის (მათ შორის, ქართველ ექსპერტებსაც), რომ ომამდელი სტატუს-კვოს აღდვენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამ მატარებელი დაბრუნდა, რომ აფხაზეთის ისტორიაში. აფხაზური საზოგადოება ერთად დადგა, რათა ბოლომდე მიედნია მიზნისთვის. როგორ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ამაში აფხაზეთის საქართველო დაეხმარა – გამსახურდათავისი ლომზუნგით „საქართველო ქართველებისთვის“, შევარდნაძე 1992–93 წლებში გაჩადებული ომით და სააკავშირი დაუფარავი სურვილით, რადაც უნდა დასჯდომიდა, სამხედრო რევანში განეხორციელებინა.

თუმცა შეიძლებოდა, ყველაფერი სხვა-გვარად ყოფილიყო. აღბათ, ყველა-ზე რთული პერიოდი აფხაზეთისთვის ომისშემდგომი წლები იყო. როცა ქვეყნის ბიუჯეტი მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი გაქვს, ძნელია, ომგამოვლილ საკუთარ ხალხს აუსნა, კიდევ რამდენ ხანს უნდა გაძლოს, რამდენი რამე მოითმინოს და გადაიტანოს. ნანატრი გამარჯვება,

როგორც იქნა, დადგა, მაგრამ მოსალოდნელი კეთილდღეობა, რატომღაც იგვიანებდა.

აფხაზეთის პირველმა პრეზიდენტმა, ვლადისლავ არძინბამ შეუძლებელი შეძლო – მან იხსნა ქვეყანა ჩეჩენიზაციისაგან, იარაღიანი კაცის ძალაუფლებისაგან, სადაც კალამნიკოვი შეცვლიდა კანონს და გამოიწვევდა ქაოსს.

იმავე საქართველოსაგან განსხვავებით, აფხაზეთი ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე, საკუთარი ძალებით ცდილობდა დემოკრატიული სახელმწიფოს ინსტიტუტების შექმნას. ამ პროცესს ისიც ართულებდა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე საქართველოს მხრიდან რევანშის შესაძლებლობა ძალიან დიდი იყო.

თუმცა, სწორედ ამ სირთულეებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი თანამე-დროვე აფხაზეთის ისტორიაში. აფხაზური საზოგადოება ერთად დადგა, რათა ბოლომდე მიედნია მიზნისთვის. როგორ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ამაში აფხაზეთის საქართველო დაეხმარა – გამსახურდათავისი ლომზუნგით „საქართველო ქართველებისთვის“, შევარდნაძე 1992–93 წლებში გაჩადებული ომით და სააკავშირი დაუფარავი სურვილით, რადაც უნდა დასჯდომიდა, სამხედრო რევანში განეხორციელებინა.

ამ წლების განმავლობაში აფხაზეთს ერთხელაც არ უგრძნია, რომ მის არაკეთილმოსურნე მეზობელს მასთან ურთიერთობის დალაგების სურვილი ჰქონდა. მეტიც, ისეთი სურათი იქმნებოდა, რომ აგრესიული პოლიტიკით საქართველოს ხელისუფლება საზოგადოებრივ დაკავთას ასრულებდა. ჩვენ, აფხაზეთი-დან, ამას ასე ვხედავდით.

შევარდნაძეს 1993 წელს რომ გაემარ-

ჯვა და სააკავშირის 2008 წლის ავან-ტიურა კი წარმატებული ყოფილიყო, ქართველები მათ ხომ გმირდებად, განმა-თავისუფლებელებად აღიქვამდნენ, „წმინ-და ძროხის“ – ტერიტორიული მთლიანობის აღმდგენებად. და არავინ იკითხავდა, რა მსხვერპლი მოჰყვა ამას აფხაზების და ოსების მხარეს. მათი ადგილი საქარ-თველოს ისტორიის პანთეონში, სავარაუ-დოდ, დაკით აღმაშენებლის ან თამარ მეფის გვერდით იქნებოდა.

მაგრამ ყველაფერი სრულებით სხვა-გვარად მოხდა.

ამასთან დაკავშირებით ვეთანხმები ცნობილ რეს პუბლიცისტს იულია ლა-ტინინას, რომელიც აღნიშნავდა, რომ საქართველომ აფხაზეთზე მორალური უფლება ორჯერ დაკარგა: პირველად, როცა 1992 წელს ომი გააჩაღა და მეო-რედ, როცა ეს ომი წააგო.

მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ რუ-სეთმა აღიარა აფხაზეთის დამოუკი-დებლობა და საქართველოს მხრიდან შემდგომი აგრესის შეკვების ვალდებუ-ლებაც საკუთარ თავზე აიღო, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების თემა აფხაზებისთვის უკანა პლაზე გა-დავიდა.

სოხუმში კარგად ესმით, რომ საქართველო, ამ მოკლევადიან პერსპექტივის, არ შევაუპას აფხაზეთის დაკარგვას. ამ მხრივ არაფერი შეცვლილ.

მაგრამ უსაფრთხოების შეგრძნებამ და იმის რჩმენამ, რომ ახალი ომი არ იქნება, აფხაზეთი სრულიად სხვა, შედა თუ საგარეო პრობლემების მოგვარებაზე გა-დართო.

ქართული საკითხის აქტუალობა აღია-რების დღიდან გაუფასურდა აფხაზი სა-ზოგადოების თვალში.



ასალგაზრდა აფხაზი პატრიოტები, სექტემბერი 2010

■ ამ წლების განმავლობაში აფხაზეთს ერთხელაც არ უგრძვნია, რომ მის არაკეთილმოსურნე მეზობელს მასთან ურთიერთობის დალაგების სურვილი ჰქონდა. მეტიც, ისეთი სურათი იქმნებოდა, რომ აგრესიული პოლიტიკით საქართველოს ხელისუფლება საზოგადოებრივ დაკვეთას ასრულებდა.

აფხაზეთის ხელისუფლებას უკვე ახალი თავის ტკივილები გამოიუჩნდა. აფხაზები ახლა ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათი დამოუკიდებლობის სურვილი მხოლოდ საქართველოსგან დამოუკიდებლობის სურვილი არ არის.

ახლა მათ ნინაშე მთავარი გამოწვევაა – დღეისათვის ერთადერთ რეალურ მოკავშირესთან – მოსკოვთან ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბება ისე, რომ ამ ურთიერთობებმა აფხაზეთის სუვერენიტეტი არ შეინიროს. აფხაზური პროექტის მომავალი პირდაპირ დამოი-

დებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ის, გაუმკლავდეს ამ ახალ გამოწვევას.

მაშინ, შორეულ 93-ში, ავადმყოფი ბავშვი გადარჩა და ახლა უკვე 17 წლისაა. ის სავსეა იმედითა და სამომავლო გეგმებით. ამ ყმანვილს სურს, რომ იცხოვოს.

უკვე 17 წელია, აფხაზეთი არსებობს, როგორც სახელმწიფო. ის არსებობს არა საქართველოს სურვილის საწინააღმდეგოდ, ან რესეფის კეთილი ნების გამო. ის არსებობს იმიტომ, რომ ასე სურს აფხაზ ხალხს. ■

**სტატიაში გამოყენებული
ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს
და არა „ლიბერალს“.**

HEINRICH BÖLL STIFTUNG სამსახური ქართველია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჩ ბიოლის ფონდის მსარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოიქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდნენ ჰაინრიჩ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

აფხაზეთი

ბანსახის ბაზის სომხეთი აფხაზეთში

მიუხედავად იმისა, რომ დევნილი ქართველების სახლების ნაწილი თავისუფალია და ახალი სახლებიც შენდება, აფხაზეთი განსახლების სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. ერთ-ერთი გამოსავალი 1992-93 წლების ომის დროს დანგრეულ სახლებში გადასვლაა.

სალა ნაზარენკო, სოხუმიდან

წარმოუდგენელია იმის გაფიქრება, რომ ამ სახლში ვინმე ცხოვრობს. სახლის კედლებში იმხელა ხვრელებია, ფინჯრები გეგონება. დღის შუქი მთელ სახლში აღნებს.

კიბეზე ასვლა საშინელებაა: მტვერი, ნაგავი, ძველი მაგიდის ფეხი და დამტვრეული კარადის უჯრა, ქალის თეთრი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, ბეტონის კედლიდან ამოშვერილი ლიიონის ბაფე. სახლმა 18 წლის განავლობაში, ამ მდგომარეობაში გაძლი და ერთი ადამიანის სტუმრობით, ალბათ, არ დაიმსხვრეოდა, მაგრამ ამ კიბეებზე ასვლა მაინც ყინულის თხელ ფენაზე სიარულის შეგრძნებას ჰქავს.

დერეფნებში ყველა კედლელი ჩამონ-გრეულა, კიბეს მოაჯირები არ აქვს და საფეხურებიც აქა-იქ ჩატებილია. კედლის ლრიჭოები რომ არა, აქ სრული სიბნელე იქნებოდა.

ამ ნანგრევებში, მეორე სართულზე ორი ახალთახალი, საგულდაგულონ შეღებილი კარია. ზარის ლილაკზე თითოს დაჭრისას დაცარიელებულ, ნაცრისვერ შენობაში უცპრ ჩიტის ჭიჭიკის მსგავსი ხმა ისმის. ექმ მას რამდენჯერმე იმეორებს და ისევ სიჩუმე დგება.

აქ უკვე რამდენიმე თვეა, თინა ცხოვრობს თავის ორ მცირებულოვან შეიღილთან ერთად. იგი სტუმრებს არ დებულობს, მით უმეტეს ყურნალისტებს, მაგრამ ჩვენ შეგვაშვა.

ზედა სართულებზე თითქმის ყველა ბინის კართან არის წარწერა „დაკავებულია“. აქ ბევრი ახალი კარია, ზღურბლთან ცემენტის ტომები ალაგია, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი მეპატრონები ბინებს არ ემონტებენ.

1992-93 წლების ომამდე, ეს სახლი სოხუმის „ახალი რაიონის“ სხვა სახლების მსგავსად, სიცოცხლით იყო საკეთი.



სოხუმი, 2010

ფოტო: ირაკლი აბაშიძე

დღეს, „ახალი რაიონის“ ეზოებში მაღალი ბალახი ამოიზარდა და ომის ნაკვალევი თითქმის გადაფარა. ქართულ-აფაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს ყველაზე სასტიკა ბრძოლები სწორედ აქ მიმდინარეობდა. დრო გავიდა. რუსეთის მიერ აფაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ აფაზებს უსაფრთხოების გრძნობა გაუდვივა, თუმცა სახლების იერსახე კვლავ არსულის მოგონებად დარჩა.

რთულია, გაარჩიო „ახალ რაიონი“ მდგარი კორპუსებიდან რომლის აშენება ვერ დაასრულეს საბჭოთა კავშირის დამლის შეიძლება და რომელშიც ცხოვრიბდა აღრეხალში. დღეს აქ ყველა სახლი ერთნაირად გამოიყერება, ყველა ჩინჩხია.

ომის შემდეგ სახლები სრულად გაიძარცვა. წაიღეს იატაკის ნანილები, შპალერები, უნიტაზები, რადიატორები. ჭრელი კაფელის აქა-იქ შემორჩენილი ნაწილები თუ მიგითოთებს, სად იყო აღრეხ სამზარეულო. ოდესალაც თეთრი გაზტერა და ფერადი ჭურჭელი ნამსხვრევებად ქცეულა და ნა-

ცრისფერმა მტვერმა და ნაგავმა შეცვალა.

ზოგ სახლში აქა-იქ ცხოვრობენ, ზოგი – სრულიად ცარიელია. ნატყვიარების შედეგად დარჩენილი დიდი ლრიჭოები სხვადასხვა მასალითა ამოცსებული.

თინას ბინაში არის დერეფანი, ერთი საინჯექტო, ძალან პატარა სივრცე ტელევიზორისა და დივანისათვის, რომელიც საცხოვრებელი ითახის ფუნქციას ასრულებს, სამზარეულოდ გადაეთებული აივანი, აბაზანა და ტუალეტი.

ოთხსულიანი ოჯახისთვის არცოთ საკმარისი ფართია, თუმცა ღია ცის ქვეშ ყოფნას ნამდევლად სჯობს.

ბინა ლამაზად არის მორთული – ღია ფერის შპალერით, სურათებით და ბევრი სხვა პატარ-პატარა, კომფორტის შემქმნელი დეტალით.

თინას ძალან მოსწონს ახალი სახლი. მისი ოჯახი მაიკობდან (რესაბულიკა ადილე, ჩრდილოეთ კავკასია) აფხაზეთში გადმოვიდა, რომ სამუდამოდ აქ დასახლდნენ.

„ისინი მაღლ სახლის ფასადს შეაკეთე-

ბენ“, - ამბობს იგი, - „ქერის შეკეთებასაც შეგვპირდნენ.“

რეალურად, სახლს „შეკეთება“ არ სჭირდება. აქურობა უფრო კაპიტალური, ბულდოზერბით შესასრულებელი სამუშაოს შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, თინას და სხვებს, რომლებიც აქ გადმოსახლებას აპირებენ, სხვა გზა არ აქვთ.

განსახლების პრობლემა იმ ქალაქისათვის, სადაც უამრავი ცარიელი სახლი და ბინაა, ცოტაც უცნაურია. ომის შემდგომ, ის აფხაზები, რომელთაც სახლები დაკარგეს, ქართველების კუთვნილ სახლებში სახლდებოდნენ. ჯარისაცებმა ქართველთა სახლები ნადაგლის სახით იგდეს ხელთ. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სახლების შესაკეთებლად საჭირო ფინანსური რესურსები არ იყო, ამიტომ, ბევრ მათგანში ჯერ კიდევ არავინ ცხოვრობს.

ოფიციალურად, ამ ბინების მესაკუთრეობა საკმაოდ ჩახლართული ამბავაა. თინა

არქიტექტურისათვის დამახასიათებელ სტილში. „იყიდება“ – აწერია აქ თითქმის ყველა ფანჯარას. ფასი დაახლოებით 2000-3000 დოლარია კვადრატულ მეტრზე.

ოფიციალური საშუალო ხელფასი აფხაზეთში 200 დოლარია. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ სახლები მხოლოდ ბიზნესმენთა ელიტის მცირე წრისა და რუსებისათვის არის განკუთვნილი.

თუმცა, აფხაზეთში რუსებსაც პრობლემები აქვთ - აქ მათ ქონების მარტივად შეძენა არ შეუძლიათ. აფხაზეთის კანონმდებლობის თანახმად, კერძო საკუთრებაში უძრავი ქონების დაკანონება მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეს შეუძლია.

თუ რუსეთის მოქალაქეს უძრავი ქონების დასაკუთრება სურს, იგი ამას ჩახლართული სქემით აკეთებს – ამისთვის მას სანდო აფხაზი ბიზნეს-პარტნიორი სჭირდება.

რუსული გაზეთის „მოსკოვსკი კომ-

■ სოხუმის საუკეთესო უბნებში ახალი შენობები შენდება – ასი წლის ნინანდელი სოხუმის არქიტექტურისათვის დამახასიათებელ სტილში. „იყიდება“ – აწერია აქ თითქმის ყველა ფანჯარას. ფასი დაახლოებით 2000-3000 დოლარია კვადრატულ მეტრზე.

არ ამბობს, ბინა იყიდა, თუ, უბრალოდ „დაიკავა.“

„ეს დედამიწის საჩუქარია,“ – ამბობს ის. „არ მიკითხავს, როგორ მიიღო მან ეს ბინა.“

ნახევრად დანგრეულ სახლში ცხოვრება თინას არ აშენებს, რადგან, როგორც მშობებს, - „ჩვენნაირ ხალხს ბინის შეძენის არანაირი საშუალება არ აქვა.“

განსახლება აფხაზეთში ახალგაზრდა ოჯახების ნინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა.

რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდელ ქვეყნად აღიარებას, რუსეთის მხრიდან ბიზნეს-ინტერესების ზრდაც მოჰყავა. რუსებმა აფხაზეთში მეტი ფულის დახარჯვა დაიწყეს, რამაც სოხუმში ბინების ფასის მევეთრი ზრდა გამოიწვია. თუ 2008 წელს ძველი, „ხრუშენკოს“ ტიპის ერთოთანიანი ბინა დაახლოებით 4-5 ათასი დოლარი ლირდა, დღეს ფასი გაათიაგდა.

ქალაქის საუკეთესო უბნებში ახალი შენობები შენდება – ასი წლის ნინ სოხუმის

სომოლეცის“ თანახმად, ამ სქემამ ბევრ რუსს პრობლემები შეუქმნა: მათი ქონება აფხაზმა კრიმინალებმა, უბრალოდ, მიისაკუთრებს.

გაზეთი ამტკიცებს, რომ ხელთ ჩაუგარდა საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც აფხაზეთის პარლამენტმა ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მოამზადა, და რომელიც საუბარია, რომ 1992-93 წლების ომის შემდგომ დაცარიელებული ბინები და სახლები „უპატრონიდ“ უნდა გამოცხადდეს და მათ აფხაზ მიმონადრებებს გადაეცეს.

ამ გადაწყვეტილების ერთი მხარე გასაგებია: აფხაზეთში ყველა დარწმუნებულია, რომ ქართველები საკუთარ სახლებში არასოდეს დაბრუნდებიან.

თუმცა, როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერს, აფხაზმა კრიმინალებმა ადგილობრივი ხელისუფლებასთან შეთანხმებით, რუსების ბინებიც დაიკავეს.

აფხაზი ადგომატი თამაზ ქეცბა აცხა-

დებს, რომ აფხაზეთის სასამართლოები დაახლოებით 4 ათას ასეთ შემთხვევას განიხილავს.

აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბალაფშმა ხელი მოაწერა განკარგულებას იმ კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც რუსეთის მოქალაქეების ქონებრივი უფლებების კანონიერებას გადაწყვეტს.

ასეთი კომისიის შექმნის იდეა თავდაპირველად მოსკოვს ჰქონდა, მაგრამ ამ იდეამ აგვისტოში აფხაზეთში ცხარე კამათი გამოიწვია.

ამ წინადადების მოწინააღმდეგები შიშიბენ, რომ ეს გზას გაუსხის ათასობით ქართველის დაბრუნებას, რომლებმაც აფხაზეთი 90-იანი წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დატოვეს და ამჟამად რუსული პასპორტებით რუსეთში ცხოვრობენ.

„არავინ აპირებს რუსეთის მოქალაქეების უფლებების დარღვევას,“ – განაცხადა რესპუბლიკის დე-ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბალაფშმა. „სხვა საქმეა, მაგალითად, ისეთი პირების საკითხი, რომლებმაც აფხაზეთი 1992 წელს დატოვეს და 2010 წელს, 18 წლის შემდეგ დაბრუნება გადაწყვეტს. იმ ადგილას უკვე შეიძლება, მისი სახლი აღარც დგას, სხვა ობიექტია აშენებული... ყველა საქმეს ინდივიდუალური მიღონა სჭირდება.“

ამასობში, „ახალი რაიონის“ მობინადრებები მოყანაბუღებულ სართულებზე ცემენტის ტომრების ატანას განაგრძობენ.

„ისინი ბავშვებისათვის სათამაშო მოედნის აშენებას შეგვპირდნენ“, – ამბობს თინა. „დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში, აქურობა უკეთესი და უფრო ხალისიანი იქნება“. ■

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის აუტორს და არა „ლიბერალს“.

**HEINRICH BÖLL STIFTUNG
საქართველო მანამდებრი**

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის აუტორს და არა „ლიბერალს“. მხრიდან დაბრუნებულია პარტნიორის მიერ და მიმონადრებების გადაეცეს. მათი აფხაზ მიმონადრებებს გადაეცეს. აფხაზეთში მეტი ტერმინი გამოიყენება უკავიარებას შესრულებული მოქალაქეების შექმნის თაობაზე, რომელიც რუსეთის მოქალაქეების ქონებრივი უფლებების კანონიერებას გადაწყვეტს. აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბალაფშმა ხელი მოაწერა განკარგულებას იმ კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც რუსეთის მოქალაქეების ქონებრივი უფლებების კანონიერებას გადაწყვეტს. ასეთი კომისიის შექმნის იდეა თავდაპირველად მოსკოვს ჰქონდა, მაგრამ ამ იდეამ აგვისტოში აფხაზეთში ცხარე კამათი გამოიწვია. ამ წინადადების მობინადრებების მოყანაბუღებულ სართულებზე ცემენტის ტომრების ატანას განაგრძობენ. „ისინი ბავშვებისათვის სათამაშო მოედნის აშენებას შეგვპირდნენ“, – ამბობს თინა. „დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში, აქურობა უკეთესი და უფრო ხალისიანი იქნება“. ■



თბილისი OPEN AIR - ALTERVISION (მარცხნის ქ), თბილისი, 2009

ფოტო: გ. გაგარინი

ბიუჯეტის უსამართლო განკარგვა

"ესის თა წელის, მიშა მაბას"

2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის ბოლომდე სახელმწიფომ სხვადასხვა გასართობლონისძიებებზე 8 მილიონამდე ლარი დახარჯა. ეს თანხა პრეზიდენტის მხარდამჭერ არტისტებს ყოველგვარი ტენდერებისა და კონკურსების გარეშე გადაეცათ.

ირმა ზარნაძე, სტუდია „მონიტორი“

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ვადაცემა „პრაიმტაიმში“ მხარდამჭერებთან ერთად მიიწვიეს. მხარდამჭერებს შორის იყვნენ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები: აჩიკო გულედანი, ვახო ბაბუნაშვილი, დავით ფორჩხიძე, კახა ცისკარიძე, სტეფანე მღებრიშვილი, მაცაცო სეფისკვერაძე, ზაზა კორინთელი, ნინო ანანიაშვილი, ნიკა ქავთარაძე, ნიკა მემანიშვილი, მარინა ბერიძე. ამ ვადაცემის წამყვანი ინგა გრიგოლია იყო. მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო. მისმა მხარდამჭერებმა სხვადასხვა კონცერტებისა და ღონისძიებების ჩატარებისთვის

ბიუჯეტიდან საერთო ჯამში 8 მილიონიამდე ლარი მიიღეს.

თბილისი OPEN AIR - ALTERVISION

2009 წლის 13 აპრილს აჩიკო გულედანმა და ვახო ბაბუნაშვილმა - ბექა ჯაფარიძესთან ერთად შპს „სტეპ რეკორდს ლეიბლი“ დააფუძნეს. აუდიტორიული დასკვნის თანახმად, ფირმაშ დაფუძნების დღესვე დაიწყო მსხვილი სახელმწიფო დაკვეთის შესრულება. „სტეპ რეკორდსმა“ სახელმწიფოსგან ქართული შოუ ბიზნესის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი 2 მილიონიანი დაკვეთა მიიღო.

2009 წლის გაზაფხულზე, „სტეპ რეკორდსი“ თბილისი OPEN AIR - ALTERVISION-is ორგანიზატორი გახდა .

კონცერტები იპოდრომსა და შარდენზე გაიმართა. სამდღიანი ფესტივალის ბიუჯეტი 2 093 000 ლარი იყო. თანხა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო და კულტურის სამინისტრომ „სტეპ რეკორდსს „ყოველგვარი ტენდერის გარეშე ჩაურიცხა. .

ამ თანხიდან კონცერტის მოწყობაზე 1 მლნ 250 ათასი ლარი დახარჯა, აქედან 148 ათასი ლარი უცხოელი შემსრულებლების ჰონორარი გახლდათ, 23 ათასი ლარი - ქართველი შემსრულებლების, 289 ათასი ლარი სცენის მოწყობაზე დაიხარჯა.

გულედანისა და ბაბუნაშვილის ახლად დაფუძნებული ფირმის თანამშრომლების ჰონორარი სამდღიანი ფესტივალის ორგანიზებისთვის 261



თბილისი OPEN AIR - ALTERVISION (იპოდრომი), თბილისი, 2009

ათასი ლარი იყო. დღეს უკვე ფირმის საკუთრებაა დაახლოებით 80 ათასი ლარის ინვენტარი, რომელიც ამ ფესტივალისთვის სახელმწიფოს სახსრებით შეიძინება და „სტეპ რეკორდსი“ მას კომერციული მიზნებისთვის იყენება.

ქართულმა მედიამ – „ალტერვიზია“ 2009 წლის მაისში მოსკოვში გამართული „ევროვიზიის“ ალტერნატივად მონათლა, 2009 წლის „ევროვიზიაზე“ სტეფანესა და 3 G-S მიერ წარდგენილი კომპოზიცია – We Don't Wanna Put In – ჟიურიმ შესარჩევ ეტაპზე დაიწუნა და ქართველები „ევროვიზიაზე“ არ დაუშვა.

„ალტერვიზიის“ შესახებ თითქმის საათიანი ფილმი მომზადდა, ფილმი 203 ათასი ლარი დავდა და „სტეპ რეკორდსის“ დაკვეთით „ფორმულა კრეატივმა“ მოამზადა. „ფორმულა კრეატივის“ დამფუძნებელიც სააკადემიის მიერ მართდა და მას იყენებისთვის ერთ-ერთი უნდა შეუძლია რამდენიმე მილიონიანი კონცერტი, ფესტივალი თუ რაიმე სხვა ღონისძიება ისე დაფინანსოს, რომ ამისთვის სახელმწიფო უწყებებმა არც ტენდერი გამოაცხადონ და არც შერჩევის რაიმე ფორმა გამოიყენონ.

■ დღეს უკვე პრეზიდენტს შეუზღუდავად შეუძლია რამდენიმე მილიონიანი კონცერტი, ფესტივალი თუ რაიმე სხვა ღონისძიება ისე დაფინანსოს, რომ ამისთვის სახელმწიფო უწყებებმა არც ტენდერი გამოაცხადონ და არც შერჩევის რაიმე ფორმა გამოიყენონ.

ამას არ გააკეთებ, უნდა შეეგუო, რომ დაფინანსება არ გექნება, – ამბობს ლადო ბურდული, რომელიც საქართველოში ალტერნატივული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია და 1995 წლიდან კავკასიურ როკ-ფესტივალს ატარებს. ბურდული ამბობს, რომ მის მიერ მოწყობილი ფესტივალების ხარჯი 10 ათას ლარს არასოდეს აღემატებოდა.

გიორგი ივანიშვილი 4 წელია ალტერნატიულ მუსიკას უკრავს, ცოტა ხნის წინ მეგობრებთან ერთად უცხოური პროექტის „პალქონი ტივის“ ქართული ანალოგის გაკეთება გადაწყვიტა. პროექტი ქართული დამწყები მუსიკოსების ხელშეწყობას და მათ პოპულარიზაციას ითვალისწინებს.

პროექტის საწყისი ეტაპისთვის საჭირო იყო – აივანი, სადაც ეს ჯგუფები კომპოზიციებს ჩაწერდნენ. პროექტის ორგანიზატორებმა თბილისის მერიას მიმართეს და შესაბამისი აივანის გამოყოფა სთხოვეს.

გიორგი ამბობს, რომ წერილობით გაგზავნილ თხოვნაზე, მერიამ საერთოდ არ უპასუხა, არადა, მიზერულ თანხას – თვეში 80 ლარს თხოვდნენ.

ერთი მხრივ, სახელმწიფო ალტერნატიული მუსიკის ხელშეწყობისთვის კონკრეტულ პიროვნებებს რამდენიმე მილიონით აფინანსებს, მეორეს მხრივ კი „სხვებს“ მიზერულ თანხას არ აძლევს.

კულტურის კრიტიკოსი გიორგი ხაფური ამბობს, რომ ასეთი მიდგომით სახელმწიფო ამ სფეროს აკონტროლებს: „სახელმწიფოს არ აწყობს, რომ შოუ-ბიზნესი განვითარდეს, ვინაიდან მერე კონტროლს დაკარგავს ნაყიდ მომღერლებსა და მსახიობებზე“.

ბაზუმის სახალხო კონცერტი კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი – ბათუმის საახალწლო კონცერტი სახელმწიფოს სოლიდური თანხა – 2 293 000 ლარი დაუჯდა.

სახელმწიფომ ყოველგვარი ტენდერის და კონკურსის გარეშე ერთ პირთან მოლაპარაკების წესით 1 იანვრის საახალწლო კონცერტის ორგანიზება შეს „პიზნეს პროტოკოლს“ დაუკვეთა და ხელშეკრულების მიხედვით 1 მლნ. 900 ათასი ლარი გადაუხადა. აქედან ამ კომპანიას თითქმის 150 ათასი ლარი სუფთა მოგება დარჩა.

სცენის მოწყობა 450 ათასი ლარი დაჯდა, გახმოვანება და განათება კი ნახევარ მილიონ ლარზე მეტი, მონაწილეების სასტუმროში ცხოვრებისთვის 115 ათასი ლარი დაისარჯა, მათი ტრანსპორტირებისთვის კი 50 ათას ლარზე მეტი. კონცერტისთვის 37 ათასი ლარის ჯებირები და 7 500 ლარის მანათობელი ჩხირები შეიძინება.

სოლიდურად გამოიყურება 1 იანვრის კონცერტში მონაწილეთა ჰონორარებიც. კონცერტის რეჟისურა ლაშა ონიანს დაუკვეთეს და მისთვის გადახდილმა ჰონორარმა 37 ათასი ლარი შეადგინა, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამატვრო ხელმძღვანელს ნინო ანანიაშვილს ჰონორარი 20 750 ლარი – გადაუხადეს, ჯანსულ კახიძის სახელობის ორკესტრის დირიჟორს – 10 400 ლარი.

„პიზნეს პროტოკოლმა“ თავის მხრივ კონტრაქტები სხვადასხვა ფირმებს და კერძო პირებს გაუფორმა. მათ შორის შეს „არტ-ფორუმს“, რომლის დამფუძნებლებიც კახა ცისკარიძე და სტეფანე მღებრიშვილი არიან.

„არტ-ფორუმს“ უცხოელი დივეის

უკრაინისტური გამოციება

ჩამოიყვანა, 100 ათასი ლარი დაუჯდა,
ამ თანხიდან დიჯეის ჰონორარი 62
ათასი ლარია.

„არტ-ფორმულისევე“ დაევალა დათო ევ-
გენიძის კონცერტის ორგანიზება, რის-
თვისაც სახელმწიფოსგან დამატებით
150 ათასი ლარი მიიღო. ერთი კონცერ-
ტისათვის დათო ევგენიძის პონორარი
– 25 ათასი ლარი იყო, „არტ-ფორმულის“
მოგებამ კი სახელმწიფოსგან გადახდი-
ლი მთლიანი თანხის 15 პროცენტი შე-
ადგინდა.

კახა ცისქარიძე ამბობს, რომ მიხეილ
სააკაშვილის მხარდამჭერია, თუმცა
მიაჩნია, რომ სახელმწიფო დაკვეთებს
ამის გამო არ იღებს.

ასთუმში 2 იანვარს „ცისფერი ტრიოს“ კონცერტის ისრაგანიზება კულტურის სამინისტრომ შპს „არტ-პრომ+“-ს დაუკვეთა, რაშიც 117 ათასი ლარი გადაუხადა, „არტ-პრომა“ კი ქვეყნისტრაქტები გააფორმა, მათ შორის შპს „მემანიკა-ფროდაქტენთან“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ეროვნული მუსიკალური ცენტრის დირექტორი ნიკა მემანიშვილია. „მემანიკა ფროდაქტენი“ მაშინ მხოლოდ ერთი თვის დაფუძნებული იყო.

„მეგანიკა ფროდაქტენს“ „ცისფერი ტრიის“ კონცერტის მუსიკალური გაფორმებისთვის 25 ათას 750 ლარი გადაუხადეს. იმავე კონცერტის მუსიკალურ რეჟისურასა და პიანისტობაში თავად ნიკა მემანიშვილმა 11 250 ლარანი ჰონორარი აიღო.

გასართობი ღონისძიებების ვიდეო
გადაღებასა და პირდაპირი ტრანს-
ლაციას უმრავლეს შემთხვევაში შპს
„ჰორიზონ ტექ-სტურიას“ უკეთავენ,
რომლის დამფუძნებელიც დავით გერ-
სამიაა, კომპოზიტორ მაცაცო სე-
ბის კორაძის შვილი.

დოკუმენტაცია, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებისგან მოვაძოვეთ, ყველა გასართობი ღონისძიების ფინანსურ ინფორმაციას არ ასახავს, თუმცა მაინც შთამბეჭდავ ციფრს აღწევს. 2008 წლის სექტემბრიდან 2009 წლის ბოლომდე კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, გასართობ ღონისძიებებში დახმარებით 8 მონაცემით დაიხარჯა.

უმრავლეს შემთხვევაში – ყოველგვარი ტენდერის და შერჩევის გარეშე.

სახელმწიფო კონკურსისა და სამართლიანი შერჩევის გარეშე არა მხოლოდ ფირმებს, არამედ კონკურეტულ შემსრულებლებსაც აძლევს სახელმწიფო დაკვეთებს.

კიდევ ერთი შემსრულებელი რომელ-
საც სახელმწიფო ხმირად აფინანსებს
ზაზა კორინთელი - იგივე ზუმბაა.

2009 წლის 10 ოქტომბერს რუსთავ-ში სახალხო დღესასწაულ „შოთაობაში“ მონაცილეობისათვის კულტურის სამინისტრომ ზაზა კორინთელს 6500 ლარი გადაუხადა. ამავე წლის 31 ოქტომბერს სოფელ მირზაანში „ფიროსმანობაში“ მონაცილეობასათვის კი – 5300 ლარი.

1 ივნისს ბაგშვთა დაცვისს საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მიზანზება - „ნამს“ დაეკისრა, რომლის დარექტორიც ზაზა კორინთელია. კორინთელის მოგანიზაციას ღონისძიების მოგანიზებაში 9200 ლარი გადაუხადეს.

კულტურის სამინისტრომ პრეზენტირდება „ბერმუხას“ საიუბილეო საღამოს გამართვისთვის შპს „არტ-ფაქტორს“ 4000 ლარი გადაურიცხა. ამ ფინანსის დამფუძნებელიც და დირექტორიც ზაზა კორინთიანა.

პრეზიდენტმა ოპერისა და ბალეტის
სახელმწიფო თეატრს, რომელსაც ნინო
ანანიშვილი ხელმძღვანელობს, ამერი-
კაში გასტროლისტვის 370 ათასი ლარი
გამოუყო.

ფავორიტი ფირმების მსგავსად სახელმწიფო უწყებებს ფავორიტი შემსრულებლებიც ჰყავს, მაგალითად ბუბა კიკაბიძე. ბუბა კიკაბიძეს 70 წელი 2008 წლის 17 ივნისს შეუსრულდა. მის იუბილესთან დაკავშირებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 21 ივნისს 60 000 ლარი გამოიყო. ამავე დღესთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა კოდვა ერთი ჯანჯარულება 28 ნოემბერს

გამოსცა და კიყაბიძის იუბილესთვის
დამატებით 50 000 ლარი გამოყო. 2009
წლის ბოლოს ცალკე კულტურის სა-
მინისტრომ ბუბა კიკაბიძის კონცერტი
კიდევ 114 000 ლარით დააფინანსა.

ზემოთ ჩამოთვლილი თანხების უმრავლესობა პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოიყო. სარეზერვო ფონდები თავდაპირველად მხოლოდ სტიქიური კატასტროფების დროს გამოწვეული ზარალის და სხვა გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად შეიქმნა, თუმცა სააკაშვილის პრეზიდენტობის წლებში ამ ფონდებიდან თითქმის ყველაფრის დაფინანსება შეიძლება. 2008 წელს შესყიდვების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შესყიდვების კანონმდებლობის კონცროლიდან სრულად გამოვიდა. დღეს უკვე პრეზიდენტს შეუზღუდავად შეუძლია რამდენიმე მილიონანი კონცერტი, ფესტივალი თუ რაიმე სხვა ღონისძიება ისე დააფინანსოს, რომ ამისთვის სახელმწიფო უწყებებმა არც ტენდერი გამოაცხადონ და არც შერჩევის რაიმე ფორმა გამოიყენონ.

შემსრულებელ ფირმებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების დიდ ნაწილს ხელს – კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარინა ბერიძე აწერს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი მხარდაჭმჭრია.

გარდა დაკეთებისა, რომელსაც სახელმწიფო მის მსარდამჭერ მუსიკოსებს აძლევს, მათ სხვა მხრივაც ეხმარება. მაგალითად, პრეზიდენტმა დათო ფორჩინძეს სტუდიის მოსაწყობად დაახლოებით ასი ათას დოლარად ღირებული ფართი,
14 ათას დოლარად გადასცა. დათო ფორჩინძე პატრულის ჰიმნის ერთ-ერთი შემსრულებელია და სხვებთან ერთად „მიშა მაგარისა“ მოკრის. ❷



უკრაინისტური გამოძიება მომზადებულია სტუდია „მონიტორის“ პროექტის ფარგლებში.
უკრაინისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

ცურიზმი

შინეონას ვილი პაზილის ებების გადასაცემის დაწესება

მსოფლიო ვოიაჟების და

საგარეო პოლიტიკური მდგრადი

ზრუნვაში გატარებული წლების

შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი

ამ ზაფხულს მშობლიურ კერას

დაუბრუნდა და იმედი აქვს,

რომ მილიონობით ტურისტი

და ინვესტორი მისგან აიღებს

მაგალითს.

მოლი კორსო



ახალი მშენებლობები ბათუმში, სექტემბერი 2010

ფოტო: გ. გაგაძე

საქართველოს პრეზიდენტისთვის საერთაშორისო ასპარეზზე რაიმე გარდვევების შანსი ძალიან მცირება და ამიტომაც, მიხეილ სააკაშვილმა შიდამეურნეობის-თვის მოიცალა. ზოგიერთი ექსპერტი პრეზიდენტის მხრიდან საშინაო საქმეების მიმართ უცარ ინტერესს საზღვარგარეთიდან მოპატიუებების ნაკლებობით ხსნის. თუმცა, უდავოა, რომ მისი ნლევანდელი, აქტიურად გატარებული საზაფხულო არდადეგები სერიოზულად აისახა საქართველოზე.

შესაძლებელია, საქართველოს პრეზიდენტს ფრთხები შეკვეცეს, მაგრამ მისი ლეგინდარული მოგზაურობის შინი სულაც არ შენელებულა. ყოველდღიურად

დისლოკაციის ახალ-ახალი ადგილები – ხეესურეთის მთიანეთით თუ ანაკლის ლა-ჟვარდოვანი სანაპირო – და ახალ-ახალი ინიციატივები. ქობულეთში სააკაშვილი ნარადგენს 27 სასტუმროს მშენებლობის სამთავრობო გეგმას, ანაკლიაში „ზამთარ-ზაფხულის“ ტიპის დასვენების შესაძლებლობებზე საუბრობს, თბილისში კი 2013 წლისთვის ხუთი, ხოლო 2015-სთვის ათი მილიონი ტურისტის საქართველოში ჩამოყალიბების დაპირებას იძლევა.

სააკაშვილის გაჭირებული ვიზიტი საკუთარ ქვეყანაში აშშ-ს „გადატვირთვის პოლიტიკის“ შემდგომ რეალობას ასახავს, – მიიჩნევს პოლიტიკური კრებული ლიდერია და ცდილობს, საკუთარი ნიშა პოვოს.“

ლიტიკოსი არჩილ გეგეშიძე. „ის ამით უკმაყოფილოა, მაგრამ ცდილობს, რამენაირად კომპენსირება მოახდინოს. არის ყველგან და ყოველთვის. 24-საათიანი პრეზიდენტია“, – აღნიშნავს გეგეშიძე.

„ანაკლიისა და მესტიის პროექტები, რათქმა უნდა, ვერ შეცვლის საზღვარგარეთულ ტურინებს და სხვა მთავრობებთან ინტენსიურ კონტაქტებს, მაგრამ ის ძალიან ენერგიული პიროვნებაა, განსაკუთრებული ლიდერია და ცდილობს, საკუთარი ნიშა პოვოს.“

საშინაო პოლიტიკა მისი ახალი კრედიტისათვალეებიანმა სააკაშვილმა შიდა განვითარებას მიჰყო ხელი. ზაფხულის პერიოდში პრეზიდენტის



ფოტო: გვიანა გუჯარეთიძე

ახალი მშენებლობები ბათუმში, სექტემბერი 2010

დღლის წესრიგის მთავარი თემები იყო ტურიზმი და ინვესტიციები – პოლიტიკური სარჩეულის მქონე ეკონომიკური წამოწევებები.

ინვესტიციების მოცულობა, გარკვეული ინიციატივა, გაიზარდა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, თუმცა შარშანდელი წლის მარტინებელს (272 მლნ აშშ დოლარი) მაინც 6.3%-ით ჩამორჩება. საქართველოსთვის ნაკლები ინვესტიცია ნაკლებ სამუშაო ადგილსა და დასუსტებულ ეკონომიკას ნიშნავს, რადგან ქვეყნის ბიუჯეტის დაბალანსება მნიშვნელოვანნილად არის დამოკიდებული საერთომორისო დახმარებასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

საქართველოს მთავრობა ტურიზმს განიხილავს, როგორც თეთრ ცხენზე ამხედრებულ რაინდს, რომელიც ქვეყნას უმუშევრობისგან და ინვესტიციებში ჩავარდნებისგან იხნის და მოუტანს შემოსავალს, სტაბილურობასა და მდგრად უსაფრთხოებას.

30 აგვისტოს, როდესაც სააკამპილი ეკონომიკას მინისტრს ვერა ქობაძიას და სამხარეო გუბერნატორებს შეხვდა, მან ხაზგასმით აღნიშნა რომ 2013 წლისთვის საქართველოში 5 მილიონი ტურისტი უნდა ჩამოვიდეს, ანუ საქართველოს ერთ მოქალაქეზე – ერთი ტურისტი. პრეზიდენტის თქმით, ეს რიცხვი 2015 წლისთვის უნდა გაორმავდეს.

ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, საქართველოს წელს 2 მილიონი უცხოელი ესტუმრა. აქედან მხოლოდ 24 პროცენტი იმყოფებოდა ქვეყნაში დასვენების მიზნით.

აჭარაში პრეზიდენტმა კიდევ ერთი რადიკალური ინიციატივა გააულენა, რომელიც ინვესტიციებსა და ტურიზმს გაუმართავს ხელს: ინვესტორებს საშუალება

ექნებათ 1 დოლარად შეიძინონ ქონება და 15 წლით გათავისუფლდენ გადასახადებისა და კომუნალური ხარჯებისგან, თუ შექნილ ტერიტორიაზე 2011 წლის აგვისტომდე სასტუმროებს ააშენებენ და ექსპლუატაციაშიც მოიყვანენ.

„ყველაზ კარგად დამიგდოს ყური, ვისაც სახლში ან სადღაც ბანკში უდევს რამდენიმე მილიონი დოლარი. ბანკში და მუთახაში ფული არ მოიმატებს და შეიძლება, დაკარგოთ კიდეც. ჩვენ გთავაზობთ პროექტს, რომლითაც ეს ფული შეიძლება უახლოეს წლებში, მინიმუმ, გააორმავთ“, – განუცხადა სააკამპილმა პოტენციურ ინვესტორებს 11 სექტემბერს ქობულეთში, სადაც ხსენებული შეთავაზება გაკეთდა.

„ამხელა სიკრცე უაზროვანი არის დაკარგული, გაანძრიეთ ხელი და დაასაქმეთ ხალხი!“

სასტუმროები, სააკამპილის თქმით, ტურისტების დაბინავების კუთხით დეფიციტს შეავსებს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის განცხადებით, რეგიონში ჩამოსული ტურისტების რიცხვმა წელს მკვეთრად იმატა. შარმან აჭარამ 208 ათასს ტურისტს უმასპინძლა, წელს კი რეგიონს 350,000 ესტუმრა.

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელის ირაკლი მიტკავას თქმით, „ქობულეთის თავისუფალ ტურისტულ ზონაზე“ მონათლული ინიციატივის გამოცხადებისთანავე ბიზნეს-წრებში დიდი „ფუსფუსი“ ატყდა. მართალია მიტკავამ ვერ დააკონკრეტა, თუ რა მიმართულებებით დაინტერესდენ ინვესტორები, ან შემოთავაზების რა ასპექტი გამოდგა მათთვის ყველაზე მიზიდველი, მაგრამ მან დაადასტურა, რომ მას და მის თანამშრომლებს ამ პროექტის თაობაზე უამრავი შეკითხვით მი-

მართავენ.

დაინტერესების სერიოზულ მასშტაბებზე აჭარის ხელმძღვანელობაც საუბრობს. ეკონომიკისა და ფინანსების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი თენიგზი ზოიდე ამბობს, რომ მისმა უწყებამ უკვე 10 წინადადება მიიღო. აქედან, 9 – საქართველოდან და ერთიც – სომხეთიდან.

ამ შეთავაზების ფარგლებში მოხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 10 ჰექტარამდე წინვოვანი ტყის ათვისება, რომელიც ქობულეთის სააპიროსა და ძირითად ტრასას შორის არის განლაგებული. განაცხადების ვადა 30 ოქტომბრამდე, ხოლო სასტუმროების მშენებლობა გაისად 1 აგვისტომდე უნდა დასრულდეს. პროექტების დიზაინმა აჭარის მთავრობის მოხილენები უნდა დააკაყილოს.

არსებობს გარკვეული შეზღუდვებიც – მშენებლობისას ფიქვნარში იკრძალება ხეების მოჭრა, ხოლო თუ პროექტის მითითებულ ვადაში დასრულება ვერ მოხერხდა, ინვესტორები 15-წლიანი საგადასახადო შეღავთით ვეღარ ისარგებლებენ. ინვესტიციის მინიმალური იდენტობა 2 მილიონი ლარით განისაზღვრა.

ბათუმის საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის გენერალური მდივნის თამაზი შავაძის თქმით, შეთავაზება ძალზე დროულია. „პროექტი რომც ვერ განხორციელდეს წარმატებით, ის სხვა ახალ ინიციატივებს, საბოლოო ჯამში კი, რეგიონის განვითარებას შეუწყობს ხელს“, – ამბობს შავაძე და აქვე დასძენს, რომ მთავრობის მიერ ნავარაუდევი ტურისტთა ნაკადის (2 მილიონი) დასაკამაყოფილებლად ქობულეთში 40-50 ათასი სასტუმრო ნომერია საჭირო. ამჟამად კურორტზე 7 ათასი სასტუმრო ნომერია. ■

რეპორტაჟი

ცემსილის ჩანაცვლები

მთავრობის მრავალმილიონიანი სუბსიდია რთველის ჩატარებას უზრუნველყოფს, თუმცა მეღვინეობის განვითარებაში წვლილი არ შეაქვს.

ნანა საჭავა



„ლვინისა და ვაზის მუზეუმი“, სექტემბერი 2010

სოფელ აკურაში რთველი დილის ექვს საათზე იწყება, გრძელ კაბებში, მაღალყელიან წინდებსა და ჩალის ქუდებში გამოწყობილი სოფლის ქალები ვედროებით ხელში ვენახისკენ მიეშურებიან.

64 წლის ცაცო ვეფხვაძე ორლობეს მეზობლებთან ერთად მიუყვება, გუშინ 500 კილო ყურძენი დაკრიფა - თავისი მოსავალი უკვე აიღო, ახლა დღეში 15 ლარად სხვების ვენახებში მუშაობს. წინ კიდევ ერთი გრძელი დღეა. რთველი საღამოს 6 საათამდე გრძელდება.

„წელს ცაცტა მოსავალი იყო, გვალვებმა გაგიფუჭა ვენახი. ამიტომ მოვრჩი ჩემსას ასე მალე,“ - ამბობს ცაცო და ვენახის რიგებს მიუყვება.

გაჭიანურებული გვალვის გამო რთველი კახეთში წელს უჩვეულოდ ადრე, აგვისტოს ბოლოს დაიწყო და სექტემბრის ბოლომდე გასტანს. შედარებისთვის, შარშან რთველი ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდა.

უკვე რამდენიმე წელია, კახეთში რთველის საკორდინაციო სამთავრობო შტაბი მუშაობს. „რთველი 2010“-ის ოცაციანი ჯგუფი გურჯანის ერთადერთ სასტუმროშია განთავსებული. სასტუმროს ეზოში ლია რესტორანია. მის ერთ კუთხეში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბანერი, საქართველოს დროშა და ლერპიანი ტრიბუნაა მოთავსებული. საჭიროების შემთხვევაში, რესტორანი პრესკონფერენციის დარბაზად იქცევა ხოლმე.

შტაბს სოფლის მეურნეობის სამი-

საზოგადოება

ნისტროს ადმინისტრაციის უფროსი – ტარიელ გაბუნია ხელმძღვანელობს. „რთველის წარმატებულად ჩატარებისთვის“ 29 წლის გაბუნიამ შარშან ღირსების ორდენი მიიღო.

შტაბში კედელზე კახეთის და მისი რეგიონის რუკაა გაყრული. ადგილობრივ ურნალისტებთან საუბრის დაწყებამდე გაბუნია მუდმივად ანკრიალებულ ორ მობილურ ტელეფონს რთავს, პორტატულ კომპიუტერს ხსნის და უკაბელო მოდემს

შარშანდელ მოსავალთან შედარებით 23%-ით ნაკლებია. შარშან მოსავალმა 120 ათასი ტონა შეადგინა.

„რთველი მიდის ძალიან მშვიდად, ყოველგვარი რიგების და გართულებების გარეშე. შედგენილია ყურძნის ჩაბარების გრაფიკი და მოსავლის განაწილება დაგეგმილად ხდება“, – ამბობს გაბუნია.

„ღვინის კლუბის“ პრეზიდენტი მალხაზ ხარბედია ამბობს, რომ წელს, გასულ წლებთან შედარებით

ამან კი მოსავალი რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც დააზარალობა.

„თავისთავად, მცირემოსავლიანობაში ცუდი არაფერია, პირიქით, რაც უფრო ნაკლებადაა დატვირთული ვაზი და მცირეა მოსავალი, მით უფრო კარგი, ღრმა და გემრიელი ღვინო დგება, მაგრამ არა მაშინ, როცა მცირე მოსავლიანობას ბუნებრივი მოვლენები და სტიქიური უბედურებები იწვევს,“ – ამბობს ხარბე-



კომპანია wine man, სექტემბერი 2010



კომპანია wine man, სექტემბერი 2010



კომპანია wine man, სექტემბერი 2010



„ღვინისა და ვაზის მუზეუმი“, სექტემბერი 2010

ფოთოებია წერტილი მოგება

აერთებს. ინტერნეტს ის ინტერვიუს დროს ციფრების დასახელებისას იშველიერებს.

„12 ათას ტონამდე საფერავი და 3 ათას ტონამდე რქანითელი უკვე დაბინავებულია“, – ამბობს გაბუნია.

მისი თქმით, სავარაუდო მოსავალი წელს 87 ათასი ტონა იქნება, რაც

მართლაც გაცილებით ნაკლები პრობლემები იყო ყურძნის ჩაბარებასთან დაკავშირებით. თუმცა, ამის მიზეზი არა სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობა, არამედ ის იყო, რომ განახევრებული მოსავალი მოვიდა. წელს

კახეთში ხშირი იყო სტიქიური უბედურებები, შემდეგ გვალვა დაინყო.

დია.

კახეთში ყურძენს ოცი ქარხანა იბარებს. ერთ კილო საფერავში ქარხნები 40 თეთრს, რქანითელში კი 50-60 თეთრს იხდიან. ქარხნის ფასს სახელმწიფო სუბსიდია – კილო საფერავზე 25 თეთრიანი, რქანითელზე კი 15 თეთრიანი ვაუჩერი ემატება.

სახელმწიფო ვაუჩერი არ გაიცემა პიბრიდული ჯიშის ყურძენზე, რასაც შტაბში იმით ხსნიან, რომ „პიბრიდი ადვილად მოსავლელი ჯიშია.“ სამინისტროს მონაცემებით, წელს პიბრიდული ჯიშის მოსავალი 2 500 ტონამდე იქნება. ვაუჩერი მხოლოდ კერძო პირებს ეკუთვნით, ის არ გაიცემა შპს-ზე და მათზე, ვისაც საკუთარი ქარხანა აქვს.

სახელმწიფო სუბსიდირება, როგორც გლეხების მხარდამჭერი სო-

ახმარდნენ, „- ამბობს გაბუნია.


ვენახის სუბსიდირებისთვის წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 6 მილიონ 100 ათასი ლარი გამოიყო. ბიუჯეტი რთველის დაწყების ნინ, ივნისში, სავარაუდო მოსავლის დაანგარიშების შემდეგ შედგა.

სუბსიდირების ამ ფორმას მეღვინეთა ნაწილი უშედეგოდ მიიჩნევს. „ღვინის კლუბის“ პრეზიდენტის აზრით, ჯობდა, სუბსიდირებაზე დახარჯული თანხის ნაწილი მაინც

Cru artisan-ის მსგავსი „გლეხის ღვინის“ შემოღებაც“.

მიუხედავად იმისა, რომ რთველი მრავალმილიონიანი სუბსიდირებით არის გამაგრებული, გლეხებისთვის ქარხნების მიერ შეთავაზებული ფასი მაინც დაბალია. მათი ნაწილი ყურძნებს ან „კერძოდ“ ჰქონდის ან ღვინოს თავად აყენებს.

„ქარხანაში ვინდა ჩააბარებს, როცა ასეთი ფასებია. მე კერძოდ გავყიდე. საფერავში 85 თეთრი მომცეს. სხვა



კომპანია wine man, სექტემბერი 2010



კომპანია wine man, სექტემბერი 2010



„ღვინისა და ვაზის მუზეუმი“, სექტემბერი 2010

ციალური პროგრამა, აუცილებელი რუსეთის ბაზრის დახურვის შემდეგ გახდა.

„კახეთის მოსახლეობის 40%-მდე უმუალოდ მევენახეობაშია დასაქმებული და ხშირ შემთხვევებში, მათ უჭირდათ იმ დანახარჯების ამოღება, რასაც ვენახის მოვლა-პატრონობას

ფალსიფიკაციასთან ბრძოლაში და ღვინის ბაზრის ორგანიზებაში და დახვენაში დახარჯულიყო:

„ძალიან მნიშვნელოვანია, გლეხებისარისხიანი ღვინის ნარმოება ვასწავლით, რომლითაც ბაზარი გაჯერდებოდა. კარგი იქნებოდა კლასიფიკაციის ახალი საფეხურის – ფრანგული

შემოსავალი არაფერია, ვინც ზედმეტს მომცემს, იმას მივცემ“, – ამბობს ცაცო ვეფხვაძე და დაკრეფილი ყურძნის მტკვნებს წინსაფრის კალთაში იღავებს.

რთველი კახეთში რამდენიმე დღეში დასრულდება, შტაბი კი მომდევნო ერთი თვით რაჭაში გადაინაცვლებს. ■

ხომი ვიპოვთ სახუარს "პირველი ციფრისი"

ინტერვიუ პროფესორ

გია დვალთან

„ფუნდამენტური მეცნიერება შემოქმედებითი საქმიანობაა. ხოლო შემოქმედების ახსნა - რატომ აკეთებ ამას და არა სხვა რამეს – ძალიან ძნელია. თუმცა, ჩვენ გვესმის, რომ რასაც ვაკეთებთ, არა მარტო ჩვენი ინტერესის დაკმაყოფილებისთვის, არამედ კაცობრიობისთვისაა მნიშვნელოვანი.“

რატომ გადაწყვიტეთ, რომ კოსმოლოგია და ნანილაკების ფიზიკა ის სფერო იყო, რომლის შესავლაც თან საინტერესო იქნებოდა და თან მნიშვნელოვანი?

ინტერესსა ადამიანი არ ირჩევს, ის თავისით მოდის. საერთოდ, მეცნიერების ყველა განხრა საინტერესოა, რადგან მეცნიერება ხსნის ჩვენს არსებობას. ფუნდამენტური მეცნიერება იმ კი-თხვებს პასუხობს, რაც კვიპორიობას აღლებს და აუცილებელი არ არის, მეცნიერი იყო, რომ ამით დაანტერესდე.

საერთოდ, ყველა მეცნიერება მაინ-ტერესებს, მაგრამ ჩემი დარგი ფიზიკაა. საიდან წარმოვიშობით, რა არის კანონები, რასაც სამყარო ემორჩილება – ზოგადი კითხვები ბაგშვობიდან მაინ-ტერესებდა და მომერვენა, რომ ფიზიკას ჰქონდა ამ კითხვებზე პასუხი. კოსმოლოგია ფიზიკის ერთერთი განხრაა.

თქვენს სპეციალიზაციას უცნაური სახელი აქვთ: ელემენტარული ნანილაკების ფიზიკა და კოსმოლოგია. პირველი ძალიან მცირე დეტალურს შეისწავლის, მეორე - მასშტაბური და მრავლის-მომცველია. რა კავშირშია ეს ორი სფერო ერთმანეთთან?

ელემენტარული ნანილაკებისა და კოსმოლოგიის კავშირს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: კოსმოლოგია სამყაროს დინამიკა, მეცნიერება სამყაროს ისტორიაზე; იმაზე, თუ როგორი იყო ის ადრე და როგორი

იქნება მომავალში. ამისათვის საჭიროა გავიგოთ, რა კანონები მოქმედებდა სამყაროს განვითარების ადრეულ ეტაპებზე. მაგალითად, ადრე სამყარო ძალიან ცხელი და მკვრივი იყო, მასშტაბები - შემცირებული. ის კანონები, რომლებიც ელემენტარულ ნანილაკებს შერჩის მოქმედებს, გადამწყვეტ როლს თამშობდა სამყაროს ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, ელემენტარული ნანილაკების ბუნების გაგების გარეშე, შეუძლებელია, სამყაროს შესახებ გაიგო და კოსმოლოგია შეისწავლო.

ამას გარდა, კოსმოლოგია ლაბო-რატორიაც არის, სადაც შეგვიძლია, ელემენტარული ნანილაკების შესახებ ჩვენი იდეები შევამონმოთ. უხეშად რომ ვთქვათ, სამყარო არის ყველაზე დიდი „ამაჩერებელი“, და მასზე დაკვირვებით იდეებს შევამონმებთ. ასე ვხვდებით, სწორად მივდივართ თუ სიბრძლეში აღმოვჩნდით.

მეცნიერება, გარკვეულწილად, კონსერვაცული სფეროა. უკვე დამკიდრებულ ცნებებზე აგებული. რამდენად ადვილია ამ სფეროში ახალი ინიციატივებით და თეორიებით შექრა?

მეცნიერება, ერთდროულად, კონსერვაცულიცაა და, ამავე დროს, ძალიან დინამიური. მეცნიერების კონსერვაცულობა ძალიან განსხვავდება სხვა დისკიპლინების კონსერვაცულობისგან. ეს დაფუძნებულია არა დოგმე-

ბზე, არამედ, კოლექტიურ ცოდნაზე, რომლის კორექტირებაც მუდმივად ხდება. ჩვენ არ გვყავს კერპები. რაც უნდა ავტორიტეტული იყოს მეცნიერი, მის ნებისმიერ მტკიცებულებას „კოლექტიური ტვინი“ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს. თუ ახალი იდეა რევოლუციურია და პარადიგმებს ანგრევს, ამასთან შეგუებას დრო სჭირდება. ეს დრო შეიძლება, იყოს 1 კვირა, 6 თვე, ან წლები. თუმცა, ბოლოს ეს კოლექტიური ტვინი ახალ იდეას ითვისებს.

მეცნიერების განვითარებისას, ზედნაშენი ძველს არასდროს ანგრევს, რადგან ძველი, როგორც წესი, კარგად არის ხოლმე შემოწმებული. თანამე-დროვე საერთაშორისო სისტემა ამ თვალისზრისით ძლიან მოენილია. ახალგაზრდებსაც კი ნებისმიერ დონეზე აქვთ საშუალება, განსაკუთრებით ჩვენს დარგში, თავიანთი იდეები მსოფლიოში ცნობილი გახადონ.

თქვენ როგორ მოახერხეთ ადგილის დამკიდრება თუნდაც მაშინ, როდესაც სამყაროს გაფართოების ახალ კანონზომიერებას მიაგენით?

მე ყოველთვის აღტაცებული ვარ იმით, რასაც ვაკეთებ რომელიმე კონკრეტულ მომენტში. თუ დღეს რამეზე ვფიქრობ და ვმუშაობ, ის მიმართა ძალიან მნიშვნელოვნად. როცა პირველად უნივერსიტეტის სემინარზე რაღაცის წაკითხვა დამავალეს და



ფოტო ლევან ხარისხიანი

■ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მეცნიერებმაც საერთაშორისო წესებით თამაში დაიწყეს. თუმცა, აუცილებელი არ არის, ქვეყანა მაინც დამაინც კატაკლიზმების გამო დატოვო. საქართველოსა და ჩემს შემთხვევაში ეს ორი რამე უბრალოდ დაემთხვა.

ჩემით მოვძებნე ინფორმაცია, მაშინაც აღტაცებული ვიყავი.

ნებისმიერი პროგრესი მეცნიერის-თვის შთაგონების და ენთუზიაზმის წყაროა. ჩემთვისაც ასეა. მეცნიერის პროგრესში დიდ როლს იდეები თამაშობს. შეიძლება, ეს იდეები ფართოდ არასოდეს გამოიყენო, მაგრამ იმ მომენტში, როცა ტვინი ახლის გენერაციას აკეთებს, ეს შთაგონების ძალიან დიდი წყაროა.

ფუნდამენტური მეცნიერება შემოქმედებითი საქმიანობაა. ხოლო შემოქმედების ახსნა – რატომ აკეთებ ამას და არა სხვა რამეს – ძალიან ძნელია. ეს იგივეა, რომ მხატვარს კითხოთ, რატომ ხატავო? მეცნიერებიც ასე

არიან მოწყობილები – ეს პროცესი მათვის აუცილებლობაა. თუმცა, ჩვენ გვესმის, რომ რასაც ვაკეთებთ, არა მარტო ჩვენი ინტერესის დაკამაყოფილებისთვის, არამედ კაცობრიობისთვისაა მნიშვნელოვანი, თუნდაც ტექნოლოგიური თვალსაზრისით.

როგორ აისახება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე ცოდნა პარალელური განზომილებების, პირველადი სამყაროს, მისი აგებულების, ტემპერატურის, მასის და დროის სიჩქარის შესახებ? რას დავვარგავთ, თუ არ გვეცოდინება, მაგალითად, რამდენია „პირველსაწყისის პლატის სიგრძე“?

ნებისმიერი არცობდნა კაცობრიო-

ბისთვის მიწასია. პროგრესი ცოდნას მოსდევს. ძალიან ძნელია იმის პროგნოზირება, ესა თუ ის კონკრეტული აღმოჩენა რას შეცვლის სხვების ცხოვრებაში. ნებისმიერ ფუნდამენტურ აღმოჩენას უცებ ისეთი დიდი გავლენა ჰქონია, რომ ამას ვერ იწინასწარმეტყველებდნენ.

მაგალითად, WWW სისტემა, რომელიც ფიზიკოსებმა შექმნეს და მუშაობისთვის იყენებდნენ, მერე კაცობრიობას უსასყიდლოდ აჩუქეს და ახლა დარწმუნებული ვარ, თქვენც ყოველდღიურად იყენებთ ამ სისტემას.

მეცნიერები ამბობენ, რომ ცერნიის ამაჩქარებელი (დიდი ადრონული

კოლაიდერი) ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. იქ ჩატარებული ექსპერიმენტები კაცობრიობას დახმარება, მიავნოს სამყაროს ფუნდამენტურ აგურებს... კონკრეტულად რა შეიძლება, შეცვალოს ახალმა აღმოჩენებმა, რის ამოხსნას ელოდებით ?

წარმოიდგინეთ, რომ ეს ამაჩქარებელი არის მსოფლიოში და კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძლიერი მიკროსკოპი. მისი დახმარებით შეგვიძლია, ჩაიხედოთ სულ უფრო და უფრო პატარა მანძილებზე. დაახლოებით 10-17 სანტიმეტრით. მისი საშუალებით, მატერიის სუბსტრუქტურას ვარჩევთ – ეს არის ამ დანადგარის ძირითადი ფუნქცია. საბოლოოდ, ჩვენი მიზანი ის არის, რომ ვეძებთ სამყაროს პირველ საწყისს, ანუ, იმ ფუნდამენტურ აგურებს, რომლისგანაც სამყარო შედგება.

„ახალგაზრდა“ სამყარო ძალიან მკვრივი იყო, მანძილები კი – პატარა. ჩვენ საშუალება გვეძლევა, წარსულში დავპრუნდეთ და სამყაროს ის სურათი ამოვიკითხოთ. და თუ მთლიანად ვერა, ადრეული სამყაროს შესახებ რაღაც ასპექტები გავიგოთ – მაგალითად, რა ხდებოდა მაღალ ენერგიებზე?

ამაჩქარებელი საშუალებას მოგვცემს, გავიგოთ, შესაბამება თუ არა სინამდვილეს თეორიული მოსაზრებები მასების წარმოშობის თაობაზე? ან, როგორ წარმოშობა მასები ფუნდამენტში? არსებობს თუ არა ამ მანძილებზე დამატებითი განზომილებები? ჩვენს სამყაროში ხომ საში განზომილებაა. თითქოს, მეტი არ ჩანს, მაგრამ ეს იმას არ ნიშავს, რომ დამატებითი განზომილებები არ არსებობს. მათი არსებობა თეორიულად მოტივირებულია. შესაბამისად, ეს ექსპერიმენტი საშუალებას მოგვცემს, ან დავინახოთ, ან შემოვსაზღვროთ ამ დამატებითი განზომილებების არსებობას, მათ ზომას, გეომეტრიას.

ამ ამაჩქარებელში უკვე მიმდინარეობს პროტონების დაჯახებები. წარმოიდგინეთ მეტროს გვირაბი, სადაც ორი სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობს მატარებელი. მსგავსი პრინციპით ორი

მიმართულებით ხდება პროტონების აჩქარება კლაიდერშიც. როცა პროტონები რაღაც ენერგიას აღწევენ, შემდეგ ეჯახებიან ერთმანეთს. ეს დაჯახებები სულ მიმდინარეობს, დროის პატარა მონაკვეთში.

გეგმის მიხედვით, სიმძლავრე თანადათან უნდა გაიზარდოს და მაღალ ენერგიებს მიაღწიოს. ასეთი დიდი დანადგარის და როული სისტემის პროგნოზირება როულია. გასაოცარი ის უფროა, რომ ჯერ ასე კარგად მუშაობს. ნებისმიერ დროს შეიძლება ხარვეზი წარმოშვას. შედეგებს რაც შეეხება, ექსპერიმენტატორები მონაცემების გაშიფრაზე ახლა მუშაობენ.

თუ ძალიან გაგვიმართლა, ჩვენს კითხვებზე პასუხი შეიძლება, მალევე მივიღოთ, თუმცა, შეიძლება, წლებიც დასჭირდეს.

როგორ მოხვდით, 90-იან წლებში საქართველოს ფარგლებს გარეთ, მსოფლიოს ნამყვან უნივერსიტეტებში? რატომ ნახვედით მაშინ? საბჭოთა სისტემა რომ არ დაშლილიყო, ამას მაინც შეძლებდით?

საბჭოთა კაშირი რომ არ დაშლილიყო, ეს შანსი, აღმართ, არ იქნებოდა. თავიდან საბჭოთა კავშირში მეცნიერება და ტექნიკური დარგები პრიორიტეტული იყო. მუდმივად ხდებოდა და თანხების ინექცია მეცნიერულ კვლევებში. სისტემა რომ მოიშალა, ყველაფერი ინერციით გრძელდებოდა. ზოგიერთ ინსტიტუტში შესაძლებელი იყო მუშაობის გაგრძელება, ზოგიერთში კი უკვე ძალიან რთული ვითარება იყო.

იმ დროს, 90-იან წლებში, სხვადასხვა ეტაპზე მყოფმა მეცნიერებმა დაინტეს მიმოსლა და მაშინ მეც წავედო. გადაწყვეტილება ძალიან სწრაფად მივიღე.

კოსმოლოგია, მით უმეტეს, თეორიული კოსმოლოგია, ფიზიკის შედარებით ახალი დარგია. განსაკუთრებით ახალია მისი განხილვა – ასტრო-ნანोლაპრების ფიზიკა. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირში იყო მეცნიერების ჯგუფი, რომელმაც დაიწყო ამ მიმართულების განვითარება. მაშინ საბჭოთა კავშირს ფუნდამენტური ფიზიკის ძალიან მაღალი დონის სკოლა ჰქონდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგები, მეცნიერებმაც საერთაშორისო წესებით თამაში დაიწყეს. თუმცა, აუცილებელი არ არის, ქვეყნა მაინც დამატების კატაკლიზმების გამო დატოვო. საქართველოსა და ჩემს შემთხვევაში ეს ორი რამე უპრალოდ დაემთხვევა.

რაც შეეხება საქართველოს, აქ მიმდინარე პროცესებს – როგორ ვითარდება მეცნიერება და როგორ ხედავთ თქვენს ადგილს აქ?

ჩემს თავს საქართველოსთან მიმართებაში ძალიან კარგად ვხედავ. ვცდილობ, რაც შეიძლება ხმირად ჩამოვიდე და ლექციების კურსი სხვადასხვა უადიტორიისთვის წავიკითხო. მაგრამ ეს არის იმის მინიმუმი, რის გაეთებაც შეიძლება.

ნებისმიერ საზოგადოებაში ყოველთვის გამოჩენდებიან ხილმე ადამიანები, რომლებიც რაღაცას მოიფიქრებენ და გააცემებენ. მაგრამ, სისტემა ვერ იქნება გამონაკლისებზე გათვლილი.

ფუნდამენტური მეცნიერება თავის თავს ვერ ინახავს. ქვეყანაში მეცნიერება პრიორიტეტული უნდა იყოს, თუ გვინდა მისი განვითარება. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც არ ესმის, რომ მეცნიერების განვითარება აუცილებელია. **¶**

ესაუპრა რუსუდან ფანზიშვილი.

გვა დვალი ელემენტარულ ნანოლაპრების ფიზიკასა და კოსმოლოგიას სწავლობს. იგი მოუწენის ლუდვიგ მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტის, ცერნისა და ნიუიორკის უნივერსიტეტის პროფესორია. სამყაროს გაფართოების შესახებ ახალი თეორიების და მსოფლიოში ყველაზე მძლავრი – დიდი აღრიცხული ამაჩქარებლის – ესპერიმენტების თანავაჭრო. მას შემდეგ, რაც 1992 წელს თბილისის ფიზიკის ინსტიტუტიდან სწავლა და მეცნიერული მოღვაწეობა მსოფლიოს ნამყვან უნივერსიტეტებში განაგრძო, გვა დვალი საქართველოში წელიწადში რამდენჯერმე ჩამოდის და სტუდენტებისთვის თუ სხვადასხვა აუდიტორიისთვის ლექციებს კითხულობს.

უნიფორმის ჩაბეჭის ხასიათი



საქართველოში კულტურა 100%-ით პოლიტიზებულია. ის საგანგებო სამხედრო მდგომარეობის რეჟიმში ფუნქციონირებს და ერთადერთი პრიორიტეტი გააჩნია – სამშობლო და მისი მესაჭე.

პაატა ქურდაძე

ომის შემდეგ ახალი ქართული კულტურული პოლიტიკა იფიციალურად ჩამოყალიბდა – ის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგი გახდა, ფაქტობრივად, სამხედრო სტატუსი მიიღო. რეფორმამ ამ სფეროში მოღვაწენი – კულტურის გენერაციად, კაპიტანებად, ათისთავებად, გენერალობაზე მეოცენებე კორუმპირებულ ჯარისკაცებად და გასვლით კულტურულ ღონისძიებებზე „საველე სამწვადეებში“ დასაქმებულ მზარეულებად გადააქცია.

საქართველოში საბჭოთა პერსტროიკის გარიურაჟის შემდეგ კულტურა არასოდეს ყოფილა ისეთი კონიუნქტურული, როგორიც დღეს არის; შეძლება ითქვას, უფრო „ღრმად“ კონიუნქტურულიც კი, ვიდრე სსრკ-ს დროს. რადგან კომუნისტური პარტიისა და კრემლის სადიდებლად შექმნილი ულტრამემარცხენე კულტურა ეროვნულად არასოდეს აღიქმებოდა საქართველოში. დღევანდელი ეროვნული – პატრიოტული კულტურა, რომელსაც აშკარად მევეთრად გამოხატული ულტრამემარჯვენე სუნი ასდის, ბევრად უფრო მშობლიურია საშუალო ქართველისათვის, ვიდრე სიძლერები ყოჩალ პიონერებზე და გამრჯე კოლმეურნებზე.

კულტურა, საქართველოში ტრადიციულად პირველ რიგში, თითქოს დღესაც ხელოვნებასთან ასოცირდება. სინამდვილეში, სამხედრო-კულტურული კონცეფციის ავტორების პრიორიტეტები მაინც ბურუსითა მოცული – ძნელი მისახვედრია, ეს დისკო ფეიერვერკებია, დაბალი ხარისხის პროპაგანდისტული კინო, თუ ევროპული კულტურის უიგოლოების უპადრული პროექტების იმპორტი. თუმცა, არავინ დავობს იმაზე,



თბილისი OPEN AIR - ALTERVISION (შარლენის ქ), თბილისი, 2009

ფოტო მარიამ გაგარაძე

■ ის სტრატეგიული კულტურა, რომელიც ქვეყნის სამსახურშია – უხვად ფინანსდება. მაგრამ ფასეულს ვერაფერს ქმნის. ხელოვნების წარმოება, ფაქტობრივად, არ ხდება, ამიტომ ეს ბიუჯეტი ძირითადად ხმარდება იმპორტ-ექსპორტს. მიუხედავად იმისა, რომ საექსპორტო არაფერია მტკრიანი კინოფილმების, ფილმებისა და პოლიფონიის გარდა. ასეთი კულტურის პოლიტიკა შეუძლებელია, პროდუქტიული

რომ – გლობალურად, კულტურა არის ზუსტად ის, რაც მესაჭეს ჰგონია. ამიტომ მიმართულება, პრინციპი, განსაზღვრულია – წინ ბრჭყვალა მომავლი-საკენ!

ის სტრატეგიული კულტურა, რომელიც ქვეყნის სამსახურშია – უხვად ფინანსდება. მაგრამ ფასეულს ვერა-

ფერს ქმნის. ხელოვნების წარმოება, ფაქტობრივად, არ ხდება, ამიტომ ეს ბიუჯეტი ძირითადად ხმარდება იმპორტ-ექსპორტს. მიუხედავად იმისა, რომ საექსპორტო არაფერია მტკრიანი კინოფილმების, ფილმებისა და პოლიფონიის გარდა. ასეთი კულტურის პოლიტიკა შეუძლებელია, პროდუქტიული

იყოს. ხელოვნება, რომელიც რაიმეს, თუნდაც ყველაზე დიად მიზანს ემსახურება კარგავს თავისუფლებას. ასეთი ხელოვნება რომ მაღალ ხარისხში აიყვანო და ნაციონალურ კულტურად აქციო, ამისათვის დიგა ვერტოვი, მათაკოვსკი ან კალატოზოვი უნდა იყო. სამწუხაროდ, ასეთი საქართველოში არავინაა. პერსპექტივაც აბსოლუტურად უიმედოდ გამოიყურება.

ხელოვანს, რომელიც საზოგადოების ყურადღებას ოდნავ მაინც მიიქცევს, უკვე ემპრიონულ მდგომარეობაში ხდიან კორუმშირებულს და ის კულტურის „ვიკიდიში“ ხდება. კორუფცია მას ზუსტად იმ დოზით ასაზრდოებს, რაც საკმარისია იმისთვის, რომ შიმშილით სული არ გასძერეს: მას საშუალება ეძლევა, მცირე ჰონორარის საფასურად აბსოლუტურად სტანდარტული უინტერესო სტატიები აქცეუნოს კონიუნქტურულ პრესაში, იმუშაოს „დიდი სამეულიდან“ ერთ რომელიმე ტვ არჩე, ან პატრიოტულ-კულტურულ ღონისძიებებში ნებისმიერი სახით მიიღოს მონაწილეობა.

ეს „ჰონორარები“ დახსლოებით იგივეა, რაც დასავლეთში უმუშევრობის შემწეობა.

ეს მიზერული თანხა მისთვის ერთგვარი გარანტია, რაღაც შანსია, რომ მანამდე მაინც დარჩეს ერთგული თავისი არტისტული საქმიანობის, არჩევნის, სანამ საბოლოოდ გაარკვევს – ულირს თუ არა, საერთოდ, არტისტის კარიერა იმად, რომ მსხვერპლი გაიღოს. საქართველოში არა თუ არტისტებს, უპოვარ მოხუცებს უჭირთ შემწეობის მიღება.

ამიტომ „რა ქნას“ 20 წლის ღატაქმა პოვეტმა? – ის ქმნის ასლარიან ხელოვნებას, ანუ „პოეზიას“, რომელსაც ზუსტი ფასი აქვს – შტრიხეოფით. აյ არტისტი კვდება. მას გორგოლაჭებიან რკინის საწილზე აწვენენ. ფეხის ცერზე კანაფით პატარა ქალადლს შეაბამენ მისი ანკეტური მონაცემებით, და აგორავებენ თბილისა და ბათუმს შორის სამარშრუტო გვამივით.

გულისმომკლელი სანახავია, თუ როგორ ტრანსფორმირდებიან საქართველოში „პოეტები ლექსის ჩარჩებად“

(ტიციან ტაბიძე), ექს-ავანგარდისტი მხატვრები – კურატორებად, როკერები – წვრილ ფუნქციონერებად.

ითვლება, რომ ეროვნული კულტურა პირველ რიგში, არქიტექტურასა და დეკორაციაში აისახება. თბილისა და ბათუმში კონცენტრირებული თანამედროვე ქართული „ჩარჩებული“ არქიტექტურის ნიმუშებში მართლაც სარესავით ირეკლება თანამედროვე ქართული კულტურული ტრაგედია. თუმცა ის, არქიტექტურის გარდა, თითების ნებისმიერ კულტურულ მანიფესტაციაში შეგვიძლია, დავინახოთ.

მაგალითად, სექტემბრის ბოლოს ონდონში დაგეგმილი ქართული კინოს რეტროსპექტივის პროგრამაში – მასში, ტრადიციულად, საბჭოთა ეპოქის კინოს ჩარმოდგენილი. სრულიად მარტივი მიზეზის გამო – სხვა ქართული კინო არ არსებობს – ბოლო ოც წელინადში ბევრი არაფერი შექმნილა: კალატოზოვი, აბულაძე, კობახიძე. გიორგი შენგელაია. ერთადერთი თანამედროვე ფირი „გაღმა ნაპირი“ (გიორგი ივაშვილი), რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ექსპერიმენტი და, რა თქმა უნდა, იოსელიანის ფრანგული კინო, რომელსაც ისევ ქართულს ვუწოდებთ და ამით საერთაშორისო ფორუმებზე იოლას გავდივართ.

თუმცა, თანამედროვე კინოს ჩამონათვალში მაინც არის ერთი ფილმი, რომელიც ძალიან კარგად ასახავს ქართულ თანამედროვე რეალობას – ეს არის ნინო კირთაძის „ცოტა რამ საქართველოს შესახებ“ სადაც საქართველოს შესახებ მართლაც ძალიან ცოტა რამ არის მოთხოვილი, სამაგიროდ მასში ისევ, როგორც დღევანდელ ქართულ რეალობაში, თითების მთელი სასიცოცხლო სივრცე პოლიტიკურ, სამხედრო და კულტურულ მთავარსარდალს უჭირავს. ქართველი მაყურებლისათვის, ამ თვალსაზრისით, ფილმს შესაძლოა, გარკვეული წლების შემდეგ ერთგარი დოკუმენტური ფასეულობა მართლაც დაედოს. თუმცა სამწუხაროდ, უცხოელი მაყურებლისათვის ის დღესაც ძალიან ბანალურია.

ქართული კულტურის ყაზარმულ-

დისკო რეჟისორში ფუნქციონირება საქართველოსათვის დამღუბელი შედეგებით დამთავრდება – რადგან კულტურა სწორედ იმ შარმს აყალბებს, რის წყალობითაც საქართველომ გასულ საუკუნეში რაღაც საერთაშორისო სახე შეიძინა. მაგრამ ის შარმი ნელ-ნელა წარსულს ბარდება, მისი ჩანაცვლება, ფაქტობრივად, არ ხდება – როდემდე შეიძლება, ერთი და იგივე კანო-რეტროსპექტივის ჩვენება? სპექტაკლი რა დიდებულიც უნდა იყოს, თუ არ გამოიცალა, ერთ შევენიერ დღეს დასს ცარიელ დარბაზში მოუწეს თამაში და თეატრი დამშებება.

საქართველოს კულტურის სტრატეგია სტირდება და არა სტრატეგიული კულტურა.

კულტურის სტრატეგია კი ძალიან მარტივი განსასაზღვრია – ქვეყანამ ელემენტარული საარსებო სივრცე უნდა შექმნის ხელოვნებას და მას შემოქმედებითი დამოუკიდებლობა მისცეს. ქვეყანაში, სადაც არ არსებობს თანამედროვე ხელოვნების ცენტრი, შეუძლებელია თანამედროვე ხელოვნება განვითარდეს, რადგან ესეთი ხელოვნება მხოლოდ იმ ქვეყნებში ვითარდება, სადაც სახელმწიფო უანგარიდ ეხმარება ხელოვნებას, არ იღებს გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ ვინ არის კარგი და ვინ ცუდი, როგორც ამას საქართველოს კამუფლაჟიანი უნიფორმირებული კულტურის პოლიტიკის მომხრენი ითხოვენ.

მათი „რეინის“ არგუმენტი კულტურის დაფინანსების წინააღმდეგ: – „რატომ უნდა გადავუხადო ჩემი ჯიბიდან ვიღაც უნიჭირ მხატვარს, ან პოეტს?“ ძნელი წარმოსაზღვრია, 21-ე საუკუნის „ევროპამოვლილ ინტელექტუალს“ არ ესმოდეს, რომ მისი ჯიბიდან ამოღებული გროშები უკვე აღიარებულ „პიკასოს“ არაფერში სტირდება.

მაგრამ თუ მას ჯიბები ხელის ჩაყოფა უჭირს – ასებით თუნდაც „უნიჭირ“ (ვინ ადგენს?) არტისტის დასახმარებლად, მის ქვეყანას პიკასო არასოდეს ეყოლება. საქართველო თავისი შარმს საბოლოოდ დაკარგავს, კარგად მოასაზღვრა „დისნეილდან და დისნეილდა“ გადაიქცევა... და მოკვდება. **¶**

ახალი სატელევიზო საზონი - "ეს, ქალის მოვანასახით"



„მაია თუ ნანუკა? საკითხავი სწორედ ეს არის!“ - უილიამ შექსპირი

ნინია კავაბაძე

მესმის, საჭიროა იმ პრობლემის ერიტიკული ანალიზი, რასაც ქართული ტელემედია, რეიტინგული გადაცემები, პრაიმ-ტაიმში მაუწყებელი შოუები ჰქვია, მაგრამ დღეს არ შემიძლია. ამიტომ, რასაც დავწერ, ნუ განიხილავთ ტელეერიტიკის კონტექსტში. არ ვიცი, რა გამოვა, მაგრამ მიზნად არ დამისახავს ახალი სატელევიზიო სეზონის კრიტიკული ანალიზი. მერწმუნეთ, ძალიან რთულია!

უკანასკნელი 5 წელია, უცდილობ და ვერ მივაღწიე იმ მდგომარეობას, რომ თავისთავად ვიცოდე, რა ხდება და

რას გვიმზადებს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. მასზე არავინ, არსად, არც ერთ სოციალურ ქსელში არ ლაპარაკობს, იმიტომ რომ არავინ უყურებს და არავინ იცის, რა უბედურება ტრიალებს ეთერში. ამის პირობასაც ვდებ - თავს ძალას დავატან და ამ არხსაც ჩავუჯდები!

მანამდე კი „იმედი“ და „რუსთავი 2“ ორივე არხმა უკანასკნელი კვირის მანძილზე ახალი და ძველი გადაცემების ანონსი შემოგვთავაზა. „იმედზე“ დროებით შესვენებაზე გავიდა გადაცემა „სიმართლის დრო“ და მალე

დაბრუნდება. მაგრამ იგივე წამყვანით, ნანუ კალატოზიშვილის მონანილეობით, ახალი გადაცემა შემოდის „ინტუიცია“. გადაცემის პროდიუსერისგან კარგად ვერ გავიგე, რა ტიპის შოუ იქნება, მაგრამ მჯერა „გაამართლებს“. ერთობ ინტელექტუალური შოუ „მაფიის ლამე“ გაგრძელდება. აბა, კანონიერი ქურდების ინსტიტუტი გავანადგურეთ ქვეყანაში და „ჩანაცვლების თერაპია“ ხომ სჭირდება მოსახლეობას, მაყურებელს?!

დილის გადაცემაში ლეგენდარული ნუცა ჯანელიძის ხელმძღვანელობით



გედიკრიტიკა

ისევ გვიმღერებენ ნიჭიერი ახალგაზრდები, მაგრამ ნუცა აღარ იქნება აკადემიური, ის ტახტზე წამოგორდება, ფეხებს ზედ ააწყობს და ისე უხელმძღვანელებს მომღერალ ბავშვებს. ეს ყველაფერი, „იმედის“ ახალ უშუალო გადაცემაში „დღის შოუ“ მოვისმინე. იცით რა, ჩვენი (ანუ „იმედის“) ხაზი უნდა იყოს უშუალო და ამიტომ მეც ავანუ ფეხები ტახტზეო, – თქვა ნუცამ. უშუალობის, ბუნებრივობის, სილალის, უკომპლექსობის, უხამსობის თუ უწმანურობის უნიკალური ნიმუშია ია ფარულავა და გადაცემა „დღის შოუ“, სადაც ქალბატონები, ხან ერთმანეთისთვის უკანალის ალოკვის თუ ამოკვრის პრეცედენტებს ქმნიან, ხან „დამპალ“ ქმრებზე საუბრობენ და ყველაზე ხშირად: ფეხებზე, წელზე, გაბერილ მკერდზე, ცელულიტზე, ბო-

ზიო სეზონის პრეზენტაცია. მთავარი სტუმარი ნანუკა უორჟოლიანი იყო, რომლის კოჭი, ფეხი, წელი, საზაფხულო დიეტა, მასაჟები, ტაკუფუნები... ყველაფერი გავარჩიეთ და საბოლოოდ ყველაფერი მოვიწონეთ გოგოებმა. ბოლოს იამ პრძანა: „ნანუკა, ფეხები გაქვს სუპერი!“ შემდეგ ვისაუბრეთ რა სიახლეები იქნება „ნანუკას შოუში“. შოუს ბენდი გააფორმებს მუსიკალურად, დიჯეი არსად წავა – არ ინერვიულოთ! მაგრამ მთავარი ერთ-ერთი ბოლოკის დასასრულს ითქვა. ნანიკო ხაზარაძე რეკლამაზე ამ ტექსტით გადის: „იქნება თუ არა ნანუკა უორჟოლიანის გადაცემაში ქილიკი მაია ასათიანზე (ინგა გრიგოლია გამახსენდა, ქართული ტელეინტრიგის დედა)?“ ნანუკა თუ მაია? „პროფილი“ თუ „ნანუკას შოუ“ – ეს კითხვა უკანასკნელი

ფეხზე იხდიან და ტახტზე აწყობენ, იქვე ძალი ბუდობს, ჩაისაც მოგიდულებენ, ყავასაც... ნანუკას, რეიტინგიც უნდა და „სვეტსკობაც“. აი, მაია ასათიანმა კი მისი პირველი გადაცემა (ამ სეზონზე) „ყველაზე სვეტსკი თბილისა და ნამდვილ საქართველოს“ მიუძღვნა. მანამდე გვითხრა, რომ ეს გადაცემა ყველაზე დიდი პროვოკაციაა, დიდი ავანტიურა და ბოლოს დაგვამშვიდა „ჩვენ ვხუმრობთ“. ამ გადაცემით „პროფილის“ ნამყანმა თითქოს მის კრიტიკულად განხყობილ მაყურებელს, რომელსაც „სვეტსკები“ დაარქვა, უთხრა: – არ მოგწონთ ჩემი გომიობა? მიიღეთ ის უზომო რაოდენობით! თითქმის 2 საათის განმავლობაში ეკრანზე უგემოვნობის (არა!), მდარე ხარისხის მუსიკოსებისა და მუსიკის (არა!), ნამდვილი

■ ნანუკას სურს, რომ უფრო cool იყოს, მას იმაზე მეტი პრეტენზია აქვს, ვიდრე უბრალოდ რეიტინგული ყვითელი გადაცემაა. ამიტომ არის, რომ ისიც ძალიან „უშუალოა“, როგორც წამყვანი, მისი სტუმრებიც ფეხზე იხდიან და ტახტზე აწყობენ, იქვე ძალი ბუდობს, ჩაისაც მოგიდულებენ, ყავასაც... ნანუკას, რეიტინგიც უნდა და „სვეტსკობაც“.

ტოქსზე, ეპილაციაზე... ცხვირი, პირი, ბარძაყი, თეძოები და ა.შ. გადაცემაში ძალიან დიდია „დოდოშკას“ ფუნქცია და როგორც წესი, სტუდიაში ერთხმად აკივლებული ქალების ფონზე, მისი სანდომიანი, გაფართოებული თვალები მოჩანს ხოლმე, რომლის მზერაც იტყობინება – კარგით რა, გოგობო, ეგზომ ეგზალტირებულები ხართ! მაგრამ გადაცემა, როგორც ჩანს, მაინც ასრულებს თავის ფუნქციას, ის „სამოთხის ვაშლების“ კონკურენტად შეიქმნა და მთავარი სხვაობა ამ ქალბატონების „უშუალობაა“. რატომ ბრჭყალებში? იმიტომ, რომ უშუალობა ძალიან დაუკონკრეტებელი ცნებაა და ყველასათვის განხსვავებულ მნიშვნელობას ატარებს. ამას სულ ახლასა მიგხვდი.

სწორედ ამ „უშუალო“ გადაცემაში შედგა „იმედის“ ახალი სატელევი-

წლის და დღევანდელი დღის შექსპირისეულ დილემად იქცა. ვერ შეთანხმდა ქართული საზოგადოება – მაინც რომელი?

ძალიან მოკლედ ჩემს აზრსაც მოგახსენებთ. ორივე გადაცემა ყვითელია, (და არა მხილოდ ეს ორი) ძალიან რთულია, ყვითელი გადაცემა იყოს დახვეწილი და აქმაყოფილებდეს გემოვნებიან მაყურებელს. აქვე შეგახსენებთ, რომ გემოვნებაზე დავობენ. ორივე წამყვანი მაყურებლის გართობას და სტუმართა „სულში ჩაძრომას“ ცდილობს. ნანუკას სურს, რომ უფრო cool იყოს, მას იმაზე მეტი პრეტენზია აქვს, ვიდრე უბრალოდ რეიტინგული ყვითელი გადაცემაა. ამიტომ არის, რომ ისიც ძალიან „უშუალოა“, როგორც წამყვანი („იმედის“ უშუალობის ხაზი, როგორც არხის ხერხემალი, არ დაგავიწყდეთ), მისი სტუმრებიცი

ჯოჯოხეთის რეკლამირება მიდიოდა, ნამდვილი საქართველოს სახელით. ამ „პროვოკაციით“ მაიამ „სვეტსკი“ მაყურებელი გააღიზიანა და „ნამდვილ საქართველოს“ ასამოვნა.

„დეირფასო მაია, მინდა ორიოდე სიტყვით მოგახსენო. ავანტიურა ნიშნავს თავგადასავალს, ავანტიურისტი კი თავგადასავლების მოყვარულს. ამ გადაცემაში თავგადასავალი არ ყოფილა. ხუმრობა ნიშნავს ხუმრობას. როდესაც შენი საქციელით ან მახვილი ენით სხვას გააცინებ, (გააღიმებ მაინც) – სასაცილო ამ გადაცემაში არაფერი ყოფილა. ასევე, სიტყვა პროვოკაცია მეტნაკლებად ადეკვატურად იყო ნახმარი, მაგრამ კარგი გაგებით, თანაც ამ კონტექსტში, პროვოკატორი ის არის, ვინც უმრავლესობას აღიზიანებს საკუ-

თარი ქმედებით და არა – უმცირესობას. ეს გადაცემა (2010 წლის, პირველი „პროფილი“) უმრავლესობის კონიუნქტურის გათვალისწინება და მათვის გაკეთებული რევერანსი იყო, რაც არაფრით განასხვავებს მას წინამორბედი გადაცემებისგან. მე კი გისურვებ ნამდვილ პროვოკაციას. და რაც მთავარია – სვეტსკი ნიშნავს გომს, გომი ნიშნავს უგემოვნო არსებას. მარიამ ღვთისმშობლის წილვედრი, სრულიად საქართველოს სრული სასვეტსკეთი გადაცემა „პროფილის“ სტუმარია.

პატივისცემით,
ნინია კაკაბაძე

P.S. მიყვარს ის ხალხი, რომელიც მუდმივად გადაცემა „პროფილის“ ქილიკშია და თუკი სტუმრად მიიჩატი-

უებენ, უკანმოუხედავად მირბის მონაწილეობის მისალებად.

ნებისმიერი ყვითელი გადაცემა მედია-სივრცეში, სადაც პრაქტიკულად არ არის მისი აღტერნატივა, არ არის არჩევანი – მავნებლობა და უგემოვნობის ტირაჟირებაა, მაგრამ არსებობს მავნებლობის გრადაციები და ხარისხი. „ნანუკა შოუ“ არ გვთავაზობს გადაცემათა ციკლს: – მართლმადიდებლურ სასწაულებზე, მამა გაბრიელზე, დედა პარასკევაზე, მამა იაკიმზე, დედა თეოდორზე, სასწაულმოქმედ ხატებზე, ზეთზე, მირონზე, გარდამოსულ ცეცხლზე და ა.შ. არ მოჰყავს გადაცემაში ოშიდაზარალებული თუ პატიმარი ბავშვები და არ ძალადობს მათზე და არ არღვევს მათ უფლებებს უხეშად. (მომიტევთ, თუ მსგავსი ფაქტი გა-

მომრჩა). არ ტირაჟირებს სიბნელეს და უგუნურებას – ის უბრალოდ ყვითელია, რომელიც სოცრეალისტური ესთეტიკის ანტურაჟში პრეზიდენტს იბარებს და ინტერესდება – აქვს თუ არა მიშას სახლის ფაჩუჩები, ხალათი, ღამის პერანგი და სხვა. და თუკი ამ ორი გადაცემის მავნებლობის ხარისხს შევადარებთ, „პროფილის“ რეიტინგი ამ ხარისხის ადეკვატურია.

ასე რომ მოემზადეთ ძვირფასო მაყურებლებო, როგორც მაია ასათიანი იტყვოდა: „ჩვენ... (ხანგრძლივი პაუზა, მზერა ქვემოდან ზემოთ, ნატიფი ხმის ტემბრი) ძალიან... (ისევ პაუზა) მოგვენატრეთ!“ ქართულ სატელევიზიო მედიას თქვენ ძალიან მოენატრეთ და ის უკვე აქ არის, ახალი ძალით, შემართებით და ენთუზიაზმით. ■



რადიო თავისუფლება

უსმინე...
უყურე...
იკითხე...

ახლა უკვე გაზეთიც!

radiotavisupleba.ge



მშვიდობის "სახელმწიფო მინისტრი"



დავით ბუხრიკიძე

მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოსთან მშვიდობიან „კინემატოგრაფიულ ომში“ სახელმწიფო სერბი რეჟისორის, ემირ კუსტურიცას ჩართვა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოახერხა, შიდა რესურსები აამუშავა. ახლა უკვე სამხედრო დრამებისა და ისტორიული ფილმების კეთებაში გამოცდილი უზბეკი რეჟისორის, ჯანიკ ფაიზიევის დახმარებით, რომელიც რუსეთში პოპულარული „თურქული გამბიტით“ გახდა. ცხადია, მედია მაინც ცდილობს, უზბეკ რეჟისორს მიუკერძოებელი და ნეიტრალური ხელივანის იმიჯი შეუქმნას: „ჯანიკ ფაიზიევი საქართველოსა და სამხედრო ოსეთს შორის ომის შესახებ სამხედრო დრამას გადაიღებს, მაგრამ ავტორის პოზიცია ნეიტრალური და პაციფისტურია.“

ახალი, „პაციფისტური“ პროექტისთვის მზადება, რომლის სავარაუდო სახელწოდებაა „აგვისტო, რვა“ დიდი ხანია, მიმდინარეობს, თუმცა უშუალოდ გადაღებები იქტომიბრიდან დაიწყება. ფილმი ერთგვარი პასუხი იქნება რენი პარლიინის „ჯორჯიაზე“, რომლის გადაღება კარგა ხანია, დასრულდა (მისი ტრეილერი ვნახეთ ბერლინის კინოფესტივალზე) და გამოსვლა ეკრაზზე, რატომდაც, ძალიან გაიწელა. ასე, რომ ორივე ფილმი გაქირავებაში დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, 2011 წლის გაზაფხულზე გამოვა.

ფაიზიევი ამბობს, რომ რენი პარლიინს არ ეჯიბრება და არც პოლიტიკურ თამაში მონანილეობა სურს: „ჩვენთვის, ისევე როგორც ყველა ადამიანისათვის, ომი უბედურებაა. ვცდილობთ, უფრო პაციფისტური კინო შევქმნათ, რომელშიც არავინ იქნება კარგი ან ცუდი. მხატვრული კინოთი

ვართ დაკავებული და არა პოლიტიკური შეფერილობის პროპაგანდით ან ე.ნ. დოკუმენტური კინოთი.

რუსული საპროდიუსერო კომპანია „გლავკინო“, რომლის დამაარსებლები ცნობილი რეჟისორი ფილმი ბონდარჩუკი (ახალ რუსულ კინოში პატრიოტული უანრის ამღროძინებელი და პოპულარული ფილმის „მეცხრე ასეულის“ რეჟისორი) და „პირველი არხის“ გენერალური დირექტორი კონსტანტინ ერნსტი არიან, უშუალოდა რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული. „გლავკინოს“ უმთავრესი პროექტები ისტორიულ-პატრიოტული უანრისა და რელიგიური შეფერილობის ფილმებს უკავშირდება.

ნავარაუდევი იყო, რომ „გლავკინოს“ პირველი მსხვილმასტაბიანი პროექტი ფილმი „მმინდა ალექსი“ იქნებოდა (ბიოგრაფიული ფილმი მოსკოვის ცნობილ მიტროპოლიტ ალექსის შესახებ, რომელიც რუსულმა ეკლესიამ მნინდანად შერაცხა), მაგრამ როგორც ჩანს, პროდიუსერთა პატრიოტული გრძნობები თუ მოვალეობა ჯერჯერობით რელიგიურზე ძლიერია. რუსული პრესა პირდაპირ მიანიშნებს, რომ ფილმს „აგვისტო, რვა“ რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერი, ბატონი გრიზლოვი ლობირებს, რომელიც ნიკიტა მიხალკოვთან ერთად არის რუსეთში ე.ნ. სოციალური კინოს განვითარებისათვის დაარსებული ფონდის თანადამფუძნებელი.

თუ პოლიტიკურ დაინტერესებას გაფთვალისწინებთ, გასაკვირი არ მოგვეჩება ფილმის ბიუჯეტიც, რომელიც დაახლოებით 200 მილიონ „რუბლს“ (დაახლოებით 6,5 მილიონ აშშ დოლარს) შეადგენს. ეს ნამდვილად

დიდი თანხაა „მოსფილმსა“ თუ დამოუკიდებელ სტუდიებში გადაღებული ფილმების ბიუჯეტთან შედარებით და ზოგადად, საყოველთაო კრიზისის ფონზე.

პერმანენტული „კინემატოგრაფიული ომები“ საქართველოსა და რუსეთს შორის დაახლოებით იმ დროიდან დაიწყო, როცა 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ახალი კულტურული პოლიტიკა წამოიწყო. კულტურის სამინისტროს კინოპროექტი, გადაელოთ ფილმი რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, ხელისუფლებამ სწრაფადვე აიტაცა და პოლივუდიდან რენი პარლიინი ლამის ონლაინ რეჟიმში „გამოიწერა“. გარდა ამისა, მაღალი პონორარი გადაუხადეს ვარსკვლავებს: ენდი გარსიასა და ველ კილმერს.

ქართულ პროპაგანდას რუსული კინოპროპაგანდის ტაპური ნიმუში – იგორ ვოლოშინის ფილმი „ოლიმპუს ინფერნო“ მოჰყვა, სადაც ქართველები ლამის ფაშისტებად არან გამოყანილი. მოგვიანებით ანდრეი ნეკრასოვისა და ოლგა კონსკაიას საქართველოსადმი საკმაო სიმპათით განწყობილი დოკუმენტური ფილმი გამოვიდა, რომელიც სანდესის საერთაშორისო კინოფესტივალზე დიდი წარმატებით უჩვენეს. პლუს ნინო კირთაძის გამოვეტილად პროპაგანდისტული ფილმი „ზოგი რამ საქართველოს შესახებ... და აი, რუსული იდეოლოგის და უზბეკური შეფერილობის კინოპროდუქტი „აგვისტო, რვა“, რომელსაც, იმედია, ჩვენც ვნახავთ. ც



პუხვები ბაქოლი



გიორგი ახვლედიანი, ლონდონი

აპა, ერთი დრო იყო და, ჩვენცა გვყავდა პრემიერლიგაში ჩვენი კაცი.

ეს გიორგი ქინქლაძე იყო, რომელიც აწ გამდიდრებულ „მანჩესტერ-სიტიში“ თამაშობდა და იმის მიუხედავად, რომ „სიტი“ სწორედ იმ სეზონში გავარდა, ქინქლაძი რომ იბრძყინა, ქართველმა ფეხბურთელმა სახელი მაინც დიდებული დატოვა იქა და დაბლა ლიგებამდეც უერთგულა კლუბს.

იმ წელიწადს, „სიტი“ რომ გავარდა, მისი თანაქალაქელი და მარადი მტრი, „იუნაიტედი“ ჩემპიონი გახდა, ინგლისის წლის ფეხბურთელად კი სწორედ ჩემპიონთა ლიდერი ერიკ კანტონა გამოკვადა. საქმეც ეს იყო, იმ გამოკითხვაში მეორე ადგილზე ქინქლაძე გავიდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ქინქი „დერბი ქაუნთიში“ გამოჩნდა, თუმცა, ეგ უკვე სხვა დრო იყო.

„ჩელსიში“ უკვე რატი ალექსიძე თამაშობდა. დასანანი ამბავი იყო, რომ რატი რანიერის ხელში ეგრეც ვერ დამტკიდრდა ამ კლუბის ძირითად შემადგენლობაში. ჩემი ყურით მაქეს გაგონილი, როგორ უთხრეს რატის სულ თმაჭალარა ფანებმა სტემფორდ ბრიჯის ერთ-ერთ კიბესან, – როგორ არ გათამაშებს, რამდენჯერაც გამოხვედი, იმდენჯერ გავიხარეთ შენი ყურებით.

სიტისა არ იყოს. არც მაშინდელი ჩელსი იყო ისეთი მდიდარი, როგორიც ახლანდელია.

ეს ამბავი იმიტომ გამახსენდა რომ პრემიერ ლიგაში უთამაშიათ ქართველებს, რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, ლატვიელებს, ესტონელებს... უთამაშიათ და ახლაც თამაშობს ზოგიერთი.

ახლა კიდევ აზერბაიჯანელის ჯერი მოსულა, რაც საზოგადოებრივ და კარგი ამბავია.

„ევერტონში“ ბაქოს „ნეფონის“ თვრამეტი წლის ნახევარმცველი არაზ აბდულაევი იყიდა სამს პლუს ორი კონტრაქტით.

სამწუხაოდ, არაზ აბდულაევის თამაში არ მინახავს და საქართველოში ეგებ კი ჰერინგით ნანახი ჩვენი ახლგაზრდული ფეხბურთის მცოდნებსა და მესვეურებს.

აბდულაევს დიდ ფეხბურთელობას უწინასწარმუტყველებუნ და ახლა ერთადერთ პრობლემად მისი შრომის უფლების მიღებაა, რახანდა ბრიტანეთში შრომის და ბრიტანული ხელფასის აღება ფეხბურთელს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა თავის ქვეწის ნაკრებში იმ სიზირით თამაშობს, რომ უფლების მიღების დროისთვის, სეზონის მატჩების 75 პროცენტი აქცს ნათამაშევი. რაღა თქმა უნდა, არაეროკავშირელზეა ლაპარაკი, თორემ ევროკავშირულს რა უფლება უნდა.

თუმცა, შრომის უფლება დიდი პრობლემა არ არის, რადგან მხედველობაში მიღებენ ახალგაზრდა ტალანტის აშკარა არსე-

ბობას და იმასაც, რომ აბდულაევი სულაც თექვსმეტი წლისა იყო, ნაკრებში რომ გამოიძახეს.

ქართველი ფეხბურთელების უმრავლესობის ტრანსფერები და მათთან დაკავშირებული ამბები რომ გაასსენდება კაცს, აბდულაევის „ევერტონში“ გადასვლის ამბავი გაუკეირთება კიდეც: ბაქოს „ნეფონიში“ ბევრს არაფრს იღებს ამ ტრანსფერიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ახალგაზრდა ფეხბურთელი ინგლისში ყურადღებას მიიქცევს და „ევერტონიდან“ სხვა გუნდში გადავა, გარკვეული პროცენტი მის მშობლიურ კლუბსაც შეხვდება.

„ნეფონის“ ვიცე პრეზიდენტმა ტაპირ სულეიმანოვმა თქვა, ჩვენ ამ ბიჭის ხარჯზე გამდიდრებას არ ვაპირებთ, უბრალოდ გვინდა, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა კლასი აიმალლონ და თუკი აბდულაევი წარმატებას მიაღწევს, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს.

მართლაც კარგი ამბავა.

ყმაწვილი აბდულაევი ინგლისელ სკაუტთა ყურადღების არეში მას შემდეგ მოხვდერილა, რაც შარმან ინგლისელთა წინააღმდეგ უთამაშია, მერე კი მაგარი გოლი გაუტანია შოტლანდიის 21 წლამდე ნაკრებისთვის.

ეს, ჩვენი ცდისა რა ვთქვი, თორემ შოტლანდიის არათუ იუნიორებს, მთლად ნამდვილ ნაკრებს, მეორი ყველა ქართველმა ბავშვება გაუტანა თითო გოლი. თუმცა, ამგვარი ზუმრისებით ფონს ველარ გახვალ. პირველ აზერბაიჯანელს კი იმედია, მალე ვიხილავთ პრემიერ ლიგის მინდვრებზე. ■



არაზ აბდულაევი (მარცხნივ)

საჩუქრები



კახა თოლორდავა

არის ერთი რამ, რაც ამ ბოლო დროს ძალიან მაპრაზებს ხოლმე – როდესაც მესმის, რომ თბილისში რაღაც მხოლოდ იმიტომ უნდა გაჩნდეს, რომ ის უკვე არის ნიუ-იორკში, ლონდონში, ამსტერდამშა თუ ბეიჯინგში. რა თქმა უნდა, სისულელე იქნებოდა, საერთოდ უარი გვეთქვა სხვების გამოცდილებაზე; ბოლოს და ბოლოს, განვითარებადი ქვეყანა ვართ და ხშირად, ალბათ, საჭიროც არაა ველოსიპედის გამომგონებლის მისია ვიტვირთოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არის ისეთი საკითხები თუ პრობლემები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ძალისხმევით უნდა გადაიჭრას. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თბილისის შემთხვევაშია.

ჩვენს დედაქალაქში აქეთ-იქით ყოველდღიურმა ხეტიალმა ერთ რამეში დამარწმუნა – თბილისი პარაზი არაა (ის არც ოსლოა, არც ბარსელონა და არც მსოფლიოს რომელიმე სხვა ქალაქი), შესაბამისად, და აქედან გამომდინარე, გეტყვით, რომ მტკვრის სანაპირო არაა სენის სანაპირო და ის, რაც სენის სანაპიროს შეიძლება მოუხდეს, სულაც არაა აუცილებელი, მტკვრის სანაპირომაც მოიხდინოს. მაშასადამე, თბილისს და მოცემულ შემთხვევაში – მტკვრის სანაპიროს, „თბილისური“ და არა „პარიზული“ მიდგომა ესაჭიროება.

ერთადერთი, რაც თბილისს ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქებთან აკავშირებს, ისაა, რომ მის ქუჩებსაც ძალიან, ძალიან უხდება წიგნები და წიგნებში ცხვირჩარგული ადამიანები... და კიდევ უფრო მოიხდენდა, ჩვენ რომ არ აჩქარებულიყვანით და „პარიზულად“ არ გადაგვეწყვიტა „თბილისური“ საკითხი. ასეთი, უტვინო აჩქარებულობის გამო, ისედაც ჩქარი ტემპებით განვითარებადმა თბილისმა, რომელიც უკვე საკმაოდ აჩქარებულად ცხოვრობს და მომავალში ალბათ, კიდევ უფრო ააჩქარებს ცხოვრების ტემპს, დაკარგა ბალანსისათვის აუცილებელი ა უ ჩ ქ ა რ ე ბ ლ ო ბ ი ს კიდევ ერთი ელემენტი. ნებისმიერი, ვინც ქალაქებზე წერს და ცოტათი მაინც ერკვევა ფსიქოგეოგრაფიაში, დამეთანხმება ამაში. წიგნით მოვაჭრეთა თბილისის ქუჩებიდან „მოკვეთამ“ და მტკვრის სანაპიროზე „გადასროლამ“ აუჩქარებლობის სრულიად არაეფექტური კერა გააჩინა ქალაქში. ასე დაკარგა დედაქალაქის ქუჩებში წიგნების ფურცვლა-გადახედვა-ყიდვა-არყიდვამ თავისი თითქოს შეუმჩნეველი ჯადოსნური ძალა. დღეიდან თბილიში წიგნების ყიდვა-გაყიდვა სუფთა წყლის ბიზნესია და მეტი ა რ ა ფ ე რ ი.

მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში ხეტიალმა ერთ რამე-



ფოტო გამოსახულია კარავანის მუზემის მიერ


ში დამარწმუნა (და ამის გაცნობიერებისათვის საკმაო ხანი დამჭირდა), – ესა თუ ის ქალაქი მომწონს არა მარტო მისი ღირსესანიშნაობების (თუ სხვა რამების) გამო, არამედ უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, თუ რამდენად სწორადა ის დაბალანსებული აჩქარებულობა-აუჩქარებლობის თვალსაზრისით. ყველაზე კარგ შემთხვევებში, ეს ელემენტები ითვალისწინებს არა მარტო ქალაქის სივრცეს, არამედ პირველ რიგში, იქაური მაცხოვრებლების (და არა ტურისტების) ტემპერამენტს და მათ მიმართებას ზოგადად ცხოვრების რიტმთან. ქართველებს, ქაოსში მაცხოვრებლების მეხოტებებს, ძალიან გვჭირდება ისეთი საცხოვრებელი სივრცე, სადაც ყველა ეს ელემენტი მეტ-ნაკლებად ეფექტურად იქნება მორგებული ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. თბილისისადმი ასეთი მიდგომა აუცილებლად გამოაცოცხლებს ქალაქის ბევრ ლამაზ, მაგრამ მოსაწყენ აუჩქარება და შინაარსით დატვირთავს ქალაქში ხეტიალს.

ბოლო დღეებში ბევრს საუბრობდნენ იმაზე, თუ რა კარგი საჩუქარი გაუკეთეს ქალაქის მესვეურებმა წიგნით მოვაჭრებს ახალი სავაჭრო სივრცის მოწყობით. საჩუქარი ნამდვილად კარგია, მაგრამ მას ერთი ნაკლი აქვს, – ის ა რ ა ს წ ო რ ი ა. რატომ? იმიტომ, რომ ის თბილისის ქუჩებიდან წიგნით მოვაჭრეთა რაც შეიძლება სწრაფად მოცილებას გულისხმობს, მხოლოდ ამას და სხვას არაფერს, მაშინ, როდესაც თბილისი სულ ს ხ ვ ა რამეს მოითხოვს ჩვენგან, დაფიქრებულ, მომავლისკენ მიმართულ, კ რ ე ა ტ ი უ ლ ძალისხმევას. □



თალავი, ყვარელი, ლაგოდევი
გორი, ქარელი, ხაშური
ზესტავონი, ქუთაისი, სამტრედია
ურევი, ქობულეთი, ბათუმი
ვოთი, სენაცი, ზუგდიდი

FM 105.5
FM 103.0
FM 104.5
FM 101.0
FM 101.9



WWW.LIBERALI.GE
